საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2005 წელი. №8 (5041) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ ცხელი თემა

აფხაზეთის არჩევნები, „გულშემატკივრობა“ და ოპოზიციის ვნებათაღელვა...

პრეზიდენტის „სამშვიდობო პაკეტი“ მალე იქნება...

საქართველოს მთავრობის სხდომამ, გუშინ სხვა 17 საკითხთან ერთად, მოისმინა სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ. მისი თქმით, შობა-ახალი წლის დღესასწაულის განმავლობაში, გარკვეულწილად, დათბა ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის და „რაიმე განსაკუთრებული ვნებათაღელვა არ ყოფილა“. ამას თურმე „მანდარინის ბუმმაც“ შეუწყო ხელი. ცხინვალის მისადგომებთან საქართველოს რაიონებიდან ჩამოსული მანქანები დგანან და მანდარინებით ვაჭრობაა გაჩაღებული. სახელმწიფო მინისტრი იმედოვნებს, რომ სოფლებიდან კარს მომდგარი ვაშლის გატანის სეზონიც ასევე ორგანიზებულად წარიმართება და ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მოსახლეობის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ზოგა ხაინდრავას თქმით, საკმაოდ ხანგრძლივი სადღესასწაულო არდადეგების შემდეგ, 15 იანვრიდან, უკვე დაიწყება ქართულ-ოსური მოლაპარაკებებისას წამოჭრილი ზოგიერთი გადაუჭრელი საკითხის მოგვარება. იგულისხმება რეგიონის დემილიტარიზაცია.

„ამ საკითხზე ორივე მხარემ მოვილაპარაკეთ, — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა, — ხელს გვიშლის მხოლოდ რეგიონის მკაცრი კლიმატი. ვფიქრობ, ამ პროცესის დაწყებას წინ აღარაფერი დაუდგება“.

საუბარი განაგრძო პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ. მან კონფლიქტის მოგვარების მონაწილეს — რუსულ მხარეს კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ საქართველო და მისი პრეზიდენტი სამშვიდობო მოწესრიგების უმნიშვნელოვანესი ინიციატივების პაკეტს ამზადებენ და ამ საქმეში ჩართულია მრავალი ექსპერტი. პრეზიდენტი ყოველდღე თვითონ მუშაობს ამ საკითხებზე.

„უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში, მიხეილ სააკაშვილი და საქართველო მთელი მსოფლიოს წინაშე გამოვლენ ინიციატივით, თუ როგორ ვხედავთ ჩვენ ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის სამართლიანად და მშვიდობიანად მოწესრიგების გზებს“, — თქვა ზურაბ ჟვანიამ.

იხ. მე-2 გვ.

◎ პრეზიდენტი

ძლიერი პარტნიორი ყველასთვის სასურველია

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა შიდა ქართლში, ქართულ-ოსური კონფლიქტის სიახლოვეს მდებარე სოფელ ძევერაში განთავსებულ რეზერვისტთა ბანაკი მოინახულეს.

პრეზიდენტმა თავის სიტყვაში რეზერვისტებს გმირები უწოდა და კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოსთვის ძლიერი არმიის ყოლის მნიშვნელობა.

„ძლიერი არმია ძლიერი და ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა. ძლიერი საქართველო კი საუკეთესო პარტნიორი იქნება ყველა მეზობლისთვის“, — განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის ინიციატივით, ყველა რეზერვისტს, წვრთნების გავლის დამადასტურებელ დიპლომთან ერთად, ეროვნული დროშა და პეიჯერი გადაეცემა. პრეზიდენტის თქმით, ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში პეიჯერი რეზერვისტების მობილიზებას გააადვილებს.

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, წლეულს წვრთნებს 20 ათასი რეზერვისტი გაივლის.

ინტერ-პრესი.

ნომერში წაიკითხავთ:

ადამიანები არ უნდა დავახარისხოთ თანამდებობის და ასაკის მიხედვით

როგორ უნდა აიღო მაღალი ხელფასი, როცა შენს გვერდით მეზობელი მშიერია? ომის დროს ინგლისის დედოფალმა თავის სასახლეში ელექტრობა გამორთო, რადგან ლონდონში ხალხს შუქი არ ჰქონდა. როდის დამკვიდრდება ჩვენთან ასეთი მორალი?

მე-3 გვ.

თურმე ოჯახი თავზე გვენგრევა

ოდითგანვე ოჯახი საქართველოში წმინდა კერად ითვლებოდა, მის სახელს ეთაყვანებოდნენ, ადიდებდნენ და ადღეგრძელებდნენ. სამწუხაროდ, ამ ტრადიციას ბოლო დროს წყალი შეუდგა. ოჯახები აირია, ახალგაზრდობა საზღვარგარეთს მიეძალა. დავფიქრდეთ დიდები, რათა მამულს არ მოაკლდეს პატარები.

მე-4 გვ.

წიგნი-შეჯამება



გუშინ წიგნის სახლში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ალექსანდრე ჩიკვაიძის წიგნის „პოლიტიკური ჭადრაკი“ პრეზენტაცია გაიმართა. წარდგინებას პარლამენტის წევრები, საელჩოების წარმომადგენლები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაესწრნენ, წიგნი „ლოგოს პრესმა“ გამოსცა, ხოლო მისი რედაქტორი მწერალი გურამ გეგეშიძეა.

მე-6 გვ.

◎ დღე

პირველი ლედი — ხშირი და სასურველი სტუმარი

გუშინ საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, რომელიც ორი დღეა ჭიათურაში საქველმოქმედო მისიით იმყოფება, მოულოდნელად რიგითი ჭიათურელის ალექსანდრე ყიფშიძის ოჯახში მივიდა და მისი გაზქურა აანთო, რითაც ყიფშიძეების ოჯახს და კიდევ 450 აბონენტს ჭიათურაში ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენა მიულოცა. ჭიათურის რაიონს გაზი 5 წელია არ მიეწოდებოდა.

გაზმომარაგების პროცესის აღდგენა სისტემის რეაბილიტაციის შედეგად მოხერხდა და იგი თვის ბოლომდე მთელ ქალაქში 1.800 აბონენტს მოიცავს.

ქვეყნის პირველი ლედი საქველმოქმედო ორგანიზაცია „სოკოს“ ჭიათურის ოფისში მივიდა, სადაც რაიონის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის განკუთვნილი დიდი რაოდენობით პურის ფქვილი და სააახალწლო სურსათ-სანოვაგე მიიტანა.

ორგანიზაცია „სოკომ“, რომლის ხელმძღვანელიც თავად სანდრა რულოვსია, ჭიათურაში ჰუმანიტარული ტვირთის გაცემა დაიწყო.

როგორც სანდრა რულოვსმა განაცხადა, იგი თბილისს გარეთ ყველაზე ხშირად ჭიათურაში ჩადის და განსაკუთრებით უყვარს ზემო იმერეთი.

ინტერ-პრესი.

გმადლობთ, ქალბატონო სანდრა,

ანუ მიხვდება რძლისთვის ნათქვამს „მული?“

ქალბატონ სანდრას გუშინდელი აქცია პირველი რომ არ არის და, რაც მთავარია, გულწრფელია და არა ხალხის თვალში დივიდენდების მოპოვების მიზნით ორგანიზებული, დღეს ყველამ კარგად ვიცით.

თუმცა ამჟამად სულ სხვა რამ მაქვს სათქმელი.

თანაც ამის თქმა ერთ წელზე მეტი ხნის წინათაც მინდოდა, როდესაც ჩვენი საზოგადოებრიობის უდიდესი ნაწილის მსგავსად ტელეეთერის მეშვეობით ვიზუალურად მეც პირველად ვიხილე ჩვენი მომავალი პირველი ლედი საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ჩაფიქრებული თემა მაშინ ჩემს რამდენიმე კოლეგასაც გავაცანი. მომიწონეს ჩანაფიქრი. საკითხის დაყენების სისწორესა და აქტუალობაშიც დამეთანხმნენ.

დაწერეო, მირჩიეს.

მაინც თავი შევიკავე — ვინმემ, მით უფრო თავად ადრესატმა და, კიდევ მით უფრო — მისმა მეუღლემ, რომლის გაპრეზიდენტებაშიც სხვებივით არც მე მეპარებოდა ეჭვი, პირფერობაში არ ჩამომართვან-მეთქი.

მაშინ ამ წერილის მომზადებისკენ კი რამდენიმე თვის წინათ ჩვენივ გაზეთში გამოქვეყნებულმა ერთმა ინფორმაციამ მიბიძგა:

გერმანიის საფეხბურთო კლუბის — მიუნჰენის „ბაიერნის“ კაპიტანმა შტეფან ეფენბერგმა მშობლიურ გუნდში მოთამაშე ერთი ლეგიონერის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო და თანაკლუბელებიც აიყოლია: ლამის წელიწადია ჩვენთან თამაშობს და არც კი ცდილობს გერმანულის სწავლას. ესე იგი, ჩვენს ენას, ხალხს და კულტურას პატივს არ სცემსო.

ქალბატონმა სანდრამ კი, ქართულზე რომ არაფერი ვთქვათ, წალენჯიხაში ყოფნისას ისეთი მეგრული „ჩააახუჭუჭა“, იქაურებს გარდა საქართველოს მრავალ კუთხეში მცხოვრებ მეგრელებსაც აუწყლიანა თვალები.

ალბათ, დამეთანხმებით, არც ქალბატონი სანდრას მხრივ იყო ეს მხოლოდ მეუღლის წინასაარჩევნო კამპანიის წარმატებისთვის გამიზნული ფიარ-შოუ და არც მის მსმენელთა თუ მაყურებელთა სიხარული გახლდათ „ხბოს აღტაცება“.

ამის ახსნა მარტივია: როდესაც ქალბატონი სანდრა ჩვენს პრეზიდენტს მისთხოვდა, მაშინ მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებაზე კი არა, ვგონებ, პარლამენტარობაზეც არ იყო საუბარი.

მან კი საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაიწყო ქართულის შესწავლა. უწინარესად, ცხადია, საკუთარი ნიჭის წყალობით და არანაკლებ — თავისი რჩეულის მშობელი ქვეყნის, ხალხის, იქაური ენისა და კულტურის სიყვარულისა და პატივისცემის გამოც.

ხოლო როდესაც ჩემს ხალხს, ენასა და კულტურას პატივს სცემენ და აფასებენ, უბრალოდ, არ შემიძლია, ამგვარ ადამიანებს გულწრფელი მადლობა არ მოვახსენო.

— დიდი ამბავი, თუ ქართული ისწავლაო, — შესაძლოა თქვას მავანმა ავყიამ.

არა, ჩემო ენაწიწაკავ, თუ ასეთი გამოჩნდები, სულაც არ არის ეს უბრალო ამბავი.

აბა, ნახეთ, საქართველოში მცხოვრებმა რამდენმა (ათასობით და ათი ათასობით) ადამიანმა, თანაც მერამდენე თაობის წარმომადგენელმა, არ იცის და არც სურს ისწავლოს ქართული.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

პარლამენტარები საპრივატიზაციო წინადადებებს გაეცნობიან

შპს „საოკეანო სანაოსნოსა“ და სს „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზაციამდე, საქართველოს პარლამენტი ამ ობიექტებით დაინტერესებული ინვესტორების მიერ წარმოდგენილი წინადადებების შესახებ ინფორმაციას მოისმენს.

ამის თაობაზე განცხადება გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, მთავრობასთან მიღწეულია შეთანხმება, რომ მომავალი კვირის დასაწყისში, ვიდრე „საოკეანო სანაოსნოსა“ და „ჭიათურმანგანუმის“ მეპატრონეები ოფიციალურად დასახელდებიან, მთავრობა პარლამენტს ინვესტორების მიერ წარმოდგენილი წინადადებების შესახებ სრულ ინფორმაციას მიაწვდის.

9 მძევალი გაათავისუფლეს

აფხაზურმა მხარემ მძევლად აყვანილი ცხრა ქართველი გაათავისუფლა. ორი მათგანი სოფელ განმუხურის მკვიდრია, დანარჩენები კი გალის რაიონის სოფელ მეორე ოტობაიაში შეიარაღებული აფხაზების მიერ გაჩერებული ავტობუსის მგზავრები არიან.

ენგურის ხიდზე გადმოსულ მძევლებს სამეგრელო-ზემო სვანეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გიგი უგულავა დახვდა.

ერთ-ერთ გათავისუფლებულ ქართველს, რომელიც თელავის „კომანდოს“ ბატალიონში მსახურობდა, აფხაზებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. დანარჩენებს ცემის კვალი არ ამჩნევიათ.

ინტერ-პრესი.

◎ წარდგინება

სპეციალური პრეს-სპიკერები გაახმოვანებენ

ალანა გაგლოევა.

ლეილა ავიძბა.

საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის გადაწყვეტილებებს და პოზიციებს ამიერიდან სპეციალური პრესსპიკერები გაახმოვანებენ.

პრეზიდენტის პრეს-სპიკერის ფუნქციას ოსი ეროვნების ალანა გაგლოევა შეითავსებს, საქართველოს მთავრობის პრეს-სპიკერი კი აფხაზი ეროვნების ლეილა ავიძბა იქნება.

ალანა გაგლოევას დღემდე საქართველოს ტელევიზიაში საინფორმაციო გამოშვებები ოსურ ენაზე მიჰყავდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ საზოგადოებას მთავრობის პრეს-სპიკერი, აფხაზი ეროვნების ლეილა ავიძბა უკვე წარუდგინა. „ლეილა ავიძბა დღეიდან მთავრობის პოზიციას გაახმოვანებს. ეს იქნება კარგი ხმა, რომელიც ჩვენს გადაწყვეტილებებს მსოფლიოს გააცნობს“, — განაცხადა ჟვანიამ.

ლეილა ავიძბა საქართველოს ტელევიზიაში აფხაზური საინფორმაციო გამოშვების რედაქტორი იყო.

ინტერ-პრესი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„პრეზიდენტობა ჩემთვის ყველაზე მოსხერხებული პროფესია არ არის“

იური სიმონიანი, „ნეზავისიმაია გაზეტა“, 12 იანვარი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

დასრულდა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი წელი. „ნეზავისიმაია გაზეტასთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოს 37 წლის პრეზიდენტმა პრიორიტეტული ამოცანა უწოდა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას.

— გასული წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან თქვენი პირველი შეხვედრა აღიქვეს, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. მაგრამ შემდეგ, ეს იმედები არ გამართლებულა. გამოდის, რომ პუტინმა არ ირწმუნა თქვენი? ან, იქნებ, ამის მიზეზი გახდა მოსკოვის მისამართით თქვენს მიერ გაკეთებული საკმაოდ მკვახე განცხადებები?

— სამწუხაროდ, ახლა რუსეთი აწყდება სერიოზულ სირთულეებს საერთაშორისო ასპარეზზე. ეს აშკარად ჩანს. მას გართულებული ურთიერთობა აქვს არა მარტო საქართველოსთან, არამედ მთელ დანარჩენ მსოფლიოსთანაც. მე არ ვიცი, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია ეს. საქართველო ერთგვარად გახდა ამ პროცესების ნაწილი, თუმცა, ჩვენ არ გვსურს ვიყოთ რომელიმე რგოლი დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების ჯაჭვში, ან შევასრულოთ რაღაც პაიკის როლი გართულებულ ურთიერთობაში.

მე მინდა, რომ რუსმა პოლიტიკოსებმა ეს შეიგნონ. ჯერჯერობით ჩვენ ისინი ვერ დაგვირწმუნებია, რომ არა ვართ რაღაც დასავლური ძალების მომხრე, ქვეყანას კი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სურს იქონიოს მეგობრული ურთიერთობა რუსეთთან. მაგრამ ჩვენ ამ ურთიერთობას სულ სხვაგვარად ვხედავთ.

ჩვენს ურთიერთობაში არსებული მრავალი პრობლემა ხელოვნურადაა შექმნილი. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ზოგიერთი ოფიციალური პირის მოქმედების გამო წარმოქმნილი გართულებების მიუხედავად, საქართველოში არ სუფევს მძაფრი ანტირუსული განწყობილება, ვითარების უკეთესობისკენ შემობრუნება კი სულაც არ არის ძნელი.

— იქნებ, ყველა ამ გაუგებრობის მიზეზი იყოს ის, რომ რუსეთში თქვენ აღგიქვამენ, როგორც მეამბოხეს, მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში რევოლუციური გარდაქმნების ინიციატორს?

— პირადული თვალსაზრისით, ვლადიმერ პუტინთან არანაირი პრობლემა არ მაქვს. მასთან შეხვედრების დროს თავს ძალზე კომფორტულად ვგრძნობ. ისევე, როგორც თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოთა მეთაურებთან შეხვედრისას. რა თქმა უნდა, ჩვენმა „ვარდების რევოლუციამ“ გარკვეული შიში აღუძრა ზოგიერთ პოლიტიკოსს თანამეგობრობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხდა უკრაინაში. სინამდვილეში კი, უკრაინაში მოვლენათა ასეთი განვითარება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მე კიევში ვსწავლობდი და ამ ქვეყანას საკმაოდ კარგად ვიცნობ... ყველა ოფიციალური შეხვედრის დროს აღვნიშნავდი, რომ დემოკრატიის შეჩერება შეუძლებელია. ჰოდა, ეს ასეც მოხდა. ამაში ბრალი არ მიუძღვის საქართველოს...

— რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო პრესაში პერიოდულად აქვეყნებს ინფორმაციებს პანკისის ხეობაში თითქოსდა შემორჩენილი მოთარეშეთა ბაზებისთვის წერტილოვანი დარტყმების მიყენების შესახებ. რას უნდა ნიშნავდეს ეს — თბილისისთვის „ნერვების მოშლის“ მორიგ მცდელობას, თუ მოსკოვს მართლაც აქვს იმის საფუძველი, რომ საქართველოს ეს რაიონი მიიჩნიოს პოტენციური საფრთხის კერად?

— ჩემი აზრით, ეს უკვე სასაცილოა. როცა გამოჩნდება ხოლმე ასეთი ინფორმაცია, ჩვენ ვუკავშირდებით რუსეთის ოფიციალურ პირებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ასეთი რამ მათ არ უთქვამთ. ნებისმიერმა რუსმა ოფიცერმა, რომელიც კი ნამყოფია პანკისის ხეობაში, ჩინებულად იცის, რომ იქ არაფერი საშიში არ ხდება. ეს რუსეთის ხელმძღვანელობამაც იცის. პანკისში ერთობლივი მოქმედების, ან სხვა საკითხების მოგვარებისთვის ხელოვნური დაბრკოლებები აღარ არსებობს. მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა საკითხში და ვთანამშრომლობთ კიდეც...

— რას სთავაზობს თბილისი მოსკოვს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ნორმალიზაციის თვალსაზრისით? რუსეთის რომელი მოთხოვნები (ან წინადადებები) არის თქვენთვის, პრინციპში, მიუღებელი?

— ახლა ჩვენ ვმუშაობთ ყოვლისმომცველ ხელშეკრულებაზე. თებერვალში თბილისში ველოდებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ჩამოსვლას. ვფიქრობ, რომ ჩვენ შევძლებთ ამ ხელშეკრულების პარაფირებას. იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ერთად ასევე მოვახერხებთ მის ხელმოწერას უკვე მიმდინარე წელს. უკვე კარგა ხანია მსურს, რომ პუტინი ეწვიოს საქართველოს. იგი აქ მუდამ სასურველი სტუმარი იქნება.

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

აფხაზური და რუსული მასმედიის მტკიცებით, აფხაზეთის უღიარებელ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები შედგა. მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა დაახლოებით 53-მა პროცენტმა.

ოფიციალური მონაცემებით, 9-ბალიანი მიწისძვრითა და მას მოყოლილი ცუნამით დაღუპულთა რიცხვმა, 12 იანვრის მონაცემებით, 158654 ადამიანი შეადგინა. სტიქიურმა უბედურებამ დაახლოებით 7 ათასი უცხოელი შეიწირა.

უკრაინა მზად არის, 30 ივნისამდე მთლიანად გამოიყვანოს თავისი კონტინგენტი ერაყიდან. ეს უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კუზმუკმა განაცხადა ერაყში აფეთქებით დაღუპულ მშვიდობისმყოფლებთან გამოთხოვების ცერემონიალზე, რომელთა ცხედრები კიევში გუშინ ჩამოასვენეს.

თეთრმა სახლმა დაადასტურა, რომ აშშ-მ შეწყვიტა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის ძებნა. თეთრი სახლის პრეს-მდივნის სკოტ მაკლენანის თქმით, ერაყში ამ მხრივ დასაქმებულ ამერიკელ ექსპერტებს სხვა დარგში მისიის შესრულება დაევალათ. მისი სიტყვებით, ერაყში მომუშავე ექსპერტები აშშ-ში დაბრუნდნენ და მუშაობენ საბოლოო მოხსენებაზე, რომელიც თებერვალში გამოქვეყნდება.

CYAN MAGENTA YELOOW BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 8, ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2005 წელი.

დღე

გმადლობთ, ქალბატონო სანდრა,

ანუ მიხვდება რძლისთვის ნათქვამს „მული?“

(პირველი გვერდიდან)

სანამ უნდა მოვითმინოთ ამგვარი უპატივცემლობა-უკულტურობა?

ეფენბერგობა დავიწყოთ?!

თუმცა ეს სულ სხვა, ბევრად ღრმა და საფუძვლიანი განხილვის საგანია...

ზემოთ აღვნიშნე, სულაც არ იყომეთქი, ეს სიხარული „ხბოს აღტაცება“.

მარტო ჩვენ კი არა, ყველა ერის წარმომადგენლებს უხარიათ, როდესაც მათს ენასა და კულტურას აფასებენ.

ამის დასადასტურებლად კვლავ თუნდაც ფეხბურთელის მაგალითს მოვიხმობ:

ინგლისელმა ბექჰემმა, რომელიც არცთუ ისე დიდი ხანია მადრიდის „რეალში“ თამაშობს, ახლახან ესპანეთის დედაქალაქში პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტების კითხვებს ესპანურად უპასუხა. მართალია, ეს უფრო ესპანურისა და ინგლისურის „ნაზავი“ ყოფილა, მაგრამ მხოლოდ ამ მცდელობისთვის იგი დამსწრეთ ტაშით დაუჯილდოვებიათ...

კი, ბატონო, მეც იქა ვარ, ჰოტი რომ ამბობს, არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა კიო, მაგრამ მაინც ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ჩემი პატარა ქვეყნის (მხოლოდ ტერიტორიითა და მოსახლეობით, თორემ განა შინაარსითა და ხარისხით „პატარისა“) ენასა და კულტურას პატივს სცემენ.

თუმცა კარგი რძლისგან სხვაგვარ დამოკიდებულებას არც უნდა ელოდო ადამიანი.

გულწრფელი მადლობა კარგი რძლობისა და ქალობისთვის, ქალბატონო სანდრა!

და რაკი სიტყვა რძალზე ჩამოვარდა, უნებლიეთ ერთი ქართული ანდაზა გამახსენდა, რომელიც, თუ „ადრესატებს“ გადავაადგილებთ, ასე ჟღერს: რძალო, შენ გეუბნებიან, მულო, შენ გესმოდესო.

„მულში“ ვისაც ვგულისხმობ, ყველა კარგად მიხვდება.

იქნებ თვით „მულიც“ მიხვდეს, რასაც მივანიშნებთ, და კარგი რძლისთვის გულწრფელად ნათქვამი მადლობა მომავალში მანაც დაიმსახუროს?

პირველი ლედი თავისი ოჯახით ყველასთვის სასურველი სტუმარია.

აზო შელია.

„საქართველოს თვალის“ ფოტო.

ინფორმაცია

საშიშ დამნაშავეთა ჯგუფი დააკავეს

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა ჯგუფის ხუთი წევრი დააკავეს.

როგორც გუშინ შს სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, ორგანიზებული ჯგუფის წევრები ეჭვმიტანილები არიან დამამძიმებელ გარემოებებში აზერბაიჯანელი ძმების განზრახ მკვლელობაში.

დაკავებულები არიან წარსულში ორჯერ ნასამართლევი გიორგი ნემსაძე, ასევე გიორგი ყუფარაძე, რუდიკ ტუმასიანი, თემურ გოგიაშვილი და მამუკა სურგულაძე.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული ჯგუფის წევრებმა 2004 წლის მაისში ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიიდან ფულის გამოძალვის მიზნით აზერბაიჯანული ეროვნების ორი მოქალაქე მოტყუებით გადაიყვანეს ძმები სალიების ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში.

მოგვიანებით, ორივე ძმა მოკლეს და იქვე ეზოში ჩააბეტონეს.

როგორც მინისტრმა მერაბიშვილმა განმარტა, ექსპერტიზით დგინდება, რომ აღნიშნული ჯგუფის წევრებისგან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღით 2004 წლის დეკემბერში თბილისში, ხილიანის ქუჩაზე დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, 26 წლის ნაიჯელ ოკენდენია მოკლული.

ინტერ-პრესი.

ცხელი თემა

აფხაზეთის არჩევნები, „გულშემატკივრობა“ და ოპოზიციის ვნებათაღელვა...

(პირველი გვერდიდან)

გოგა ხაინდრავა მას დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ამ ყველაფრის წინაპირობა, იურიდიული და სახელშეკრულებო ბაზა უკვე ჩამოყალიბებულია, ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ პოზიციას, რომელსაც რუსეთი დაიჭერს. „ჩვენ კარგად გვესმის, რას ეფუძნება ცხინვალში არსებული წინააღმდეგობა, — განაგრძო სახელმწიფო მინისტრმა, — როგორც ქართული, ასევე ოსური მოსახლეობის განწყობა დადებითია. მოსახლეობას შორის დაპირისპირება არ არის, ეს უფრო პოლიტიკურ-კრიმინალური დაპირისპირებაა, ვიდრე ეთნიკური. ამის უამრავი ფაქტი არსებობს და ამაზე არაერთხელ ითქვა“.

პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო მინისტრი იმედოვნებენ, რომ 2005 წელს მიიღწევა გარდატეხა — „გარღვევა“ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებაში.

რუსეთის თავგასულ ქმედებებს კვალიფიკაცია მიეცემა

ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების შემდეგ, გოგა ხაინდრავამ აფხაზეთზე ისაუბრა.

„იქ ვითარება უკიდურესად დაძაბულია. არძინბას მომხრეები და ის ადამიანები, ვინც რუსეთის სამსახურში არიან, ყველაფერს აკეთებენ არჩევნების ჩასაშლელად. იქ დიდი დაუპატიჟებელი სტუმრობა მიმდინარეობს, აფხაზეთში ჩასული არიან ბაბურინი, კოლესნიკოვი, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის უამრავი თანამშრომელი. ჩვენი მონაცემებით, ბომბორას აეროპორტში რამდენიმე ვერტმფრენი დაჯდა, რომლებმაც სპეცდანიშნულების რაზმი გადმოისროლეს. მათი მოძრაობა გუდაუთაშიც შეინიშნება. სოხუმსა და გუდაუთაში რუსული ვერტმფრენები პატრულირებენ. ამის გარდა, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, პირდაპირი, ღია აგიტაცია მიმდინარეობს არჩევნების ჩასაშლელად. მოსახლეობას მოუწოდებენ, არ მივიდნენ არჩევნებზე. ამაზე მეტყველებს ბუთბას შეიარაღებული დაჯგუფების შეჭრა ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე, 4 კაცისა და მანქანის გატაცება. იყო სროლა. იგივე განმეორდა გალის ტერიტორიაზე. ისინი დაიმუქრნენ, თუ ქართული მოსახლეობა არჩევნებზე მივა, მათ სასტიკად გაუსწორდებიან. ოჩამჩირეში, სოხუმსა და გუდაუთაში მიმდინარეობს აგიტაცია, რომ ხალხი არჩევნებზე არ მივიდეს. ამიტომაც, არჩევნებში მონაწილე ადამიანების ზღვარი 25-დან 50 პროცენტამდეა აწეული, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას“...

სახელმწიფო მინისტრის თქმით, რუსეთის მხრიდან არის ხელისუფლების უზურპაციის მცდელობა და თუ არჩევნები აფხაზეთში ჩაიშლება, მოსალოდნელი იქნება სერიოზული გართულებები. ზურაბ ჟვანიამ თემა განაგრძო და დასძინა, რომ მოვლენათა განვითარებას უნდა დაველოდოთ. მისი თქმით, საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის პოზიცია ამ თვეების განმავლობაში ასეთი იყო — „მაქსიმალურად მიგვეცა საშუალება, პროცესები ახაზეთში მშვიდობიანად წარმართულიყო.

რუსეთის წარმომადგენელთა მოქმედებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე ძალიან საგანგაშო ფორმები მიიღო, სალომე ზურაბიშვილთან ერთად საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით, რა კვალიფიკაცია მივცეთ მათ თავგასულ მოქმედებებს“.

ზურაბ ჟვანიამ ზღვარგადასული ქმედება უწოდა რუსეთის პროკურორის მოადგილის „მხურვალე წინასაარჩევნო მოწოდებას სოხუმში“.

მან, ასევე, ისაუბრა ზუგდიდის რაიონის სოფლების მოსახლეობის უსაფრთხოებაზე და დასძინა, რომ ბუთბას თუ სხვათა პროვოკაციებს ადეკვატური, ძალიან მკაცრი, ხისტი პასუხი გაეცემა. იქ შეყვანილია ჩვენი შეიარაღებული ძალების ყველაზე ელიტარული ნაწილები და „ცხვირში მოხვდება ყველას, ვინც გაბედავს ჩვენი მოსახლეობის ინტერესების ხელყოფას“.

პრემიერ-მინისტრის თქმით, უკლებლივ ყველა გატაცებული პიროვნება საკუთარ სახლს დაუბრუნდება. ამ მხრივ ქართული მხარე ყველანაირ ზომებს მიიღებს.

კობა დავითაშვილი მკაცრად მოითხოვს...

მთავრობის სხდომის პარალელურად, პარლამენტში „კონსერვატორების“ ლიდერებმა კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა პრესკონფერენცია გამართეს. კობა დავითაშვილი საქართველოს ხელისუფლებისგან აფხაზეთში მიმდინარე არჩევნების პოლიტიკურ შეფასებას მოითხოვს. მას მიაჩნია, რომ ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის მოვლენებზე წაყრუებამ კულმინაციას მიაღწია, რაც ქვეყნისთვის აშკარად საზიანოა.

„ფაქტია, რომ არა მხოლოდ ცალკეული დეპუტატები, არამედ რუსეთის ოფიციალური პირები, დუმის ვიცე-სპიკერი, გენერალური პროკურორის მოადგილე აფხაზეთში ჩადიან, წინასაარჩევნო აგიტაციას ეწევიან, აფხაზ ამომრჩეველს რუსეთის შემადგენლობაში ასოცირებული სტატუსით მიღებას ჰპირდებიან, რუსული ე. წ. სამშვიდობო ძალები მონაწილეობენ დამსჯელ ოპერაციებში აფხაზ ბოევიკებთან ერთად და ამაზე საქართველოს ხელისუფლება არანაირ პოზიციას არ გამოხატავს“.

კობა დავითაშვილის თქმით, დაუყოვნებლივ უნდა დაისვას საკითხი, რომ საქართველოს ტერიტორია დატოვონ რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა, იქნება ეს ე. წ. სამშვიდობო ჯარები თუ სამხედრო ბაზები, რომლის გაყვანის თაობაზე, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლებას სიტყვა არ დაუძრავს.

„კონსერვატორების“ ლიდერს არ მოსწონს საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთის არჩევნების „გულშემატკივრობა“, რადგან ეს უკანონო სეპარატისტულ არჩევნებს ლეგიტიმურობის ხასიათს ანიჭებს. „ვერც ერთი არჩეული პიროვნება ვერ გამოხატავს აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესს, ვინაიდან მისი მოსახლეობის უმეტესობა — როგორც ქართველები, ისე აფხაზები აფხაზეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებიან. იქ დარჩენილ მოსახლეობას უფლება არა აქვს, მთელი მოსახლეობის სახელით ისაუბროს“.

კობა დავითაშვილს მიაჩნია, რომ რუსეთის გენერალური პროკურორის საჯარო გამოსვლის გამო, საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო მასშტაბის განგაში უნდა აეტეხა, რადგან სხვა ქვეყნის უმაღლესი პირი უხეშად ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში და ღიად დაუჭირა მხარი სეპარატისტულ ხელისუფლებას მეორე ქვეყანაში. თუმცა ოპოზიციონერი დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან მორიგების „უსაფუძვლო იმედი“ ჯერ კიდევ აქვს.

კობა დავითაშვილმა ისაუბრა, აგრეთვე, საქართველოს ფედერაციულ მოწყობაზე და დასძინა, რომ იგი ქვეყნის დაშლას შეუწყობს ხელს, ქვეყნის დაშლის გეგმას კი ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთო.

ასე რომ, 12 იანვარს საპარლამენტო ოპოზიციამ საკმაოდ მკაცრი გამოსვლა შეაგება და კონკრეტული მოთხოვნებიც წამოაყენა. ვნახოთ, როგორ უპასუხებს მას საქართველოს ხელისუფლება. ალბათ, ყველაფერი თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობაზე იქნება დამოკიდებული.

თამარ შაიშმელაშვილი.

კანონმდებლები

საგინესო „ამანათრბენი“

პარლამენტს 20 თებერვლამდე არდადეგები აქვს. ინტრიგანის მეტი არავინ იკითხავს, რა საჭიროა ასე ხანგრძლივი დასვენებაო — ყველას გვახსოვს, როგორი დატვირთული იყო საშემოდგომო სესია. მაგალითისთვის ბოლო კვირის სარეკორდო მაჩვენებელიც კმარა თავისი 150 კანონით. განვითარებული ქვეყნები კანონპროექტთა რაოდენობას ჯეროვან ყურადღებას რომ აქცევდნენ, დარწმუნებული ვარ, ჩვენს პარლამენტს ესტუმრებოდნენ პრაქტიკის გასავლელად (ისე, სულ ჩვენ რომ გვწვრთნიან, კარგი იქნებოდა, ერთხელ ჩვენც ვასწავლიდეთ დასავლეთელებს რამეს). მაგრამ ისინი მეტად უცნაურები არიან, ყოველ საკითხს დიდხანს, საგულდაგულოდ ამზადებენ და მრავალრიცხოვნებას არად დაგიდევენ. აი, ჩვენ კი, მართალია, საბჭოთა კავშირის ნანგრევებს ქვეშ მოვყევით, მაგრამ ზოგი იმდროინდელი ლოზუნგი მაინც არ დაგვიიწყეთ. ხარისხისთვის ყურადღების მიქცევა არ ღირს. მთავარია, გეგმა გადაჭარბებით შესრულო. მოკლედ, Главное не качество, а количество.

ვიცე-სპიკერი კანონპროექტის სახელწოდების ჩაკითხვას ძლივს ასწრებდა, რომ პარლამენტარებს მხარი უკვე დაჭერილი ჰქონდათ და ჩაქუჩის დარტყმის ხმაც გაისმოდა. არც კვორუმის პრობლემა შექმნილა, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში მყოფ დეპუტატთა რიცხვი იშვიათად თუ აჭარბებდა ორმოცდაათს. გამოსავალი იოლი იყო, ხერხი — გამოცდილი. პარლამენტის ზარმაცი წევრები ბარათებს თავგანწირულ მეგობრებს უტოვებდნენ და პრობლემაც გადაჭრილი იყო. გასაგები მიზეზების გამო, ამგვარ დეპუტატთა დაჯარიმებაზე თავი არ გამოუდვია ხათუნა გოგორიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ ევალება.

თუ საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთ წევრს დავუჯერებთ, საკანონმდებლო ორგანომ შეუდარებლად ნაყოფიერად იმუშავა და, დროის სიმცირის მიუხედავად, ყველა კანონპროექტი სათანადოდ შეისწავლა. ხმა ბრმად არავის მიუცია. სხვათა შორის, მე ეს იმავე უმრავლესობის სხვა წარმომადგენლებთან გადავამოწმე. არაფორმალურ საუბარში ყველამ აღნიშნა, რომ კანონპროექტებისთვის თვალის გადავლებაც ვერ მოასწრეს.

რაკი ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები თავიანთი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაზე საგაზეთოდ ძვირს არ წამოიცდენენ. მაგრამ საინტერესოა, როგორ აფასებს პარლამენტის საშემოდგომო სესიას ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ მდივანი **მანანა ნაჭყებია.**

— მართალია, ვიცე-სპიკერი ამაყობდა მიღებული კანონების სარეკორდო რაოდენობით, მაგრამ არა მგონია, ამით პარლამენტის საქმიანობის ეფექტურობა გამოიხატებოდეს. ვისურვებდი, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ბევრად ნაკლები რაოდენობის, მაგრამ ბევრად უფრო გააზრებული, ქმედითუნარიანი და ქვეყნის წინსვლის ხელშემწყობი კანონი მიეღო.

ამგვარ დახასიათებას მთავრობა თუ პარლამენტი საგადასახადო კოდექსს აძლევდა. თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, როგორ აწონა თავისი შენიშვნები ბატონმა რომან გოცირიძემ და ბედნიერლიმილიანმა განაცხადა, მხოლოდ ნახევარი კილოგრამი შენიშვნა დამრჩაო. პრემიერ-მინისტრი კი ამბობდა, ჩვენი ახალი საგადასახადო კოდექსი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურიაო. მართალია, მანანა ნაჭყებია ეკონომისტი არ არის, მაგრამ „მემარჯვენე“ ქალბატონს უამრავი ბიზნესმენისა თუ მცირე მეწარმისაგან გამოთქმული უკმაყოფილება მოუსმენია.

— განაკვეთები შემცირდა, მაგრამ იმდენად გართულდა ადმინისტრირება, კოდექსმა იმდენ რამეზე განაპირობა ფასების მომატება, რომ ეს შემცირება არც მოქალაქის ჯიბეზე აისახება და არც — ქვეყნის ეკონომიკაზე.

საგადასახადო კოდექსი გარკვეულ შეღავათებს უწესებს პრესას, რისთვისაც, ცხადია, ყველანი მადლიერები ვართ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს წინადადება „მემარჯვენეებმა“ შეიტანეს პარლამენტში. ინიციატივა კი თავად პრესიდან წამოვიდა. თუმცა, საბოლოოდ, ეს ყველაფერი ხელისუფალთ მიეწერა. პრინციპში, ამ შემთხვევაში ეს დიდად მნიშვნელოვანი არ არის, მთავარია, ხილი ვიხილოთ.

საშემოდგომო სესიაზე მიღებულ კანონთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფინანსური ამნისტია. ქალბატონი მანანა დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოს მიმართ ნდობადაკარგული ბიზნესმენები თავს აარიდებენ თავიანთი ქონების სრულად დეკლარირებას, რათა გარკვეული პირები თავზე არ დაადგნენ და ფული არ მოსთხოვონ.

— შეიძლება ჩემი განცხადება ძალზე არაპოპულარული აღმოჩნდეს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა. სჯობდა, ხალხისთვის მოპარული ფული ხარკის სახით კი არ გადაეხდევინებინათ, რომელიც არავინ იცის, სად მიდის, არამედ ქვეყნის ეკონომიკაში ჩაედოთ ლიბერალურ საგადასახადო გარემოში. დაკავებული ადამიანი საპროცესო გარიგების შედეგად გარკვეულ თანხას იხდის ბიუჯეტში, გაცილებით მეტს კი — არმიის განვითარების ფონდში, იქიდან კი უკონტროლოდ იხარჯება.

მანანა ნაჭყებია არ იწონებდა კანონპროექტს უმაღლესი განათლების შესახებ. „მემარჯვენეებმა“ გარკვეული ალტერნატივა წარმოადგინეს, რაც მეორე მხარემ არ გაითვალისწინა. კანონპროექტი ბევრად დახვეწა პარლამენტის განათლების კომიტეტმა, მაგრამ ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი „მემარჯვენე ოპოზიციისთვის“. თუმცა, ცხადია, მათი ხმების დაკლება პარლამენტის საბოლოო გადაწყვეტილებას არ დატყობია.

„მემარჯვენეებმა“ ხმა არც საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ კანონს მისცეს. მათი აზრით, ის მხოლოდ საზოგადოებრივ ტელევიზიად წოდებულ არხს უქმნის კარგ პირობებს, სხვა კერძო ტელეკომპანიებს კი მდგომარეობას ურთულებს, არათანაბარ ვითარებაში აყენებს.

— ამას გარდა, ძალიან კარგად დავინახეთ, ვის და რისთვის სჭირდება საზოგადოებრივი მაუწყებლობა. ე. წ. მონიტორინგის ჯგუფმა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს მუშტები უბრახუნა მაგიდაზე. თურმე მათი პრეროგატივაა, გადაწყვიტონ საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერში ვინ დაჯდეს და ვინ — არა.

პარლამენტის ბოლო სასესიო კვირაში ყველაზე მეტად ანაბრების საკითხი იყო გახმაურებული. სამუშაო ჯგუფი, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რომ დეპუტატი ვანო ჩხარტიშვილი გაემართლებინა. ქალბატონი მანანა იმ ჯგუფის შექმნასა და საქმიანობას წლის ნაყვად მიიჩნევს.

— მთელ იმ პროცესში იქნებ არც არსებობს ერთადერთი დამნაშავე, მაგრამ რომც იყოს და გამოააშკარავონ, ეს ხალხს ვერაფრით დაეხმარება. მთავარია, სახელმწიფომ ეტაპობრივად დაუბრუნოს ხალხს ფული, დაიწყოს ყველაზე გაჭირვებულებით. კარგად მახსოვს, დღევანდელი ხელისუფლება ამომრჩევლებს ჰპირდებოდა ამას, თუმცა დღეს გადათქვა.

მე, პირადად, ეს, ჯერჯერობით, შეუძლებლად მიმაჩნია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — ანაბრების საკითხის ე. წ. შესწავლას არაფერი მოჰყოლია, გარდა იმისა, რომ ხალხს აჩვენეს, პრობლემა არ დაგვვიწყნიაო. ისიც უთხრეს, ჩხარტიშვილი ტყუილად გვონიათ დამნაშავეო.

რუსუდან გახარია.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„პრეზიდენტობა ჩემთვის ყველაზე მოსახერხებელი პროფესია არ არის“

იური სიმონიანი, „ნეზავისიმაია გაზეტა“, 12 იანვარი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

(პირველი გვერდიდან)

რაც შეეხება თანამშრომლობას, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ერთობლივ ანტიტერორისტულ საქმიანობასთან, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ბედის გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსი. ჩვენ საერთო პოზიციები გვაქვს მრავალი საკითხის შესახებ საერთაშორისო ასპარეზზე, ეს საერთაშორისო უშიშროების საკითხებსაც ეხება. ჩვენ მთლიანად ვერ ვიყენებთ ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალს. ღმერთმა ინებოს, რომ საერთო პოზიცია გვქონდეს ჩვენ ასევე აფხაზეთისა და ოსეთის თაობაზეც. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და იმედი მაქვს, რომ რუსეთის პოლიტიკის ევოლუცია, რომელიც 2004 წელს ჩვენთვის არც თუ ისე სასიამოვნო მხარეს გადაიხარა, წელს სულ სხვა მიმართულებას აირჩევს. თუმცა, ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ ვიმუშავებთ და ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ ჩვენი ურთიერთობა ნორმალური გახდეს.

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ერთი წელი გავიდა. ყველა იმედი გამართლდა?

— ამ ერთი წლის განმავლობაში საქართველო სულ სხვა ქვეყანა გახდა. და ეს გამოიხატება არა მარტო ციფრებით, თუმცა, ბიუჯეტი სამჯერ და მეტად გაიზარდა, შეკეთებული გზების რაოდენობით და ა. შ. მთავარია, რომ შეიცვალა ადამიანების განწყობილება. ქვეყანაში დაიწყო ახალი პოზიტიური პროცესები. ჩვენ შევძელით მოგვეგვარებინა აჭარის პრობლემა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო. საქართველო დაემსგავსა სახელმწიფოს, რასაც წინათ ვერ ვიტყოდით. ქვეყანაში ახლა ნამდვილად მტკიცდება სახელმწიფოებრიობის სისტემა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია, რომელშიც ჩაბმული არიან არა მარტო ეთნიკური ქართველები, არამედ აქ მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები.

— რეგულარულად ვრცელდება ხმები იმის თაობაზე, თითქოს გაუარესდა თქვენი ურთიერთობა „ვარდების რევოლუციაში“ ძირითად მოკავშირეებთან — ნინო ბურჯანაძესთან და ზურაბ ჟვანიასთან. რამდენად რეალურია საქართველოში ხელისუფლების გადანაწილება?

— განხეთქილების შესაძლებლობის შესახებ ლაპარაკი უკვე რევოლუციის დასრულებისთანავე დაიწყო. მაგრამ გავიდა ერთი წელი, ეს პროგნოზი კი არ გამართლებულა. უფრო მეტიც, ჩვენი ურთიერთობა არათუ გაუარესდა, არამედ პირიქით, გაუმჯობესდა კიდეც. ჩვენი პარტიები გაერთიანდა. ჩვენი თანამშრომლობა ახლა უფრო მჭიდროა, ვიდრე, წინათ იყო. საქართველომ ყველას უჩვენა გრძელვადიანი კოალიციის ჩინებული მაგალითი. ხშირად ხდება, როცა გარდამავალი პერიოდის დროს ასეთი კოალიციები მიზნის მიღწევისთანავე იშლება ხოლმე. ჩვენი მიზანი კი, გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე ხელისუფლების აღება. სწორედ ეს არის ჩვენი ურთიერთობის საიდუმლო — საერთო მიზანი: საქართველოს გაერთიანება, მისი ნორმალურ სახელმწიფოდ გადაქცევა ყველა თვალსაზრისით. თანაც, ჩვენ ჩინებული პირადი ურთიერთობა გვაქვს.

— საქართველოსთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემაა დაკარგული ტერიტორიები. მოლაპარაკება გაჭიანურდა როგორც სოხუმთან, ისე ცხინვალთან...

— ყოველგვარ მოთმინებას აქვს საზღვარი. ამ საკითხების ნებისმიერი გადაწყვეტა მხოლოდ პოლიტიკური უნდა იყოს. არ არსებობს წმინდა სამხედრო გადაწყვეტილებები. ეს ყველაზე ცუდი იქნება. ჩვენ ეს ჩინებულად გვაქვს შეგნებული და ამაზე ხმამაღლაც ვლაპარაკობთ. ბუნებრივია, ჩვენ ვაძლიერებთ შეიარაღებულ ძალებს, მაგრამ ეს არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს განმტკიცების პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მეორე მხრივ, შეგნებული გვაქვს, რომ თვით ყველაზე მძლავრი შეიარაღებული ძალებიც კი, არადა, საქართველოს ალბათ, არასდროს ეყოლება ზემძლავრი შეიარაღებული ძალები, ყველაზე პატარა პრობლემასაც კი ვერ გადაჭრიან.

ამ ბოლო ხანებში დაისახა გარკვეული პროგრესი სამხრეთ ოსეთში, თუმცა, იქ ვითარება მაინც შორს დგას სასურველისგან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მარტო დროებით დაკარგული ტერიტორიების, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების ინტეგრირება. მაგალითად, ქართულ არმიაში უკვე მსახურობენ სომხები, აზერბაიჯანელები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რაც წინათ არ ყოფილა. ჩვენ ვაპირებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დავაარსოთ სპეციალური სკოლა სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების წარმომადგენელთათვის, რათა ახალგაზრდობამ მიიღოს შესაბამისი განათლება და შეძლოს სრულფასოვანი მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და მართვაში. ჩვენ ვაპირებთ რეალურად განვამტკიცოთ საერთო-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და არა — რაღაც „სტრატეგიული“ ან კუთხური. საქართველო პატარა ქვეყანაა. იგი შეიძლება იყოს ძლიერი, თუ მისი ყველა მოქალაქე შეიგნებს, რომ ქვეყნის წარმატება მათაც რაღაცას მოუტანს. ოსეთის კონფლიქტი ხელოვნურად არის გაღვივებული. მე იგი ძალზე რთულად არ მიმაჩნია. რუსეთს რომ გამოეჩინა კეთილი ნება ამ საკითხში, იგი კარგა ხნის მოგვარებული იქნებოდა. აფხაზეთში საქმე უფრო რთულადაა. მაგრამ იქაც მივაღწევდით სერიოზულ პროგრესს, რუსეთი ამით დაინტერესებული რომ ყოფილიყო.

— ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად შეიცვალა აფხაზეთის დამოკიდებულება მოსკოვის მიმართ. იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთებმა რუსეთის პასპორტების მიღებაზეც კი უარი განაცხადეს... ხომ არ ისარგებლებს თბილისი ამით, რათა მოაწესრიგოს ურთიერთობა აფხაზებთან?

— ჩვენ არ გვსურს რაიმეთი „ვისარგებლოთ“. რა თქმა უნდა, რუსეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა თავიანთი მოქმედებით ყველას დაანახეს პოლიტიკური ელიტის ნაწილის იმპერიული ინსტინქტები. ამან დიდად არ გაახარა აფხაზები, რომლებსაც წარსულში, შესაძლოა, რაღაც ილუზიები ამოძრავებდათ. როცა ჟირინოვსკი ცდილობს საქართველოს დაშინებას, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს იგი აფხაზი ხალხის მეგობარი იყოს. აფხაზების მიმართაც ჟირინოვსკი ისეთივე იმპერიალისტია, როგორც ქართველების მიმართ. აფხაზეთის საზოგადოებამ ეს თანდათანობით შეიგნო. ჩვენ არ გვსურს ომის დაწყება, მაგრამ აფხაზეთის საკითხი უნდა გადაწყდეს ფართო ავტონომიის ფარგლებში.

უახლოეს მომავალში, უკვე იანვარში, ჩვენ ოფიციალურ წინადადებებს წარვუდგენთ სოხუმსა და ცხინვალს. ჩვენ ბევრი რამის შეთავაზება შეგვიძლია. გულახდილად რომ გითხრათ, არ მაქვს იმის იმედი, რომ ამას დაუყოვნებლივ მოჰყვეს დადებითი რეაქცია თვითგამოცხადებული მთავრობების გავლენიანი მოხელეების მხრიდან, განსაკუთრებით — აფხაზეთში. მაგრამ ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვეულებრივი ადამიანების რეაქციაზე, რომლებსაც ჩინებულად აქვთ შეგნებული, რომ ასეთ ვაკუუმში, ხელოვნურად ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში, დიდხანს ცხოვრება არ შეიძლება. საჭიროა მორიგების მიღწევა. ამჟამად შექმნილი ვითარება, წამგებიანია ყველასთვის.

მე არ შევცვლილვარ. კვლავ ძალზე მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა. შესაძლოა, ჟურნალისტები უკვე შეეჩვივნენ ამას და აღარ სურთ ჩემთან ერთად იარონ საზოგადოებრივ ადგილებში, მეც დიდად არ მსიამოვნებს, ჩემს გვერდით მათი მუდმივი ყოფნა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, თქვენ პრეზიდენტად შეიძლება იყოთ მხოლოდ ორი ვადით. როგორ ფიქრობთ, რა საქმიანობას მოკიდებთ ხელს ცხრა წლის შემდეგ, როცა მოიხსნით პრეზიდენტის უფლებამოსილებას?

— სხვათა შორის, მთელი ამ ცხრა წლის განმავლობაშიც ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი პრეზიდენტად. უნდა გითხრათ, რომ პრეზიდენტობა არ არის ჩემთვის ყველაზე ხელსაყრელი პროფესია, თუმცა, ძალზე პასუხსაგებია. საერთოდ კი, მე და ჩემი მეგობრები ამაზე არ ვფიქრობთ. ჩვენი მთავარი საზრუნავია, გადავჭრათ ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები და რაც მალე მოხდება მათი მოგვარება, მით უფრო მალე დასრულდება ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის ვადა.

— თუ რაღაც გარკვეული მიზეზების გამო, საქართველო იმ დროისთვის ვერ გახდება ნორმალური სახელმწიფო, მაინც აქ დარჩებით საცხოვრებლად თუ რომელიმე სხვა ქვეყანაში დააპირებთ წასვლას?

— ჩემი აზრით, საქართველო ნამდვილად გახდება ყველა თვალსაზრისით ნორმალური სახელმწიფო, და ამაში დარწმუნებულიც კი ვარ. მთავარია, რომ არ მოხდეს რაიმე სტიქიური ან პოლიტიკური უბედურება. მე ვცადე, მეცხოვრა საზღვარგარეთ, მაგრამ ეს არ გამომივიდა. რა თქმა უნდა, საქართველოში დავრჩები.

მოამზადა სიმონ კილაძემ.

(იბეჭდება შემოკლებით).

№ 8, ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2005 წელი.

ყველას თავისი აზრი აქვს

ადამიანები არ უნდა დავახარისხოთ თანამდებობის და ასაკის მიხედვით

ამბობს არასამთავრობო ორგანიზაციის „თემიდას“ ხელმძღვანელი ასმათ ტყაბლაძე

— ქალბატონო ასმათ, ერთ-ერთი ტელეგადაცემის დროს შემოგიტიეს და გაგაკრიტიკეს, რადგან უარყოფითად შეაფასეთ ცხინვალის რეგიონში ზაფხულში განხორციელებული ოპერაცია...

— არ არსებობს ქართველი, ვისაც არ სურდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ხელისუფლების ეს სურვილი მისასალმებელია, მაგრამ საჭიროა დაფიქრება, რამდენად სწორად ვმოქმედებთ ამ შემთხვევაში.

რაც ცხინვალში მოხდა, ჩემთვის, პირადად, მიუღებელია. ახალგაზრდები დაიხოცნენ, ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ურთიერთობა ისევ დაიძაბა. იმ პერიოდში ვესაუბრე თამარაშენსა და დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ადამიანებს. მათ მითხრეს, რომ ქართველებსა და ოსებს შორის უკვე დაწყებული იყო შერიგება, მაგრამ ბოლო მოვლენებმა ისევ დაძაბა ვითარება. ჩვენი სოფლები კუნძულივით მოწყვეტილი დარჩნენ... ყველამ ნახა, ახალი წლის დღეებში როგორ დაიბომბა ქართული სოფლები, ერთი სახლი დაიწვა. იქაურები ვითარების მძევლებად იქცნენ.

რისთვის დაიხოცნენ ჯარისკაცები? განა ჯარი იმისთვის გვინდა, რომ ნებისმიერ დროს დასახოცად გამოვიყენოთ? იქ ერთი დუშელი ბიჭი გარდაიცვალა, — დედით ოსი და მამით ქართველი. დედამისს უტირია, თუ ჩემი შვილის სიკვდილი ოსი და ქართველი ხალხის ურთიერთობას გამოასწორებს, ხმას არ ამოვიღებო. რომ ვერ გამოსწორდა? ვინ იცის, რამდენი ასეთი ოჯახი გაუბედურდა. მე, პირადად, ვეჭვობ, ომით რაიმე კონფლიქტი მოგვარდეს. ისევ სიბოროტე და ერთმანეთის მიმართ მტრობა ჩნდება.

— ერგნეთის გადაკეტვამ ბიუჯეტს დიდი რაოდენობით თანხა შემატა...

— ერთი ადამიანის სიცოცხლე არსებულ ბიუჯეტზე მეტად მიღირს. ყოველ ჯარისკაცს უნდა გავუფრთხილდეთ და თუ შედეგი არ მოჰყვება, არც ერთი ოპერაცია არ უნდა ჩატარდეს. ცალკე საუბრის თემაა თავად ქართულ ჯარში არსებული პრობლემები.

— რას გულისხმობთ?

— უპირველესად, მათს საყოფაცხოვრებო პრობლემებს. ერთი ამბავი ატეხეს ამ საცოდავ მუხროვანის ბიჭებზე. 60 ადამიანი ერთდროულად რომ იტყვის, ცუდ პირობებში ვართო, ე. ი. მართლა არ არის საქმე კარგად. ისინი კი არ უნდა დავსაჯოთ, უნდა მოვუსმინოთ, გავიგოთ, სინამდვილეში რა ხდება. 18-19 წლის ახალგაზრდებს კვება სჭირდებათ, ჯანმრთელები რომ იყვნენ. მშიერი ადამიანი იოლად ბოროტდება. განა შეიძლება, დეზერტირად გამოაცხადო მშიერი ჯარისკაცი?

ახლა ხშირად გაიგონებთ, ადამიანის უფლებებს ვიცავთო. მრავალი ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა. თავად სახალხო დამცველიც საკუთარ თანამდებობაზე არასამთავრობო ორგანიზაციიდან მოვიდა. მისმა მუშაკმა კი არ მიიღო ისინი, გამოყარა ოფისიდან. პირდაპირ გასაკვირია — თუ პატიმრის უფლებებს ვიცავთ (მათგან ზოგი მკვლელია, ზოგმა ვიღაცის შვილი გააუპატიურა, ანდა, სხვა საშინელი დანაშაული ჩაიდინა), მათ გამო ხშირად ხმამაღლა პროტესტს გამოთქვამენ არასამთავრობო ორგანიზაციები. გეკითხებით, ჯარისკაცმა რა დააშავა?

კი, ბატონო, სიმკაცრე ჯარში აუცილებელია, მაგრამ მშიერი, ტიტველი და დაუბანელი რომ იქნები, ეს არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. მშიერმა და გაბოროტებულმა ადამიანმა მე როგორ უნდა დამიცვას? ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის როგორ უნდა იბრძოლოს?

ამბობენ, კომანდოს ბატალიონს ამერიკა აფინანსებსო. იქ, მართლაც, თვალსა და გულს რომ გაუხარდება, ისეთი ჯანმრთელი ბიჭები მსახურობენ, მაგრამ ვისთვის არის ეს ჯარი? თუ ერაყისთვის და ავღანეთისთვის ამზადებენ, სადაც დასჭირდებათ იქ გააქანებენ ჩვენს ნარჩევ ბიჭებს, ამის წინააღმდეგი ყოველთვის ვიქნები. თუმცა ჯერ არ გამიგია, რომელიმე ქართველი ჯარისკაცი ერაყში დაღუპულიყო. ალბათ ღმერთი გვიფარავს.

არ მომწონს, როდესაც არსებითად განსხვავდება პირობები სხვადასხვა სამხედრო ნაწილში, ერთი პრივილეგიებით სარგებლობს, მეორე კი — არა.

— საზოგადოებაში ხშირად გაიგონებთ უკმაყოფილებას თანამდებობის პირების მიმართ, რომ ისინი ჩვეულებრივ მუშაკთაგან განსხვავებით, საგრძნობლად მაღალ ხელფასებსა და პრემიებს იღებენ...

— როგორ უნდა აიღო მაღალი ხელფასი, როცა შენს გვერდით მეზობელი მშიერია? ომის დროს ინგლისის დედოფალმა თავის სასახლეში ელექტროობა გამორთო, რადგან ლონდონში ხალხს შუქი არ ჰქონდა. ხალხი და ხელისუფლება ერთნაირ პირობებში უნდა ცხოვრობდნენ. რატომ ამოტივტივდნენ და რატომ გამოირჩევიან განსაკუთრებული მდგომარეობით ზოგიერთები? რატომ უნდა ჰქონდეს ვიღაცას 10 ან 5 ათასი ლარი შემოსავალი, რა გააკეთეს განსაკუთრებული, ვთქვათ, საკრებულოს დეპუტატებმა, მაღალი ხელფასები და პრემიები რომ აქვთ? მაშინ, როდესაც უმუშევრობა მძვინვარებს და 20 ლარია პენსია. იმავდროულად, ფასები საგრძნობლად მატულობს და საშინელი ინფლაციაა დაწყებული. მალე იმ 20 ლარს ათი ლარის ფასიც აღარ ექნება.

ასეთ ვითარებაში, თურმე 180 ათასი ლარი თუ დოლარი იხარჯება რომელიღაც თანამდებობის პირის კაბინეტის რემონტზე ან რომელიმე მინისტრის ახალ მანქანაზე. ზოგიერთებმა შეიფერეს და მოირგეს ეს სიკეთე. მიაჩნიათ, რომ რადგან თანამდებობის პირები გახდნენ, ახალი მანქანა უნდა ემსახურებოდეთ, მობილური ტელეფონი მისცენ სახელმწიფოს ხარჯზე. კაბინეტები სასწრაფოდ გაურემონტონ... ამას მეორენაირად კორუფცია ჰქვია.

ამ დროს ფინანსთა მინისტრი ხმას არ იღებს. ასეთ დროს მან კატეგორიული უარი უნდა თქვას ამ თანხების გაცემაზე.

ძველი ხელისუფლების შეცდომები ახალმა მთავრობამ აღარ უნდა გაიმეოროს. აუტანელი იყო, შევარდნაძის გულისთვის საგზაო მოძრაობა რომ ჩერდებოდა. ახლაც იგივე მეორდება, ამა თუ იმ თანამდებობის პირისთვის ქუჩები იკეტება და არის ერთი წრიალი და ბზრიალი.

— სტატისტიკის მიხედვით, არა მარტო თბილისში, მთლიანად საქართველოში საგრძნობლად იმატა მძიმე დანაშაულთა რაოდენობამ. ამაზე რას იტყვით?

— სამწუხაროდ, ყოველ დღე გვესმის, რომ ვიღაცას კლავენ, მაგრამ იშვიათად რომ ეს საქმე ბოლომდე გამოიძიონ.

ნებისმიერი ადამიანი მიხვდება, ბინას ტეხავს ისევ იმ სახლის მაცხოვრებელი. სხვამ ვინ იცის, ვინ როდის გადის შინიდან. ნაძალადეველი ვაკეში არ მიდის და — პირიქით. თუ უნდათ, კარგად იციან, ვინ სად რას იპარავს.

ამას წინათ, ფასანაურელი ბიჭი — წიკლაური საპენსიო ფულის გატანისას დააყაჩაღეს და მოკლეს. ავტომატის ჯერით გულში 5 ტყვია მოარტყეს. მცირეოდენი ხელფასის გულისთვის ემსახურებოდა ამ საპასუხისმგებლო საქმეს. თუ თანამდებობის პირები ჯავშნიანი მანქანითა და დაცვით დაიარებიან, საპენსიო სამსახურს რატომ არ უნდა ჰყავდეს სათანადო დაცვა? ან რატომ ფერხდება ასეთი შემთხვევების გამოძიება? რისთვის გვჭირდება ამდენი იურისტი და გამომძიებელი, თუ არ შეუძლიათ დამნაშავის ვინაობა გაიგონ. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? ვგონებ, მსოფლიოში, ყველაზე საცოდავი და გაუბედურებული ერი ვართ, მაგრამ თან რა ლამაზი და კარგი ქვეყნის შვილები ვართ.

— მოგწონთ თბილისის იერ-სახე, ცვლილებები საგზაო მოძრაობაში?

— ქალაქის მესვეურთაგან ხშირად გაიგონებთ, თბილისის იერ-სახე მახინჯდება და უნდა გამოვასწოროთო, მაგრამ რეალურად გაკეთებული საქმე ჯერ თითქმის არ მინახავს. გაიარეთ და ნახეთ, რას ჰგავს ძველი ქალაქი, ვერა ან ვაკე? შენდება და შენდება ერთმანეთის ცხვირწინ ჩახერგილი მაღალი კორპუსები, მახინჯდება უბნები, ქუჩები... თუ ქალაქის მესვეურები თავად ვერ ხედავენ, მკითხონ და ვაჩვენებ, სად რა სიმახინჯეა და რომელია სასწრაფოდ მოსაშლელი.

მისახედია, აგრეთვე, მოძრაობის წესები, ჯერ რაღაც სამკუთხედი გააკეთეს, ახლა მისი გადაკეთება უნდათ. განა არ შეიძლებოდა, თავიდანვე კარგად მოეფიქრებინათ ეს საკითხი, ძველი სპეციალისტებიც მოეწვიათ და ერთად ემსჯელათ?

მოსაგვარებელია, აგრეთვე, მიკროავტობუსების საკითხი. საშინელებაა, ისე დადიან. მოძრაობის წესებს ხშირად არღვევენ, დასჯით კი არავინ ისჯება. ამას წინათ, ჩემთან უცხოელი ჩამოვიდა სტუმრად, მიკროავტობუსების შემხედვარე, გაოცდა, — რა ხდებაო. ცივილიზებული ქვეყნის შთაბეჭდილება კი არ გრჩება, თითქოს პაპუასებს ჩაუგდეს ხელში მანქანები, როგორც უნდათ ისე დარბიან. ნუთუ ამის მოვლა არ შეიძლება?

ამასთანავე, არც კარგის დაუნახაობა არ ეგების. კარგია, რომ გარევაჭრობა აიკრძალა. ძალიან მომწონს საპატრულო პოლიცია. შესანიშნავი ყმაწვილები არიან, გესიამოვნება მათი დანახვა, გარეგნობით და ზრდილობით გამოირჩევიან... ასეთ კარგ საქმეებს ყოველთვის მივესალმები.

— ტოტალურ უმუშევრობას არა და არ ეშველა...

— ქვეყანა, სადაც ერთი წარმოებაც კი არ ამუშავებულა, დასაქმების პრობლემას იოლად როგორ მოაგვარებს? ნუთუ ისე დავძაბუნდით, რომ უბრალო რაღაცის წარმოებაც არ შეგვიძლია და თურქულზე ვართ დამოკიდებულნი? თუნდაც, ხელსახოცი ავიღოთ. არადა, ნიჭიერი ხალხია ქართველები, მაგრამ ეს ნიჭი ჩაკლულია.

არ მომწონს, როცა მხოლოდ ახალგაზრდებს ასაქმებენ, ძველ კადრებს კი ხელაღებით უშვებენ სამსახურებიდან. ახალგაზრდამ უფროსისგან უნდა შეიძინოს გამოცდილება და სწავლა. ბალეტად ხომ არ გადაიქცა საქართველო, რომ 40 წლის შემდეგ ყველა უნარდაკარგულია და აღარავინ სჭირდებათ?

...ასმათ ტყაბლაძემ ქართველ მეცენატებზეც ისაუბრა, მან მადლიერებით მოიხსენია ბიძინა ივანიშვილი, ვინც, ფაქტობრივად, საქართველოში თეატრი ააღორძინა და ერს საგანძური დაუტოვა, მსახიობებს სტიპენდიები დაუნიშნა, სამების ტაძრის ასაშენებლად დიდძალი თანხა გაიღო და ამ სიკეთეს იგი ჩუმად, უხმაუროდ აკეთებს.

„სხვა მილიონერებიც არსებობენ, რომლებიც მხოლოდ სათავისოდ აგროვებენ ქონებას. ისინი სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილებს გვანან, თუ მილიონების გაცემა არ იცი, ღმერთი არ შეგარგებს. ტყუილად კი არ ამბობდა რუსთაველი: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. თვითეულმა რაღაც მცირედი რომ გაიმეტოს გაჭირვებული ხალხისთვის, ისიც მადლია: ან ერთი სასადილო ააშენოს უპოვართათვის, ან ქუჩაში დარჩენილ ბავშვებზე იფიქროს, უპატრონო ბავშვთა სახლებს მიხედონ...

ეეჰ, მისახედი მართლაც ბევრი გვაქვს...

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი.

გზად თანაცხოვრებისკენ

როგორ გავალღობინოთ სიყვარულს გაუცხოების ყინული?

ჩვენი კორესპონდენტის კითხვას უპასუხებს „შლაინინგის პროცესის“ აქტიური მონაწილე, პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი

როგორც მკითხველისთვის ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებს დაავალა აფხაზეთის საკითხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით პროექტების წარმოდგენა. საზოგადოებამ უკვე იცის ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მოსაზრება. ამასთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ ყოფილ პარლამენტარს, ქართველ და აფხაზ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხვედრა-სემინარების — ე. წ. „შლაინინგის პროცესის“ აქტიურ მონაწილეს ჰამლეტ ჭიპაშვილს.

— ბატონო ჰამლეტ, როგორია თქვენი მოსაზრება ამ წინადადებებთან დაკავშირებით და რა სიახლეს ხედავთ მათში?

— დავიწყებ შლაინინგით. შლაინინგი ავსტრიის ერთი პატარა ქალაქია, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ საფუძველი ჩაეყარა ქართულ და აფხაზურ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა დიალოგს. ახლა უშუალოდ თემაზე:

ზოგიერთი მოსაზრების გარდა, თითქმის ყველა ის არის, რის შესახებაც სამი წლის წინათ გვქონდა საუბარი აფხაზურ მხარესთან. აფხაზებს სთავაზობენ ფართო ავტონომიას, ეკონომიკური სანქციების მოხსნას, კომუნიკაციების აღდგენას, საკუთარი ფულის ერთეულისა და პასპორტის შემოღებას, მართვის დამოუკიდებლობას და სხვა. დაახლოებით, იმ ურთიერთობებს, რაც არსებობს პეკინსა და ჰონ-კონგს (სიანგანს) შორის. ეს საკითხები ჩემთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ისინი დეტალურად არის განხილული „შლაინინგის“ შეხვედრებზე. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების დროს ამ წინადადებებისათვის არ მიუქცევიათ ყურადღება. უფრო მეტიც, შევარდნაძე არც ერთხელ არ დაინტერესებულა „შლაინინგის“ მოლაპარაკებებით, არც ერთხელ არ შეხვედრია ამ პროცესში მონაწილე ქართულ მხარეს. მაშინ ჩვენ მიერ გაკეთებულ განცხადებებს ზოგი არასამთავრობო ორგანიზაცია მიუღებლად მიიჩნევდა და კრიტიკის ქარცეცხლშიც ატარებდა. დღეს იგივენი დადებითად მიიჩნევენ ჩვენ მიერ სამი წლის წინათ განხილულ წინადადებებს, თან იმდენად დადებითად, რომ საკუთრადაც აცხადებენ. არადა, სამი წლის წინათ მეტი მონდომებით და გაგებით რომ ემოქმედათ, რაღაცას მაინც მივაღწევდით.

ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთის საკითხისადმი ყოფილი ხელისუფლების უინტერესო მიდგომამ პროცესი გააჭიანურა, აფხაზები დაარწმუნა საქართველოს გარეშე ცხოვრების შესაძლებლობაში, რითაც გამოუვალ ჩიხში შეიყვანა ამ საკითხის საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტა. „შლაინინგის“ შეხვედრის დროს ჩვენს მიერ შეთავაზებულმა წინადადებებმა აფხაზთა ჯეროვანი ყურადღება დაიმსახურა. აი ეს წინადადებებიც: 1. ომის გაჩაღებისათვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ ბოდიშის მოხდა ქართველი და აფხაზი ხალხისათვის; 2. თბილისსა და სოხუმს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმება; 3. ეკონომიკური სანქციების მოხსნისათვის დსთ-სათვის მიმართვა; 4. ერთობლივი საბჭოს შექმნა; 5. აფხაზეთის სტატუსის განხილვის გადადება; 6. ეკონომიკური და სხვა კავშირების ამოქმედება.

ჩამოთვლილი საკითხები ზოგიერთს პოზიციების დათმობად მოეჩვენება, მაგრამ სხვა წინადადებები აფხაზებისათვის მიუღებელია. საეჭვოდ მეჩვენება აფხაზეთის ძალით დაბრუნება და, თუ ეს მაინც მოხდა — მისი შენარჩუნება. აფხაზებს, რომლებმაც კარგი საბრძოლო გამოცდილება შეიძინეს 1992-1993 წლებში და რომლებსაც რუსეთის ფედერაცია და ჩრდილოკავკასიის ხალხები მხარს უმაგრებენ, თავისუფლად შეუძლიათ პარტიზანული ომის წარმოება, ქართული მმართველობისათვის გაუსაძლისი პირობების შექმნა. არც ის არის გამორიცხული, რომ განახლებულ სამხედრო მოქმედებას კავკასიის ომი მოჰყვეს.

საქართველოს პოლიტიკურ სისტემაზე საუბრის დროს, საზოგადოების გარკვეული წრისათვის ფედერალური მოწყობა მიუღებელია. ისინი უმჯობესად მიიჩნევენ უნიტარულ სისტემას, რაც დროის მოთხოვნისაგან და რეალური ვითარებისაგან შორს არის. ცხადია, ყველას აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, მაგრამ მან ხელი არ უნდა შეუშალოს ქვეყნის გამთლიანების საქმეს. ის, რომ ამ უნიტარიზმის იდეამ, თუნდაც უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, ვერაფერი სიკეთე მოგვიტანა, ფაქტია.

„შლაინინგის“ მოლაპარაკებებზე, ჩვენს მიერ შეთავაზებულმა წინადადებებმა აფხაზთა ყურადღება დაიმსახურა, თუმცა შევარდნაძის ბოდიშის მოხდასთან დაკავშირებით (მაშინ შევარდნაძე იყო პრეზიდენტი), მათ განაცხადეს, რომ შევარდნაძეს აფხაზეთის საზოგადოებაში იმდენად აქვს გატეხილი სახელი, რომ მის სიტყვებს აფხაზები ყურადღებას არ მიაქცევენო, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ სატელევიზიო განცხადებამდე ისინი შეამზადებენ აფხაზეთის მოსახლეობას. ბოდიშის მოხდა იოტისოდენადაც არ აკნინებს საქართველოს ან მის პრეზიდენტს. პირიქით, ის აძლიერებს ნდობის ფაქტორს. მსგავსი ქმედება მაშინ მოხდა, როდესაც გერმანიამ ბოდიში მოუხადა ისრაელს, ებრაელებს მეორე მსოფლიო ომში გენოციდისათვის, ჩრდილო კორეამ — იაპონიას იაპონელთა გატაცებისათვის და სხვა. ძლიერი იხდის ბოდიშს. ბოდიშის მოხდას უნდა მოჰყოლოდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების ამოქმედება-განხილვა ერთობლივ საბჭოში. ამ საბჭოში უნდა შესულიყვნენ საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის სამ-სამი წარმომადგენელი. ერთობლივი საბჭო უნდა დაემტკიცებინა საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოებს. საბჭოს სხდომები თვეში ერთხელ, მონაცვლეობით თბილისსა და სოხუმში უნდა გამართულიყო. სხომებისათვის საკითხები უნდა მოემზადებინა სოხუმში თბილისის, ხოლო თბილისში სოხუმის წარმომადგენლობებში არსებულ ეკონომიკურ, იურიდიულ, კულტურისა და სხვა დარგების კომისიებს.

აფხაზებმა დადებითად განიხილეს აღნიშნული წინადადებები. მათთვის მთავარი იყო და არის აფხაზეთის სტატუსის განხილვის გადადება. აფხაზებმა ამ პროექტს „გაყინული სტატუსი“ შეარქვეს და ნორმალური ვითარების შექმნისათვის 10-წლიანი ვადა მიიჩნიეს. აფხაზებმა ისიც აღნიშნეს, რომ თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, სტატუსის განხილვა არა მე-10 წელს, არამედ მე-5 წელსაც იქნება შესაძლებელი.

პროექტი აფხაზებში მეტ გარანტიას იძლევა ქართველთა მიმართ ნდობის ფაქტორის აღდგენისათვის, იმ სავალალო ქმედებათა დავიწყებისათვის, რასაც, სამწუხაროდ, ჰქონდა ადგილი და რასაც აფხაზები გველის ნაკბენივით იხსენებენ. ესენია: 1992 წელს საომარი მოქმედებების დაწყება; 1995 წელს საქართველოს კონსტიტუციაში ავტონომიური ფორმირებების მოუხსენიებლობა; 1998 წელს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის დაპირება და სანაცვლოდ გალის ავანტიურის მოწყობა; მოგვიანებით ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბების დაპირება და ამის ნაცვლად გელაევის სოხუმზე შეტევის მიღება და სხვა.

სამი წლის წინათ, გერმანიაში მოლაპარაკებების დროს, იმედის ნაპერწკალი გაჩნდა, რაც აფხაზთა მხარემაც გაიზიარა — მას „გაყინული სტატუსი“ ჰქვია. ამ შანსის ხელიდან გაშვება მოუფიქრებელი და მოუზომავი განცხადებებით არ ივარგებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ წინადადებებმა დიდად დააინტერესა „შლაინინგის“ პროცესის მთავარი ორგანიზატორი, გერმანიის ბერგჰოვის ცენტრი და მისი ხელმძღვანელი ნორბერტ როუპერსი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სხვა კონფლიქტების და, მათ შორის, შრი-ლანკის კონფლიქტის მოგვარებაში. მისი თხოვნით, „შლაინინგის“ შეხვედრის შემდეგ, გაიმართა ჩემი და ბატონ აკაკი ასათიანის ნორბერტთან შეხვედრა, რომლის დროსაც მან აღნიშნა, რომ პროექტი წააგავს შრი-ლანკის საკითხის მოწესრიგების გეგმას, ხოლო ზოგ ასპექტში უკეთესადაც გამოიყურება. ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება, რომელსაც აფხაზეთის საკითხის მოწესრიგება სწადია, ყველაფერს იღონებს საქართველოში მშვიდობიანი თანაარსებობის პირობების შესაქმნელად.

ესაუბრა
გურამ წიკლაური.

რედაქციისაგან: ბატონ ჰამლეტ ჭიპაშვილის მოსაზრებაში, აფხაზეთის საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით, ცხადია, ზოგი რამ საკამათოა. მთავარი კი ის არის, რომ მიზანი ნათელია — ეს არის საქართველოს ხვალინდელი მშვიდობიანი თანაცხოვრება. იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ჩაებმებიან ამ დისკუსიაში და მოგვაწოდებენ თავიანთ მოსაზრებას ჩვენი ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის დროულად და საზრიანად გადაწყვეტის მიზნით.

კომპეტენტური აზრი

წაგება კატასტროფა არ არის, კატასტროფა გაჩერებაა

ტრანსნაციონალური კომპანიები ყოველთვის შეეცდებიან ჩვენი ბაზრის ხელში ჩაგდებას

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ სამი ეტაპი გაიარა. პირველი – 1820-1914 წლები, როდესაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა საერთაშორისო ვაჭრობა, დაიწყო სამუშაო ძალისა და კაპიტალის გატანა. ყოველივე ამას ხელი შეუწყო დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილო ამერიკას შორის სატელეფონო კაბელის გაყვანამ. მეორე ეტაპი მოიცავს 1914-1950 წლებს. ამ პერიოდში სახელმწიფოებში თავი იჩინა ანტიგლობალურმა მისწრაფებებმა, უპირატესობა მიენიჭა ეროვნული ინტერესების დაცვას. მესამე ეტაპი დაიწყო 1950 წლიდან და გრძელდება დღემდე. ეს ეტაპი არის გლობალიზაციის ყველაზე ინტენსიური განვითარების პერიოდი, რომელიც ხორციელდება რეგიონალიზაციის მეშვეობით, რის საფუძველზეც ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია. ძირითადად, მესამე ეტაპიდან იწყება ტრანსნაციონალური კომპანიებით (ტნკ) სხვა ქვეყნების ბაზრების ხელში ჩაგდების დახვეწილი მეთოდების ჩამოყალიბება:

მიეცით სესხები — უფრო ტექნიკური; გაუწიეთ ჰუმანიტარული დახმარება — მოძველებული საქონლით; გამოისყიდეთ სხვა ქვეყნის საწარმოები — იაფად; ააშენეთ სხვა ქვეყნებში ახალი საწარმოები — იაფად; მენეჯერთა (მმართველთა) ზედა რგოლებში დანიშნეთ თქვენი ხალხი (ამერიკულში — ამერიკელები, რუსულში — რუსები და ა. შ.); მენეჯერთა საშუალო რგოლში მოიწვიეთ ადგილობრივი უცხო ენების მცოდნე კადრები; დაბალანაზღაურებად ადგილებზე მოიწვიეთ ადგილობრივი მოსახლეობა. მათთვის უცხო ენების ცოდნა სავალდებულო არ არის; ადგილობრივ კადრებს უფრო დაბალი ხელფასი მიეცით, ვიდრე აძლევთ თქვენი ქვეყნის წარმომადგენლებს და ამ გზით გააიაფეთ პროდუქციის თვითღირებულება; ახალგაზრდობა წამოიყვანეთ სასწავლებლად, შემდეგ დააბრუნეთ უკან თავის ქვეყანაში, ისინი, ძირითადად, თქვენს პოლიტიკურ თამაშს აყვებიან.

შედეგი: საკუთრება და მოგება უცხო ქვეყნისაა, მცირდება და თანდათანობით ქრება ეროვნულ მესაკუთრეთა ფენა, შემდეგ — ქვეყნები, ენები და ერები.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა კარგად არის შესწავლილი. გაეროს უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიოში 60 ათასი ტნკ ფუნქციონირებს.

ტნკ წარმართავს საზღვარგარეთული შვილობილი ფირმების რენტაბელობას. მათი ძირითადი მიზანია, მიიღონ მოგება იმ ქვეყანაში, სადაც შედარებით დაბალია საგადასახადო განაკვეთები, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც გადასახადები მაღალია, გაუკეთონ აკუმულირება ნაკლები მოცულობის მოგებას. მაშასადამე, ცდილობენ, შეინარჩუნონ უცხო ქვეყნებში შვილობილი ფირმების ლიკვიდურობა და რენტაბელობა.

დადგენილია, რომ დაბალგანვითარებულ ქვეყნებში უცხოურ კაპიტალდაბანდებებს, როგორც წესი, აქვთ ძალიან მცირე დადებითი, ძირითადად კი უარყოფითი ეფექტი. მაგალითად, ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყნებში ტურისტული და სასტუმრო კომპლექსების მშენებლობის შემთხვევაში, ერთადერთი უპირატესობა, რომელიც ამ ქვეყანამ შეიძლება, მიიღოს კაპიტალდაბანდებიდან, მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დასაქმებაა, ისიც ამ სფეროს მომსახურების დაბალი ანაზღაურებით. უფრო პრესტიჟული ადგილები ამ სფეროში დაკავებული აქვთ უცხოელ სპეციალისტებს მაღალი ანაზღაურებით. ამიტომ, შრომის ანაზღაურების მცირე ნაწილი რჩება ქვეყანაში, დიდი ნაწილი კი გადის საზღვარგარეთ. ამასთან ერთად, სასტუმროების კომპლექსების მშენებლობისას, როგორც წესი, სამშენებლო მასალების დიდი ნაწილი შემოაქვთ საზღვარგარეთიდან. ასევე შიდა სერვისი და მოწყობილობები მთლიანად უცხოურია. ამრიგად, მთელი მოგება გაედინება საზღვარგარეთ, რაც ეკონომიკურად ასუსტებს ქვეყანას.

დღეს საქართველოში უცხოურ კაპიტალში, პირველ რიგში, გულისხმობენ პირდაპირ კერძო უცხოურ ინვესტიციებს, მაგრამ არსებობს სხვა ფორმაც. **კაპიტალის მოზიდვა შესაძლებელია სასესხო (საკრედიტო) კაპიტალის ფორმით. აგრეთვე, ლიზინგის ფართოდ დანერგვით, რომელიც უფრო შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს, ვიდრე უცხო ინვესტიციები. მიგვაჩნია, რომ პრიორიტეტი უნდა მიეცეს არა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, არამედ**

(იხ. მე-4 გვ.)

ინფორმაცია

სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთმა მეცნიერ-ეკონომისტმა შიმშილობის აქცია დაიწყო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-ეკონომისტთა ერთმა ნაწილმა, რომელიც საქართველოს შპს „საოკეანო სანაოსნოს“ და სს „ჭიათურმანგანუმის“ კერძო პირებზე გასხვისებას აპროტესტებს, შიმშილობა გამოაცხადა.

აღნიშნული ობიექტების კერძო პირებზე გასხვისების შეჩერების მოთხოვნით, უნივერსიტეტის ხუთი დოცენტი მეორე დღეა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში შიმშილობს.

ამ ჯგუფის აზრით, „საოკეანო სანაოსნოს“ და „ჭიათურმანგანუმის“ კერძო პირებისთვის გადაცემა დაუშვებელია და მათი შესყიდვის საშუალება მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას უნდა მიეცეს აქციების გზით.

ზემოხსენებული ობიექტების გასხვისებაზე გამოცხადებული ტენდერის ვადები უკვე ამოიწურა. ამჟამად, სატენდერო კომისია დაინტერესებულ ინვესტორთა შემოთავაზებებს სწავლობს.

პროგნოზი: გალში არჩევნები ჩაიშლება

თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირებლის სტატუსით მყოფმა რუსეთის სათათბიროს ვიცე-სპიკერმა სერგეი ბაბურინმა გალის რაიონის საარჩევნო უბნები მოინახულა.

დაზუსტებული ინფორმაციით, ბაბურინის თანდასწრებით, სოფელ ნაბაკევის საარჩევნო უბანზე ბაღაფში-ხაჯიმბასა და იაკუბ ლაკობას მხარდამჭერებს შორის ინციდენტი მოხდა, რომლის შემდეგაც ლაკობას წარმომადგენელ სალიას საარჩევნო უბნის ტერიტორიის დატოვება აიძულეს.

გალიდან მიღებული ინფორმაციით, მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ჭუბურხინჯის №33-ე, გალის №34-ე და შაშიკვარის №35-ე საარჩევნო უბნებზე, რომელთა სიებში 14 274 ქართველია რეგისტრირებული, ამომრჩეველთა აქტივობა მოსალოდნელზე დაბალია.

ადგილობრივთა მტკიცებით, მოსახლეობასთან შეხვედრებზე ბაბურინი მათ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდა. ამის მიუხედავად, გალის რაიონის მოსახლეობა საპრეზიდენტო არჩევნებში პრაქტიკულად არ მონაწილეობს და უკვე შეიძლება ითქვას, რომ 12 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები გალის სამივე საარჩევნო ოლქში პრაქტიკულად ჩაიშლება.

ქუთაისის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯება

ქუთაისის ადგილობრივმა ბიუჯეტმა გასულ წელს 4 მილიონი ლარის დავალიანება გაისტუმრა, რომელიც თავის მხრივ 2003 წლისგან მემკვიდრეობით მიიღო.

როგორც ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გიორგაძემ ბრიფინგზე განაცხადა, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამაზე მუშაობა დაასრულა, რომლის განხორციელება 2005-2007 წლებშია დაგეგმილი.

გიორგაძის ინფორმაციით, მიღწეულია შეთანხმება და ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე წელს ტრანსფერის სახით ქუთაისს 5 მილიონ ლარს გამოუყოფს, რაც ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, კერძოდ კი გზების კაპიტალურად შეკეთებაზე დაიხარჯება.

შესაძლოა, კორპორაციები გაერთიანდნენ

უახლოეს მომავალში შესაძლოა, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია ერთ უწყებად გაერთიანდნენ. ამის შესახებ გუშინ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა.

„საჭიროა დავსხდეთ და შევაჯეროთ წინადადებები, რათა საბოლოოდ ამ კომპანიებისგან ქმედითუნარიანი და ეფექტური ერთიანი სტრუქტურა ჩამოვაყალიბოთ“, — განაცხადა ჟვანიამ და შესაბამისი დავალება საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს მისცა.

ლეიბორისტები სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ

ქვეყანაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის კანონიერების დასადგენად, საქართველოს ლეიბორისტული პარტია ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს დაბრუნების ლოზუნგით ხელისუფლების სათავეში მოსული მაღალჩინოსნები ქვეყანაში ყველაფერს ყიდიან, ეს კი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს უქმნის საფრთხეს.

ამასთან, ბაღათურიამ უცხოელ ინვესტორებს მოუწოდა, არ მიიღონ მონაწილეობა საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციაში და „ტყუილად არ გადაიხადონ ფული იმ ობიექტებში, რომელიც მათ მალევე ჩამოერთმევათ“.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირწმუნება, რომ საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი ობიექტების გაყიდვა საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და სასამართლო იძულებული იქნება მათი სარჩელი დააკმაყოფილოს.

ავტოსადგომს ერთი მეთვალყურეც ეყოფა

დედაქალაქში დღემდე არსებული პარკირების სისტემა უახლოეს მომავალში შეიცვლება.

გუშინ ებრაულმა კომპანიამ „შოჰარმა“ თბილისის მთავრობისა და საკრებულოს წევრებისთვის პარკირების ახალი მეთოდის პრეზენტაცია მოაწყო.

კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროექტის მიხედვით, სპეციალურად მოინიშნება ის ადგილები, სადაც მანქანებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება იქნება ნებადართული. ავტომფლობელებს პარკირებისთვის ბარათების შეძენა ჯიხურებში შეეძლებათ.

300 მანქანის ტევადობის ავტოსადგომს ერთი მეთვალყურე გააკონტროლებს, რომელიც თანამედროვე აპარატურით იქნება აღჭურვილი. მას შეეძლება დროის გადაცილების შემთხვევაში ავტომანქანა ფოტოკამერაზე დააფიქსიროს და მონაცემები კომპიუტერში შეიტანოს. ამის შემდეგ, მანქანას ჩამჭერები გაუკეთდება და მისი მოძრაობა ჯარიმის გადახდამდე შეიზღუდება.

ებრაული კომპანიის წარმომადგენლები, ქალაქის მთავრობის წევრების შენიშვნების გათვალისწინებით, ბიზნეს-გეგმას მოამზადებენ. ინვესტიციების სრული ოდენობა სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი. კომპანია „შოჰარის“ წარმომადგენელთა განცხადებით, მსგავსი პროექტი მათ 20 ქალაქში განახორციელეს.

ინტერ-პრესი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 8, ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2005 წელი.

ქველით საახალწლოდ...

გოზინაყი, ჩურჩხელა და... შოკოლადის ფილა

როგორ შეხვდნენ საქართველოში ახალ წელს? როგორ მიიღეს ოქროს დეზებიანი მამალი? რა სიურპრიზები გველოდება ამბიციური დონ-ჟუანის წელში? რას ითვალისწინებს სანტა-კლაუსის მისტიკური რჩევები?

საქართველოში მძიმე სოციალური კრიზისის პირობებში გამდიდრება მწვანე მამლის ყველაზე მადლიანი წყალობა იქნება, თუმცა კომპოზიტორი **ბიძინა კვერნაძე** მოსწრებულად აი, რას შენიშნავს:

„ისეთი გამდიდრება არ გვინდა, ერთ დროს „მილიონერების" გუნდში რომ მოგვიხდა ყოფნა და ბედმა დაგვცინა. ასეთი „სიმდიდრე" გვაშოროს ღმერთმა. ამქვეყნიური ძნელბედობის გზაზე ახალგაზრდების მუდმივი თანამგზავრი ყოფილიყოს ხმაურიანი წარმატება, თორემ სიღარიბიდან სიმდიდრემდე ერთი ნაბიჯია. უკეთეს საქართველოში გვეცხოვროს, გავუფრ-

თხილდეთ ადამიანურ ურთიერთობებს და ვიცხოვროთ თბილად. გილოცავთ ყველას მყვირალა მამლის შემობრძანებას!"

სახელოვანი პიანისტი **ელისო ბოლქვაძე** განსაკუთრებით ელოდა საქართველოში ახალი წლის მოსვლას... რატომ? იმიტომ, რომ...

„აქაურობა ჩემთვის საოცრად მონატრებულია. გადატვირთული შემოქმედებითი გრაფიკის გამო სულ საზღვარგარეთ მიწევს ყოფნა, შესაბამისად, იქ ვხვდებოდი ხოლმე ახალ წელს, ახალ იმედებს, ახალ იდეებს... წელს საქართველოში, ჩემს ოჯახში შევხვდი ახალ წელს, ახალი სურვილები თბილისურ სიმყუდროვეში ჩავიფიქრე. იცით, საახალწლო სუფრაზე ბავშვივით ველოდები ხოლმე თორმეტი საათის

ჩამოკვრას, ვითვლი წუთებს, წამებს, როდის მივულოცავთ ერთმანეთს ახალ წელს. რაღაც უჩვეულო ფერის წელიწადი დაგვიდგა, მწვანე მამლისგან სასწაულებს უნდა მოველოდეთ... მინდა, ამ ეგზოტიკურმა მამალმა რაც შეიძლება ხმამაღლა იყივლოს, იხმაუროს და არ მოგვასვენოს... ასტროლოგებმა გაგვაფრთხილეს, ქათამი და მამალი არ შეიძლება სუფრაზეო და დაგვტოვეს საცივის გარეშე, არადა, ჩემთვის გოზინაყი და საცივი ახალ წელთან ასოცირდება ისევე, როგორც საფრანგეთში სადღესასწაულო კერძი ფუაკრა — ანუ, ბატის პაშტეტი, რაც ძვირი სიამოვნებაა... შარშან, პარიზში შევხვდი ახალ წელს და ეს იყო ფანტასტიკა, ფეიერვერკთა კასკადი, საოცარი სპეცეფექტებით აღსავსე ღამე... გრანდიოზული საახალწლო დღესასწაული, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. რამდენადაც პარიზში შევიგრძენი ახალი წლის შემოსვლა, იმდენად ვერ აღვიქვი ორი წლის წინათ მარაკეშში (მაროკოში) 35 გრადუს სიცხეში ეს კალენდარული დღესასწაული, რადგანაც დასავლური ცივილიზაციისგან საკმაოდ შორს აღმოვჩნდი და სულ სხვა „პლანეტაზე" ვიმყოფებოდი... ახლა თბილისმა თავისებური ხიბლითა და მოკრძალებით გადაშალა კიდევ ერთი ფურცელი, სადაც ჩემგან საუკეთესო სურვილები იქნება მოთავსებული".

— ახალ წელს რაზე ვოცნებობთ?

„ყველაფერზე... სულიერ სიმშვიდეზე, სიყვარულზე, გაძლიერებაზე, ღიმილზე..., — ამბობს მხატვარი დიმიტრი ერისთავი. — იცით, რა არის ბედნიერება? — არა მატერიალური ტკბობა, არამედ ის სიხარული, რასაც ადამიანური ურთიერთობების ხელოვნება ჰქვია. როცა მე ჩემს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ვხარობ, როცა ბავშვები არ მაცდიან, რომ ვიმუშაო, შევქმნა ახალი ტილოები, თუნდაც გრაფიკული ჩანახატები... ადრე შემოქმედებას, ოჯახს და ახალ წელს ურთიერთში ვათავსებდი. ახლა კი შვილიშვილები მოლბერტთან არ მიშვებენ: — ბაბუ, წამოდი, ვიგუნდაოთ, თორემ თოვლი მალე დადნება! — მეუბნებიან ხოლმე. ძალიან მიყვარს თოვლი ახალი წლის ღამეს, მაგრამ... წინასაახალწლო მზადებისას ჩემი მეუღლე ტრადიციულად სამზარეულოში ტრიალებს, მე კი გოზინაყისთვის ნიგოზს ვჭრი ხოლმე. როცა საათის ისრები თორმეტს სცილდება, ვღელავ, თითქოს ახალი დრო რაღაც არნახულს მპირდება. ასე შევხვდი ახალ წელიწადს, სიკეთითა და იმედებით სავსე გულით, შვილიშვილებისგან და მწვანე მამლისგან აფორიაქებული. ჩემს წარმოდგენაში მამალი არის თეთრი, მოწითალო... მწვანე არ გამიგია, ალბათ ნიანგის ბიძაშვილია?!"

— თქვენ რომ თოვლის ბაბუა იყოთ, რას აჩუქებდით საქართველოს?

„იცით, მე არც თოვლის ბაბუა ვარ, არც სანტა-კლაუსი, არც ჯადოსნური ფერია... მაგრამ საქართველოს ვაჩუქებდი ბევრ სიკეთეს, ბედნიერებას, გამარჯვებას... ვაჩუქებდი იაპონიის მსგავს ექსპრეს-

მატარებლებს, რომლებიც ელვისებური სისწრაფით ჩაგვიყვანდა საქართველოს ულამაზეს კუთხეებში... ვაჩუქებდი ტერიტორიულ მთლიანობას, სიხალისეს და ძალმოსილებას. ვფიქრობ, მწვანე მამლის წელიწადი მძვინვარე, დამაჯერებელი და სიამაყით სავსე იქნება. ჩვენი ოცნებები, თუკი ძალიან მოვინდომებთ, აუცილებლად ასრულდება, მარტო ჯადოსნური ჯოხის იმედზეც ხომ არ შეიძლება ყოფნა?! თუკი ყველანი ერთად ვიქნებით და თუნდაც, შიშველი ენთუზიაზმით ვიშრომებთ, მაშინ პირამიდის მსგავსად აშენდება საქართველო და ჩვენც, ამ ლამაზ ქვეყანაში ლაღად, უდარდელად ვიცხოვრებთ... ახალ წელსაც სხვა განწყობით შევხვდებით... იცით, ბავშვობიდან მენატრება სა-

ქართველოში დიდხანს დარჩენა, მაგრამ... ახალ წელსაც იქ ვატარებ ხოლმე, სადაც შემოქმედებითი გზები წამიყვანს. არ მიყვარს ხალხმრავლობა, სულ ვცდილობ, გავერიდო ხმაურს და მყუდრო ატმოსფეროს შევეფარო. ასეთივე სიმყუდროვეში წელს მოსკოვში, ოჯახურ გარემოცვაში ტრადიციულად შევხვდი ახალ წელს, თუმცა ორიგინალური იდეების გამზიარებელი ვარ. შარშან მე და ჩემმა მეუღლემ მეგობრებთან ერთად ფინეთში მოვიწყვეთ საახალწლო დღესასწაული... მაშინ, ვისწავლე თხილამურებზე დგომა და ეს დიდი სიამოვნებაა... ჩემთვის დიდი სიამოვნებაა ასევე საახალწლო სუფრა, რომელზეც ტრადიციული, ეგზოტიკური კერძები და დელიკატესები სასურველია, რომ იყოს. მწვანე მამლის წლისათვის თურმე მნიშვნელობა ჰქონია საახალწლო სუფრის ეფექტურობას, და ამ ეფექტურობას, რა თქმა უნდა, განაპირობებს გოზინაყი, ჩურჩხელა და... შოკოლადის ფილა". — ღიმილით საუბრობს სახელგანთქმული ბალერინა ნინო ანანიაშვილი.

მზეხა მახარაძე.

კომპეტენტური აზრი

წაგება კატასტროფა არ არის, კატასტროფა გაჩერებაა

(მესამე გვერდიდან)

სასესხო (საკრედიტო) რესურსების მოზიდვას უცხოეთიდან და საქართველოს მეწარმეების დაკრედიტებას დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, უწინარესად, მრეწველობის, მეცნიერებატევად დარგებსა და ტექნოლოგიებში, რომლებიც ტრადიციულად მოითხოვენ უფრო დიდ კაპიტალდაბანდებებს, ვიდრე აგრარული სექტორი და მომსახურების სფერო. ამ გზით ჩვენს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ, გახდნენ საწარმოო ბაზის მესაკუთრეები. მოსახლეობა დასაქმდება და მათ მიერ მიღებული შემოსავლებიც დაბანდდება საქართველოში.

კარგი იქნება, თუ ამ პროცესებში სახელმწიფო მარეგულირებლის როლს შეასრულებს, აქტიურად ჩაერევა ეკონომიკის მართვაში. ნიშანდობლივია, რომ აზიის ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც მოხდა „ეკონომიკური სასწაული", სახელმწიფო აქტიურად ერეოდა ეკონომიკურ პროცესებში.

სამწუხაროდ, საქართველოში იმდენად მწვავეა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები, რომ მთელი ყურადღება კონცენტრირებულია მიმდინარე პრობლემების გადაჭრაზე. სათანადო ყურადღება არ ეთმობა საინვესტიციო პოლიტიკის გრძელვადიან შედეგებს, იმას, თუ რა იქნება 20-30 წლის შემდეგ. არადა, უცხო კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემები სწორედ მაშინ იჩენს თავს მთელი სიმძაფრით, როცა ეს კაპიტალი დამკვიდრდება ეკონომიკის წამყვან დარგებში. მაშინ უკვე შეუძლებელი იქნება მასთან დაპირისპირება და ეროვნული ინტერესების დაცვა.

კარგი იქნება, თუ გავითვალისწინებთ განვითარებული აზიური ქვეყნების გამოცდილებას, რომლებიც ახორციელებენ ინდუსტრიაში საზღვარგარეთ ლიცენზირებული პროდუქციის კოპირების წესით გამოშვებას.

სამწუხაროდ, საქართველომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (მსო) მოლაპარაკებისას დაუშვა დიდი შეცდომა, როცა არ განსაზღვრა პრიორიტეტები, აგრარული და ინდუსტრიული სექტორის რომელი დარგები დაეცვა და რამდენ ხანს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია მწარმოებლურობისა და ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო სტაბილური ფენის ჩამოსაყალიბებლად. საქართველო ბაზრის სიმცირის გამო არამიმზიდველია ინვესტიციების მოსაზიდად. ამასთან, მეზობლად გვაქვს ორი ბაზარი — რუსეთი და თურქეთი. ამიტომ საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, უნდა მოძებნოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ძირითადი ეკონომიკური ფუნქცია და შესაძლებლობის ფარგლებში მოახერხოს კავკასიის რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაცია.

დღეს ძალიან აქტუალურია სააქციო საზოგადოების შექმნის გზით ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო სტაბილური ფენის ჩამოყალიბება.

თუ საკუთრებას და მოგებას უცხოელები დაეპატრონებიან, შემცირდება და თანდათანობით გაქრება ადგილობრივ მესაკუთრეთა ფენა, შემდეგ კულტურა, ქვეყნები, ენები და ერები.

საქართველოში ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო ფენების ჩამოყალიბება კი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების სწორად წარმართვასთან.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მკითხველის ყურადღება მინდა, გავამახვილო პრინციპზე, რომელიც უმთავრესია ნებისმიერი სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის. ეს პრინციპია კორპორატიული მართვა, ანუ შპს-ების ნაცვლად, უმეტესად, სააქციო საზოგადოებების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო ფენის ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, კორპორატიული მართვის პრინციპის ყველაზე დიდი უპირატესობა მისი კონტროლისა და რეგულირების ძლიერი უნარი გახლავთ. იგი თვითონ უზრუნველყოფს მრავალ ფუნქციას, როგორებიცაა, მაგალითად, ბიზნესის გამჭვირვალობა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ემყარება ფასიანი ქაღალდების ემისიის პრინციპს. დღეს მსოფლიოს მართავს არა ფული, არამედ მისი შემცვლელები — აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ არ გვექნება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული გზა (დოქტრინა), ნებისმიერი მომხდური, აღმოსავლეთიდან იქნება იგი თუ დასავლეთიდან, ისე მოიქცევა, როგორც თავისი ეროვნული ეკონომიკის ინტერესები უკარნახებს, ჩვენ გლობალიზაციის შემოტევებს ვერ გავუძლებთ.

წაგება კატასტროფა არ არის, კატასტროფა გაჩერებაა.

ვაჟა შარვაშიძე,
ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი ეკონომისტი.

ინფორმაცია

არდავიწყება

გულითადად გაიხსენეს



ახლახან შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის დაბადების 100 წლისთავი. ავტორი რომანებისა და მოთხრობებისა, რომელზედაც მრავალი თაობა აღიზარდა, გულითადად გაიხსენეს თანამედროვეებმა, მეგობარმა მწერლებმა, კულტურის მუშაკებმა... თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე სახლის ფასადზე გაიხსნა მემორიალი, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ 1936-56 წლებში ცხოვრობდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

მემორიალის გახსნაზე გამოვიდნენ მაყვალა გონაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ გოგიაშვილი, რევაზ მიშველაძე, დალი ფანჯიკიძე, ავთანდილ ყურაშვილი და სხვები. შემდეგ კი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მწერლის საფლავზე გაიმართა პანაშვიდი, რაც კიდევ ერთი დადასტურება გახდა მწერლისადმი თანამედროვეთა პატივისცემისა.

ფულად კომპენსაციებს ითხოვენ

ქალაქ თეთრი წყაროს მოსახლეობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დიდი საექსპორტო მილსადენის მშენებლობის ოპერატორი კომპანია „ბი-პი"-ს წინააღმდეგ საპროტესტო აქციას მართავს.

როგორც „ინტერ-პრესს" არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელმა ქეთი გუჯარაიძემ განუცხადა, აქციის მონაწილეები ნავთობსადენის მშენებლობის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გამო ფულად კომპენსაციებს ითხოვენ.

გუჯარაიძის ინფორმაციით, გასული წლის ზამთარში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ტრასის გასწვრივ აფეთქებითი სამუშაოები ჩატარდა, რამაც ქალაქ თეთრი წყაროს რამდენიმე ქუჩაზე სახლების დაზიანება გამოიწვია. „აღნიშნული ქუჩების მცხოვრებნი ზარალის დასადგენად სპეციალური კომისიის შექმნას და შესაბამისი კომპენსაციების გამოყოფას ითხოვენ".

მკვლელობა სართიჭალასთან

გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდა მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერ-პრესთან" საუბარში გარდაბნის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილემ გიორგი ხაჩიძემ განაცხადა, 11 იანვარს 20.30 საათზე გარდაბნის რაიონის პოლიციის დიდი ლილოს ქვეგანყოფილებაში უცნობმა მამაკაცმა დარეკა და სართიჭალის მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე მამაკაცის გვამის თაობაზე აცნობა.

შემთხვევის ადგილზე პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები გავიდნენ. მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოკლული ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების მეფრინველეობის ერთ-ერთ კოტეჯში მცხოვრები ნოდარ ძებნიაურია.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას რუსთავის პროკურატურა აწარმოებს.

სამხრეთ აზიაში დაზარალებულებს საქართველო დაეხმარება

საქართველოს მთავრობა სამხრეთ აზიაში მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას დაეხმარება.

როგორც დღეს დანიშნულმა საქართველოს მთავრობის პრეს-სპიკერმა ლეილა ავიძემ განაცხადა, გუშინ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აზიაში დაზარალებულთათვის დახმარების სახით 100.000 ლარის გამოყოფის თაობაზე.

ავიძის განცხადებით, საქართველოს ბიუჯეტიდან 100.000 ლარი გამოიყოფა და სამხრეთ აზიაში დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გახსნილ გაეროს საერთაშორისო ფონდში გადაირიცხება.

ლომბარდის აფიორა გახსნილია

ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ „ლომბარდის აფიორის" ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამ ეტაპზე ცნობილია 15 დაზარალებულის ვინაობა, თუმცა ეს რიცხვი შესაძლოა კიდევ გაიზარდოს.

როგორც „ინტერ-პრესს" ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, თბილისში, ვაჟა-ფშაველას №52-ში მოქალაქე გაგიკ გრიგორიანს გახსნილი ჰქონდა ლომბარდი, სადაც მოქალაქეებს ხელშეკრულებების საფუძველზე ძვირფასი ნივთები ჰქონდათ დაგირავებული და საპროცენტო გადასახადს იხდიდნენ.

გასული წლის დეკემბერში, როდესაც მოქალაქეებმა ლომბარდს პროცენტის გადასახდელად, ან საკუთარი ნივთების გამოსატანად მიაკითხეს, ლომბარდი დაკეტილი დახვდათ, თანამშრომლები კი — მიმალული.

ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა ლომბარდის ზოგიერთ თანამშრომელს მიაკვლიეს, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი მხოლოდ ძვირფასი ნივთების შეფასებით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო სად მიჰქონდა ლომბარდის მეპატრონეს ეს ნივთები, ან სად იმყოფება თავად გრიგორიანი, მათთვის უცნობია.

გაგიკ გრიგორიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ინტერ-პრესი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— აფხაზეთის ომში დამეღუპა შვილი, რომელიც ჩემი ერთადერთი მარჩენალი იყო. ვარ 65 წლის, ეკონომიკურად უკიდურესად მიჭირს.

გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორც მარჩენალდაკარგულ დედას, მეკუთვნის თუ არა შეღავათები კომუნალურ გადასახადზე?

ნადეჟდა მანჯგალაძე.

— თუ თქვენ ცხოვრობთ თბილისში, ხართ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპული მეომრის მშობელი და გაქვთ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული შესაბამისი საბუთი, ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე თავისუფლდებით კომუნალური მომსახურების გადასახადის გადახდისაგან, ხოლო თუ ცხოვრობთ რეგიონში, შეღავათები გაგივრცელდებათ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ბიუჯეტი იძლევა დაფინანსების საშუალებას.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გაქვთ ზემოაღნიშნული მოწმობა, გირჩევთ, მიმართოთ ვეტერანთა საბჭოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს.

* * *

— ვარ 77 წლის, უსინათლო, I ჯგუფის ინვალიდი, ომის მონაწილესთან გათანაბრებული.

მეკუთვნის თუ არა შეღავათები რკინიგზითა და ავტოტრანსპორტით მგზავრობის დროს?

ფრიდონ როგავა.

— I ჯგუფის მხედველობით ინვალიდებზე შეღავათები ვრცელდება მხოლოდ ელექტროტრანსპორტზე (გარდა მეტროპოლიტენისა) და მუნიციპალურ ავტობუსებზე საქართველოს უსინათლოთა კავშირის მიერ გაცემული მოწმობის საფუძველზე ან საპენსიო წიგნაკით, რომელშიც მითითებული იქნება, რომ იგი არის მხედველობით I ჯგუფის ინვალიდი.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

აკრძალული ზონა

თურმე ოჯახი თავზე გვენგრევა

ჩვენი ტრადიციის თანახმად, ოჯახი წმინდა კერაა, ლამის ეკლესიაა; კაცისთვის თუ ქალისთვის იგი საფიცარია, პატიოსნების საზომია; მის სახელს ეთაყვანებიან, ადიდებენ, ადღეგრძელებენ.

როგორც ვთქვით, ჩვენი ტრადიციის თანახმად...

სამწუხაროდ, ამ ტრადიციას ბოლო ხანს წყალი შეუდგა, საფუძველი შეერყა. ათასგვარმა გაჭირვებამ, უცხოური ცხოვრების თავისუფალი, სინამდვილეში კი გაუკუღმართებული წესების ბრმად გადმოღებამ და თავად ადამიანის ზნეობრივმა დაცემამ ეს წმინდა კერა ჩხუბის, ძალადობის, მკვლელობის არენად აქცია.

მონასტერი ისე აირია, რომ მართლაც ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს: — ქმარი ცოლსა კლავს, ცოლი — ქმარს, და — ძმას, ძმა — დას, სიმამრი — სიძეს, რძალი — დედამთილს, მშობელი — შვილს, შვილი კი — მშობელს...

ახალი წლის ღამეს ჭიათურაში საზარელი ტრაგედია დატრიალდა. სტალინის ქუჩაზე ანტონ ზაბახიძის საახალწლოდ გაშლილ სუფრასთან მეზობლებმა ხუთი გვამი აღმოაჩინეს, — ოჯახის უფროსი ანტონი, მისი ცოლი — დალი, შვილები — 17 წლის ანა, 13 წლის ლელა და სტუმრად მყოფი ნათესავი, 7 წლის ქეთევანი.

სამართალდამცავებმა ეჭვი მიიტანეს ანტონ ზაბახიძის შვილზე, 26 წლის ბორისზე, რომელიც ჰყავდა პირველი ცოლისგან და სოფელ ჭალოვანში ბებია-ბაბუასთან ცხოვრობდა. ერთი შეხედვით, ბორისს მამის მეორე ოჯახთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, მიდი-მოდიოდა, სახელოსნო სამუშაოებს წარმართავდა, ფულსაც სესხულობდა, მაგრამ...

ეტყობა, ბოღმა საბოლოოდ მაინც ვერ გადაყლაპა, ოჯახს საახალწლოდ ესტუმრა და როცა ქალაქში საზეიმო ბათქი-ბუთქი ატყდა, ხუთი ადამიანი ავტომატით სწორედ მაშინ დაცხრილა, საკონტროლო ტყვია ყოველ მათგანს თავშიც კი დაახალა. იგი 11 იანვარს შეიპყრეს სოფელ კაცხის ეკლესიაში. დიახ, ხუთი ადამიანი დაცხრილა, მთელი ოჯახი გაანადგურა და თავი ეკლესიას შეაფარა...

არადა, თურმე საქართველოში ისეთი ვითარებაა, თითოეულ ოჯახს ზედ უნდა დავკანკალებდეთ, სულს ვუბერავდეთ, მის გასანადგურებლად კი არა, გასამრავლებლად თავს ვიკლავდეთ. კარს დემოგრაფიული კატასტროფა მოგვდგომია: — სტატისტიკური მონაცემებით, ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ყოველწლიურად საქართველოში ჩნდებოდა 108 ათასი ბავშვი, ახლა კი იბადება 46 ათასი. თუ ამ ტემპით „ვიარეთ", ნახევარი საუკუნის შემდეგ შეიძლება ჩვენი ჯიში და ჯილაგი მთლად გადაშენდეს.

მიზეზები არ გაინტერესებთ?

აი, რას ამბობს **არჩილ ხომასურიძე, ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინსტიტუტის დირექტორი:** — „თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა სქესობრივი ინვალიდია. ამას მოწმობს ჩვენი კვლევებიც. სხვადასხვა რაიონში ჩატარებული ოთხწლიანი უფასო სამედიცინო კვლევების მიხედვით (შემოწმებულია 100 ათასზე მეტი ადამიანი), ჩვენი ინსტიტუტის ექიმებმა დაადგინეს, რომ სქესობრივად სრულიად ჯანმრთელია მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი. გამოკვლეულთა ჯანმრთელობის გაუარესებაზე ძირითადად სოციალური პრობლემები მოქმედებს. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს სქესობრივი აღზრდის სისტემის უქონლობასაც. ამის გამო სქესობრივ ცხოვრებას ახალგაზრდები სპონტანურად, შემთხვევით პარტნიორებთან, თანაც ადრეულ — 13-14 წლის ასაკში იწყებენ, რაც მომავალში რეპროდუქციული ჯანმრთელობის გართულების, ერის რაოდენობრივი შემცირების სერიოზული მიზეზი ხდება".

არანაკლებ საგანგაშოს ამატებს **ანზორ თოთაძე, დემოგრაფი, პროფესორი:** — „რომელ გამრავლებაზეა საუბარი, როცა დღეისათვის საქართველოში 400 ათასი ქვრივია, 280 ათასი განქორწინებული, 400 ათასი კი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში. ასეთი შემზარავი მონაცემები XIX საუკუნეშიც არ ფიქსირდება. ორი დემოგრაფიული თაობის, ანუ 45 წლის შემდეგ ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაცია შეიქმნება. კრიზისი მხოლოდ მაშინ მოიხსნება, თუ პრობლემის მოგვარებაში სახელმწიფოც ჩაერთვება. სწორედ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა. დემოგრაფიულ კრიზისს მხოლოდ იმ შემთხვევაში ავიცილებთ, თუ თითოეული ქალი 2 ბავშვზე მეტს გააჩენს. დღეს კი საშუალოდ ერთ ქალზე მხოლოდ ერთი ბავშვი მოდის".

რით ვინუგეშოთ თავი? ამბობენ ხოლმე, — იმედი არა კვდებაო, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნებაო. აკი მოგვიძებნია კიდეც: — საქართველოში უკვე ხელოვნური გზით განაყოფიერებული 100-ზე მეტი ბავშვი დაბადებულა... ღმერთმა ყველა გაზარდოს, გაახაროს, ამ კურთხეულ მიწაზე თამამად ატაროს, მაგრამ ერთიც ვიკითხოთ, — „სინჯარის ბავშვებით" გვინდა იმ დანაკლისის შევსება, რომელსაც მკვლელობებითა და ყრმათა სანაგვეზე მოსროლით ვაყენებთ ქვეყანას?

დავფიქრდეთ დიდები, რათა მამულს არ მოაკლდეს პატარები.

დაბოლოს: ჩანს, ოჯახების დანგრევა, შობადობის შემცირება გაცილებით გლობალური საკითხია. ამ საახალწლოდ ამერიკის რამდენიმე ქვეყანამ, რომლებშიც აკრძალული იყო განქორწინება, ყოველგვარი ბარიერი მოხსნა და უცებ... სასამართლოებში განქორწინებების იმდენი განცხადება შევიდა, რომ თემიდას მსახურთ გაოცებისგან პირი დააღებინა. ამ საგანგაშო ვითარებამ განქორწინების აკრძალვის გაუქმებაზე ხელი ააღებინა აზიის ასევე რამდენიმე ქვეყანას.

საქართველოდან, ექსპერტთა ვარაუდით, უცხოეთში გასულია მილიონზე მეტი ახალგაზრდა. არავინ უწყის, ვინ ვისზე დაქორწინდება, ქართული ოჯახი კი არა, ქართული სული საით გაფრინდება. ამას ემატება თვით ჩვენში ქორწინების პირობების საოცარი გამარტივებაც. როგორც ცნობილია, ახალი კანონმდებლობით ქორწინების განცხადების შეტანიდან შეგიძლიათ ცოლ-ქმრობა დაიდასტუროთ ხუთიოდე წუთში და არა ძველებურად, — ერთ თვეში. ერთი ნახვით შეყვარებას კი, ხშირად მოსდევს ერთი ჩხუბით განშორებაც. ასე რომ, სადარდებელი ნაღდად გვაქვს!

ბონდო გულიაშვილი.

აფიშა

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი



15, 16 იანვარი

პეტრე ჩაიკოვსკი

მაკნატუნა (ბალეტი ორ მოქმედებად)

დამდგმელი დირიჟორი — ჯანსუღ კახიძე.

დამდგმელი ქორეოგრაფი — იური გრიგოროვიჩი.

დამდგმელი მხატვარი — სოლომონ ვირსალაძე.

პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი — იური გეგეშიძე.

დირიჟორი — გიორგი ჟორდანია.

ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი — ნინო ანანიაშვილი.

დასაწყისი 15 იანვარს — 19 საათზე, 16 იანვარს — 15 საათზე.

№ 8, ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2005 წელი.

სხვა გაზეთიდან

სერგეი იურსკი: ვის სჭირდება ხელახლა სტალინი?

თანამედროვე პიროვნების კულტი ანგარებაზეა მოზელილი

ვითარებათა უცნაური დამთხვევით 2004 წლის ბოლო ჩვენში „სტალინის ნიშნის ქვეშ" მიმდინარეობდა. ეკრანებზე ერთი მეორის მიყოლებით გამოვიდა რამდენიმე სერიალი „მოსკოვური საგა", „არბატის შვილები", „საჯარიმო ბატალიონი", რომლებშიც პიროვნების კულტის თემა ერთ-ერთი მთავარი იყო. რეჟისორი იური კარა 30-50-იანი წლების შესახებ იღებს ფილმს, რომელშიც გენერალისიმუსის როლს არმენ ჯიგარხანიანი ასრულებს. თვლა აღარა აქვს დოკუმენტურ ფილმებს იმ ეპოქის, ხრუშჩოვის, ბერიას შესახებ. სტალინზეა სერგეი იურსკის ახალი სპექტაკლი „საღამოს ზარები. ვახშამი ამხანაგ სტალინთან", რომელიც იონ დრუცეს პიესის მიხედვით დაიდგა. იურსკი აქ რეჟისორიც არის და მთავარი როლის, ბუნებრივია, „ყველა ხალხის ბელადის" როლის შემსრულებელიც.

დანაშაულებრივად დიადები

– სერგეი იურის ძევ, რატომ არის, რომ ბოლო დროს სტალინი დროდადრო „მკვდრეთით აღდგება" ხოლმე – ეკრანებზე, სცენაზე, წიგნებში. არა გგონია, საქმე მხოლოდ მის იუბილეს შეეხებოდეს.

СОВРЕМЕННЫЙ КУЛЬТ ЛИЧНОСТИ ЗАМЕШЕН НА КОРЫСТИ

Сергей Юрский. Кому снова нужен Сталин?

Преступно велико

– მე თვითონ არ მოველოდი სტალინის ამდენ „გამოცხადებას". ეს იმას ჰგავს, როცა ყველანი უეცრად დაატყდებიან ვიღაცას სტუმრად თავს და გაოცებულები იყურებიან, გვეყოფა თუ არა საჭმელ-სასმელიო. მაგრამ არ შეიძლება, ეს უბრალო შემთხვევითობა იყოს. მაშასადამე, ეს სახელი რაღაცით იზიდავდა ადამიანებს.

სტალინი ის პიროვნებაა, რომელსაც უკან საქმეების მთელი შლეიფი მოჰყვება: დიადი და დანაშაულებრივად დიადი, მოულოდნელად დიადი საქმეებისა. მას მსოფლიო მასშტაბის ბერკეტი ეპყრა ხელთ. საკმარისია, ვნახოთ იალტის, თეირანის კონფერენციების კადრები, დავინახოთ, როგორ იქცევა ეს ადამიანი, როგორ გამოიყურება დასავლური სამყაროს ბედ-იღბლის განმკარგულებელთა გვერდით. ასეთ სიმაღლეზე, საერთოდ, ვერავინ ამაღლდა.

თუ სტალინი დაცემული არსებაა (მორალური თვალსაზრისით), მაშინ ეს მაინც დაცემული ანგელოზია. ის არასდროს ყოფილა მომხვეჭელი, საკუთარი ჯიბის გამსქელებელი. ეს იყო ავბედითი, ძალაუფლების მოყვარული, ნიჭიერი და, მათი მონათხრობის მიხედვით, ვინც მას იცნობდა, მომხიბვლელი ადამიანი და უსასრულოდ ეული. ზეკოლექტივიზმს, რომელზეც სოციალისტური თეორია და სტალინიზმი აცხადებენ პრეტენზიას, შედეგად ზემარტოობამდე მივყავართ. ადამიანი, რომელიც ყველას ციხეში ჩასვამს, კედლის მეორე მხარეს მარტო დარჩება.

ჩვენ უნდა გვესმოდეს: პიროვნების კულტს ის კი არ შობს, ვინც ამ კულტის საგანი ხდება. ის მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როდესაც უამრავ ადამიანს სწყურია ეს კულტი და მე მინდოდა, შემესწავლა ქვეყნის მოთხოვნილება თაყვანისცემის საგანზე.

– რამდენად ძლიერია დღეს საზოგადოებაში ეს მოთხოვნილება?

– ჩვენ არც არასდროს გამოვსულვართ მსგავსი სიტუაციიდან! კულტის ჩამოყალიბება, როგორც მე ჩემს 70 წლის ასაკში ვამჩნევ, ჩვენი ცხოვრების ყველა დონეზე ჩნდება. სულ უბრალო ისტორია ავიღოთ: საწარმოში ხელქვეითები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ახალი უფროსის უმცირესი სურვილი გამოიცნონ. ასე იწყება მცირე პიროვნების კულტის შექმნა. მთლიანობაში ქვეყანაში ბევრგან იგივე ხდება და ხელმძღვანელი ვეღარ საზღვრავს, მისმა განკარგულებებმა მიიყვანა საქმე იქამდე, რაც ხდება, თუ თოვლის გუნდა – სახელად „პიროვნების კულტი" უკვე მისდაუნებურად მიექანება და ამ კულტის საგანი იძულებული ხდება შესაბამისად მოიქცეს.

დასავლეთში – ამერიკასა ან საფრანგეთში – არსებობს მძლავრი საპირწონეები, რომლებიც აკავებენ ძალაუფლების მპყრობელთ – ლიდერის აუცილებელი შეცვლა და სხვ. ჩვენთან კი საპირწონეების საქმე ცუდად არის. საერთოდ არა გვაქვს ისინი! ამიტომაც ჩვენი მდგომარეობა მეტად საგანგაშოა. ავიღოთ ყველაზე თანამედროვე პრობლემა – გუბერნატორების შეცვლა ზევიდან წამოსული ნების შესაბამისად. მე ბევრს ვმოგზაურობ რუსეთში და ვხედავ, როგორც ცხოვრობს ხალხი. თუ ზოგჯერ ფირმების დირექტორები კულტის საგანი ხდებიან, ეს, მით უმეტეს, ემართებათ გუბერნატორებს. ეს ძალიან მარჯვედ კეთდება მოხერხებული პოლიტტექნოლოგიების მეშვეობით. უნდა ვებრძოლოთ თუ არა ამ კულტებს? უნდა ვებრძოლოთ! გვთავაზობენ, ვებრძოლოთ იმით, რომ იგივე გუბერნატორები ზევიდან დაინიშნონ. მაგრამ არ მიგვიყვანს ეს იქამდე, რომ ქვეყანაში საყოველთაო კულტი გაჩნდება? გამოდის, რომ ისეც ცუდია და არც ასეა კარგი. თანამედროვე პიროვნების კულტი იმითაც არის საშიში, რომ მხოლოდ ანგარებაზეა მოზელილი. სტალინის ეპოქაში ანგარებიან გრძნობებს ან შიში ახშობდა, ან აღტაცება. აქ კი არც შიშია და არც აღტაცება, – მხოლოდ ანგარებაა.

მე მიმაჩნია, რომ ეს უდიდესი საშიშროებაა, ჩიხია, რომელშიც შეიძლება რუსეთი მოექცეს.

სამუდამოდ დაგვიანებულები

– თქვენი სტალინი სპექტაკლში ამბობს: „ჩვენ ყოველთვის ყველაფერში ვიგვიანებთ. ასეთი ბედისწერა სდევს რუსეთს".

– დიახ, ეს ერთ-ერთი ბედისწერაა. რუსეთს ბევრი ასეთი ბედისწერა სდევს. ყველაზე მთავართან – კულტის სურვილის ბედისწერასთან ერთად.

– მაშ, რატომღა ვაგვიანებთ?

– რიგი მიზეზების გამო. სიზარმაცე ერთი მათგანია. შეიძლება თქმა, რომ ჩვენ ყველანი ილია ილიას ძე ობლომოვის შთამომავლები ვართ. ობლომოვი ჩვენს კულტურაში ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. მთლიანობაში დადებითი, კეთილშობილი პიროვნება.

მეორე მიზეზია – მკაფიო, ნათელი აზრის უქონლობა, გრძნობას აყოლა. გრძნობები კი ჩვენ, უპირველესად, ბუნდოვანი, გაურკვეველი გვაქვს. მეტისმეტად ხშირად ვმოქმედებთ ემოციურად. გარკვეული, მკაფიო ლოგიკით, რომლითაც, მაგალითად, გალური გონებაა დაჯილდოებული, ჩვენ მდიდრები არა ვართ. რუსეთი, რუსები ყოველთვის მოცარტის მომხრეები არიან. ჩვენ ისიც დაგვიანებით შევნიშნეთ, რომ სალიერი პუშკინთანაც კი ძალზე საინტერესო ადამიანია. ჩვენ ფიქრსაც ვაგვიანებთ და მეტისმეტად ბევრ რამეს ვივიწყებთ. როგორც ვივიწყებთ პუშკინის ბრძნულ ნაწარმოებებს, როგორც მოვისროლეთ რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ბრძენი და გულწრფელი ადამიანი – გერცენი. არადა, ეს ხომ საოცარი ფიგურაა! ჩვენ ზოგჯერ საკუთარი მიღწევების დანახვასაც ვაგვიანებთ. მერე ჩვენ ამ მიღწევებს დასავლეთიდან ვიღებთ ხოლმე, ველოდებით, როდის აღიარებენ იქ და ამის შემდეგ ვაკვირდებით ყურადღებით. ეს დაგვიანებები ჩვენ ძვირი გვიჯდება.

– მინდა კიდევ ერთი თქვენი გმირი გავიხსენო – ოსტაპ ბენდერი, რომელმაც კარგა გვარიანად გაუშრო სისხლი იატაკქვეშა მილიონერ კორეიკოს. კორეიკოს თითქოს შეეძლო, არხეინად ეცხოვრა, მაგრამ ყველაფრისა ეშინია. რატომ გადააჩვიეს ჩვენი ადამიანები სიმდიდრის სიყვარულს? მარტო ქურდებსა და ყაჩაღებს არ რცხვენიათ „როლს-როისებით" სიარული, მარტო ისინი ყიდულობენ ფეხბურთის გუნდებს ან ჰკიდებენ სარეკლამო ფარებს საკუთარი საყვარლების პორტრეტებით.

– ადამიანებს უბრალოდ არ უნდათ მდიდრები იყვნენ!

– რატომ? ჩემი აზრით, იმის სურვილი, რომ იყო უზრუნველყოფილი ადამიანი, ნორმალური სურვილია.

– უზრუნველყოფილი! უზრუნველყოფილი და მდიდარი სხვადასხვა რამაა.

– სიმდიდრეში რაღაა ცუდი?

– მე სულაც არ მიმაჩნია, რომ ყველა მდიდარი ცუდი ადამიანია ან ყველა ღარიბი კარგია. არამც და არამც! მაგრამ ბიბლიაში ნათქვამია – არ შეიძლება ერთდროულად ემსახურო ღმერთსაც და მამონასაც, მამონა არის ფული და რუსეთში რაღაცნაირად თავისთავად გამოდის ისე, რომ ადამიანები ქვეცნობიერად ირჩევენ, ვის უნდა ემსახურონ. აქ საკმაოდ არიან ადამიანები, რომლებსაც უნდათ, რომ ღმერთს ემსახურონ. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ამ ადამიანებმა მთელი სიცოცხლე ლოცვაში გაატარონ. არა! მაგრამ ისინი პატიოსნად ემსახურებიან თავიანთ საქმეს და მე ვიცნობ ასეთ ექიმებს, ასეთ მეცნიერებს, მსახიობებს, მწერლებს. ფულის შოვნის შესაძლებლობა კი მათთვის მეორე პლანზე გადადის.

ციფრების ენით

სტალინის როლი ქვეყნის ისტორიაში

(მონაცემები პროცენტებში)



33	ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით სრული სიმართლე მისი ქმედებების შესახებ.
31	დამნაშავეა მილიონობით ადამიანის განადგურებაში.
29	მისი ხელმძღვანელობით რუსეთმა ომში გაიმარჯვა.
21	ბრძენი ხელმძღვანელი იყო, რომელმაც ქვეყანა ძლიერებამდე მიიყვანა.
16	მისი სისასტიკე ქვეყანაში არსებული ვითარებით იყო გამართლებული.
16	ჩვენს ხალხს ისეთი ხელმძღვანელი სჭირდება, როგორიც სტალინი იყო.
15	მისი მიზეზით ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა 1941 წლის ომს.
9	შექმნა წყობილება, რომელიც შორს იყო ჭეშმარიტი სოციალიზმის იდეალებისგან.
8	გააგრძელა ლენინისა და სხვა რევოლუციონერ-ბოლშევიკთა საქმე.
5	სტალინს ისინი ლანძღავენ, ვისთვისაც უცხოა რუსი ხალხის ინტერესები.
5	გაუჭირდათ პასუხის გაცემა.

გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტი". № 1-2.

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დარტყმები მიაყენეს სამიზნეებს ღაზის სექტორში

პალესტინის უშიშროების სამსახურების მონაცემებით, ქალაქ ღაზის მიმართულებით გაისროლეს, სულ ცოტა, ორი რაკეტა. ჯერჯერობით არ გავრცელებულა ინფორმაცია მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ.



ისრაელის სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სარაკეტო დარტყმა გახდა სიგნალი „ტერორისტული ინფრასტრუქტურის ლიკვიდაციისთვის გამიზნული შეზღუდული ოპერაციის" განხორციელების დაწყებისთვის.

ღაზის სამხრეთი გარეუბნებისკენ მიიწევენ ისრაელის ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები, პალესტინელი მოთარეშეები ცდილობენ, შეაჩერონ ჯარების წინსვლა, ისინი ავტომატური იარაღით ცეცხლს უშენენ კოლონას. ვერტმფრენები საპასუხო ცეცხლს ხსნიან.

დაიბომბა ლითონის დამმუშავებელი სახელოსნო, რომელშიც რადიკალურ დაჯგუფებათა ადგილობრივი აქტივისტები აწარმოებდნენ „ქასამის" ტიპის თვითნაკეთ რაკეტებს. გასულ წელს ისრაელის დასახლებული პუნქტებისთვის ამ რაკეტების დაშენის შედეგად დაიღუპა ისრაელის ხუთი მოქალაქე.

როგორც ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, მიმდინარე წლის პირველი 11 დღის განმავლობაში ღაზის სექტორიდან ისრაელის ტერიტორიას 10-ჯერ დაუშინეს რაკეტები. დაიჭრა 13 კაცი. ერთ-ერთი დაჭრილი გარდაიცვალა საავადმყოფოში.

კოკისპირული წვიმები სამხრეთ კალიფორნიაში

სტიქიის მსხვერპლთა რიცხვი 21 კაცს აღწევს. მარტო ქალაქ ლა-კონჩიტაში, სადაც 5 დღის განმავლობაში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა გამოიწვია მძლავრი მეწყერი, მაშველებმა აღმოაჩინეს ექვსი დაღუპული ადამიანის ცხედრები. ინტენსიური საძიებო-სამაშველო სამუშაოების მიუხედავად, ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ბედი ეწია კიდევ 13 კაცს.

სტიქიის მიერ ლოს-ანჯელესის ოლქისთვის მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა, წინასწარი მონაცემებით, 28,9 მილიონი დოლარი შეადგინა. იქ ელექტროენერგიის მიწოდება დიდი შეფერხებებით ხდება.

მეტეოროლოგთა თქმით, ამ ბოლო დღეების განმავლობაში რეგიონში მოვიდა ნალექების რეკორდული რაოდენობა 1877 წლის შემდეგ. მართალია, სამშაბათს კოკისპირული წვიმები შეწყდა, შტატის ხელისუფლება მაინც აფრთხილებს მოსახლეობას ახალი წყალდიდობების საშიშროების შესახებ, რადგან გაირღვა ჯებირები და პატარ-პატარა მდინარეები წყლის ბობოქარ ნაკადებად იქცა. მოსალოდნელია, აგრეთვე, მეწყრების ჩამოწოლისა და ღვარცოფების წარმოქმნის საფრთხე.

სამხრეთი კალიფორნია, რომელიც რბილი ჰავით გამოირჩევა, ახლა წყალდიდობის უზარმაზარ ზონად არის ქცეული.

ერაყში არჩევნები ყველგან არ გაიმართება

ერაყის დროებითმა პრემიერ-მინისტრმა აიად ალავიმ პირველად აღიარა, რომ ძალადობის ესკალაციამ შესაძლოა, შეუშალოს ხელი ქვეყნის ზოგიერთ რაიონში 30 იანვრისთვის დანიშნული საყოველთაო არჩევნების გამართვას. „ზოგიერთ პატარა ოლქში შესაძლოა, კენჭისყრა არ გაიმართოს", – თქვა ალავიმ.

აიად ალავის მიერ ასეთი განცხადების გაკეთებამდე ერთი დღით ადრე კი, ერაყის სხვადასხვა რაიონში მოკლეს, სულ ცოტა, 15 კაცი. კერძოდ, ექვსი პოლიციელი მოკლეს ქალაქ თიქრითში, შვიდი ერაყელი ემსხვერპლა მოთარეშეთა თავდასხმას ბაღდადის სამხრეთ ნაწილში, ორი ადამიანი კი დაიღუპა სამარაში მომხდარი აფეთქების შედეგად.

ქვეყნის დროებითმა მთავრობამ უკვე გამოაცხადა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან აპირებს, გამოყოს სოლიდური თანხები უშიშროების ძალების განმტკიცებისთვის, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ წესრიგის დაცვა არჩევნების დღეს.

პრემიერ-მინისტრ ალავის თქმით, მთავრობა დააფინანსებს უშიშროების ძალების თანამშრომელთა შტატის 100 ათასიდან 150 ათასამდე გაზრდას.

„ჩვენი არმია უნდა აღვჭურვოთ ისეთი ახალი თანამედროვე იარაღით, რომელიც მას ქვეყნის დაცვის შესაძლებლობას მისცემს", – დასძინა აიად ალავიმ.

აფეთქება პიროტექნიკის ფაბრიკაში

სულ ცოტა 25 კაცი დაიღუპა და 9 დაშავდა ჩრდილოეთ ჩინეთში პიროტექნიკის ფაბრიკაში მომხდარი აფეთქების შედეგად. ეს ინციდენტი მოხდა შანსის პროვინციის სიანფენის მაზრაში. ფაბრიკაში უმეტესწილად ახალგაზრდა ქალები მუშაობდნენ და დაღუპულთა და დაჭრილთა შორისაც ძირითადად ქალიშვილები არიან. აფეთქების გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით არ არის დადგენილი.

იმავე დღეს მოხდა აფეთქება შანჰაიდან დასავლეთით, 300 კილომეტრზე მდებარე ანჰოის პროვინციის მაჭახელების დამამზადებელ პატარა სახელოსნოში. აფეთქების შედეგად დაიღუპა სახელოსნოს მფლობელი, მისი ცოლი კი მძიმედ დაიჭრა.

მანამდე კი, სინჰუას სააგენტო იტყობინებოდა, რომ მოხდა აფეთქება შანსის პროვინციის ქალაქ სიანფენის ერთ-ერთ ფაბრიკაში, რომლის შედეგადაც დაიღუპა 12 და დაიჭრა 11 ადამიანი. დაღუპულთა უმრავლესობას იქაც, საწარმოში მომუშავე ქალები შეადგენდნენ. თვით ფაბრიკის პატრონი კი გაქცეულია და მას პოლიცია ეძებს.

პიროტექნიკურ ნაკეთობათა მწარმოებელ სახელოსნოებში აფეთქებები და ხანძრები ხშირად ხდება ახალი წლისთვის მზადების პერიოდში. ჩინური მთვარის კალენდრით ახალი წელი 9 თებერვალს აღინიშნება.

შიდსის საიდუმლოს ფარდას გენები ახდიან

მეცნიერებმა შეძლეს გამოევლინათ მნიშვნელოვანი განსხვავება მაიმუნისა და ადამიანის გენებს შორის, რასაც შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს შიდსის ვირუსის გავრცელების თავიდან აცილებას.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო გამოკვლევათა ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერებმა აღნიშნეს, ამ გენის მხოლოდ ერთი მუტაციაა საჭირო იმისთვის, რომ მოხერხდეს დაავადების ბლოკირება.

ადამიანს რომ ჰქონდეს ისეთივე გენი, როგორიც აღმოუჩინეს მაკაკა-რეზუსს, აივ-ვირუსი აღარ დაემუქრებოდა, – მიაჩნიათ მეცნიერებს.

„ჩვენს აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შიდსის წინააღმდეგ ეფექტიანი თერაპიის შემუშავებისთვის", – განაცხადა მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯონათან სტოიმ.

„თეორიულად შესაძლებელია ავიღოთ აივ-ინფიცირებული ადამიანის უჯრედები, სახეცვლილი გენის ჩანერგვის გზით მივანიჭოთ მათ შიდსისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი და კვლავ დავაბრუნოთ ეს უჯრედები ადამიანის ორგანიზმში. ისინი დაბლოკავენ დაავადების განვითარებას", – დარწმუნებულია სტოი.

მეცნიერს მიაჩნია, რომ არსებობს ალტერნატივაც. კერძოდ, საჭიროა ისეთი სამკურნალწამლო საშუალების შემუშავება, რომელიც იმავე პრინციპით გაააქტიურებს ადამიანის გენებს ამ მომაკვდინებელი სენის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, 2004 წლის დამლევისთვის მსოფლიოში რეგისტრირებული იყო აივ-ვირუსით დასნეულებული 39,4 მილიონი ადამიანი, რომელთაგან 2,2 მილიონი 15 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვია.

მოკლედ

პალესტინის პარლამენტი მაჰმუდ აბასს შაბათს ოფიციალურად გამოაცხადებს პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ახალ მეთაურად. სამშაბათს კი პარლამენტარებმა აბასი გამოაცხადეს პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის დროებით მეთაურად. როგორც ცნობილია, მანამდე ამ მოვალეობას ასრულებდა რუჰი ფათუჰი.

თავის მხრივ, იტალიის გაზეთ „კორიერე დელა სერასთვის" მიცემულ ინტერვიუში ისრაელის შრომის პარტიის ლიდერმა და ისრაელის კოალიციური პარტიის წევრმა შიმონ პერესმა აღნიშნა, რომ პალესტინაში გამართული არჩევნები არის ტერორის შეწყვეტის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. პერესი დარწმუნებულია, რომ მაჰმუდ აბასი შეძლებს ტერორის აღკვეთას.

* * *

ვაშინგტონმა პოლიტიკური მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს იუშჩენკოს, – მიაჩნია უკრაინაში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ ელჩს სტივენ პაიფერს. დიპლომატმა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ბუში უახლოეს მომავალში უნდა შეხვდეს იუშჩენკოს. პაიფერის აზრით, ვაშინგტონისა და კიევის თანამშრომლობა შეიძლება, დაიწყოს ეგრეთ წოდებული „საგზაო რუკის" შემუშავებით, რომელიც უზრუნველყოფს უკრაინის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

* * *

დიდ ბრიტანეთში მძლავრი გრიგალის შედეგად დაიღუპა სამი კაცი, რომლებიც იმ საბედისწერო მომენტში ავტომობილების საჭესთან ისხდნენ. სტიქიამ სერიოზული ზიანი მიაყენა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს, სადაც ქარის სიჩქარე საათში 200 კილომეტრს აღწევდა. შვედეთში სტიქიას ემსხვერპლა 8 ადამიანი. სულ კი ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოებში 19 კაცი დაიღუპა.

* * *

საფრანგეთის ხელისუფლებამ პარიზის ორლის საერთაშორისო აეროპორტში დაამონტაჟა ინფრაწითელი ელექტრონული გადამწოდები, რომლებიც რამდენიმე წამის განმავლობაში ავტომატურად განსაზღვრავენ საფრანგეთის დედაქალაქში ჩასული ყველა მგზავრის სხეულის ტემპერატურას. ასეთი გადამწოდების მეშვეობით ადვილად შეძლებენ გრიპით დაავადებული ადამიანების გამოვლენას.



* * *

ნასა აპირებს მოაწყოს ფეიერვერკი კოსმოსში ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. კოსმოსური აპარატი Deep Impact, რომელსაც ნასა უახლოეს მომავალში გაუშვებს კოსმოსში, შეეჯახება კომეტას. შეჯახების შედეგად კოსმოსში უნდა მოხდეს „აფეთქება", რომლის დანახვა დედამიწიდან ბინოკლითაც იქნება შესაძლებელი.

* * *

შრი-ლანკის პრეზიდენტმა იშვილა ცუნამის შედეგად ობლად დარჩენილი ტამილი გოგონა. როგორც შრი-ლანკის სახელმწიფოს მეთაურის პირადმა წარმომადგენელმა განაცხადა, ქვეყნის პრეზიდენტმა, ორი შვილის დედამ, გადაწყვიტა, ეკისრა ზრუნვა ამ ბავშვის აღზრდისთვის, რადგან სტიქიურმა უბედურებამ შრი-ლანკაში მრავალი ბავშვი დააობლა.

* * *

ან-12 თვითმფრინავის ფრენის შესახებ მონაცემების შემცველი ეგრეთ წოდებული „შავი ყუთის" დაკარგვა ძალზე აფერხებს უგანდაში მომხდარი ამ თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზების გამოძიებას, რომლის შედეგადაც დაიღუპა 6 რუსი მფრინავი. უგანდის ხელისუფლება უარს აცხადებს რაიმე კომენტარი გააკეთოს „შავი ყუთის" დაკარგვის თაობაზე, თუმცა, აქვთ ეჭვი, რომ იგი გაიტაცეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომლებიც თვითმფრინავის კატასტროფის ადგილზე უფრო ადრე მივიდნენ, ვიდრე უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები.



ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

აცხადებს მიღებას დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: გემთწამყვანი, გემთმექანიკური, ელექტრომექანიკური, საზღვაო ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა, სანავსადგურო სამუშაოთა მექანიზაცია და მართვა.

აკადემიაში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები მიუხედავად სქესისა.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება აკადემიის უფროსის სახელზე;
2. ატესტატი ან საშუალო სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი);
3. 6 ფოტოსურათი 3/4;
4. სამედიცინო ცნობა (ფორმა №086);
5. აბიტურიენტის მომსახურებისათვის გადასახადი თანხაა 10 ლარის ოდენობით;
6. პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.

საბუთები მიიღება ამა წლის 20 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით ყოველდღე, გარდა კვირისა 11-დან 15 საათამდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 5 თებერვლიდან.

დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლება ფასიანია.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საზღვაო აკადემიის მიმღებ კომისიას: ბათუმი, რუსთაველის გამზირი 53, ტელეფონი 7-68-21.

განცხადება

სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" აქციონერებს იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე.

კრება ჩატარდება 2005 წლის 8 თებერვალს, 14 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა №44.

დღის წესრიგი:

1. სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" 2004 წლის სამეურნეო შედეგების შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა:
2. სხვადასხვა.

აქციონერებს დღის წესრიგის საკითხების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სააქციო საზოგადოების დირექციაში.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან აქციაზე საკუთრების უფლების მქონე აქციონერები. თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „კომპანია-ცენტრი". მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. №24, დამოუკიდებელი რეგისტრატორის შპს „კომპანია-ცენტრის" ოფისში.

სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი

დინ უაითი.

თბილისი, 2005 წლის 12 იანვარი.

სს „სოფლმომარაგება" ატყობინებს

თავის აქციონერებს, რომ 2005 წლის 2 თებერვალს ტარდება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება მის იურიდიულ მისამართზე: გარდაბნის რაიონი სოფელი აგტაგლია.

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია საწარმოს მიერ გაწეული 9 თვის საქმიანობის შესახებ;
2. სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებების შეტანა;
3. ს/საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა და ახალი რედაქციით გამოცემა.

სამეთვალყურეო საბჭო.

აქციონერთა საყურადღებოდ!

ა/წლის 5 თებერვალს 3 საათზე შედგება განმეორებითი სს ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა „ნუგბარის" აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს 2003 წლის სამეურნეო ანგარიშის განხილვა.
2. აუდიტის არჩევა.

მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას №18.

ადმინისტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 8, ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2005 წელი.

◎ მემუარები

ალექსანდრე ჩიქვაიძე

ომს მამები იწყებენ, ტყვია კი შვილებს ხვდება

წიგნიდან — „პოლიტიკური ჭადრაკი“

„მშვიდობიანობის დროს შვილები კრძალავენ მამებს, მაგრამ ომი არღვევს ბუნების ამ კანონს და მამები მისტირიან დაკარგულ შვილებს...“

ჰეროდოტე.

დღეს უკვე თამამად შეიძლება თქმა, რომ აფხაზი სეპარატისტების მთავარი მიზანი აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველი მოსახლეობის გაძევება გახლდათ. ამ მიზნის მისაღწევად უმაღლეს დონეზე გამოიყენებოდა პოლიტიკურ ავანტიურისტთა ხელთ არსებული ყველა საშუალება — უხეში ძალა, ფსევდოპატრიოტული ლოზუნგები, პოლიტიკური კონიუნქტურა, შანტაჟი, რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობის თვითგამორკვევის ყბადაღებულ უფლებას და პროტესტს, ქართველების მიერ ვითომდა აფხაზეთის „ძირძველი“ მოსახლეობის ჩაგვრას, ეს გახლდათ სეპარატიზმის პოლიტიკური ვუალირების ბანალური საშუალება, რომელსაც საბოლოო ჯამში ცივილიზებული მსოფლიოს თვალში უნდა გაემართლებინა ამ კონფლიქტის საზარელი შედეგი — ომი, დიდი მსხვერპლი ორივე მხრიდან, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და გენოციდი. აქეთკენ მიმავალი ნებისმიერი გზა კი მისაღები და მოსაწონი, ბოლომდე გამართლებული იყო აფხაზეთის დანაშაულებრივი მთავრობისა და პარლამენტის მიერ.

კეთდებოდა ყველაფერი ეს მხოლოდ ერთი მიზნით — იძულებული გაეხადათ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა მასობრივად მიეტოვებინათ საკუთარი სახლ-კარი და საკუთარ მიწა-წყალზე ქცეულიყვნენ იძულებით გადაადგილებულ პირებად. სახეზე იყო პროვინციული ფაშიზმი ყველაზე მიუღებელი და რადიკალური ფორმით, ისევე როგორც ბოსნიაში, კოსოვოში და, საერთოდ, საუკუნის მიწურულის ნებისმიერ ეთნიკურ კონფლიქტში.

ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ სეპარატისტებს „ეთნიკური წმენდა“ რამდენიმე ეტაპად ჰქონდათ დაგეგმილი. პირველი ეტაპი დაიწყო გუდაუთაში 1992 წლის 14 აგვისტოს და გრძელდებოდა ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე. მეორე ეტაპი დაიწყო გაგრის ზონაში ოქტომბრის დასაწყისში და გაგრძელდა 1993 წლის სექტემბრის შუა რიცხვებამდე. სექტემბრის შუა რიცხვებიდან კი საზარელ დანაშაულობათა მესამე დამანგრეველმა ტალღამ წალეკა სოხუმი, ოჩამჩირე, გალის რაიონი.

აღსანიშნავია, რომ 1993 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა კომისიამ, რომელიც შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის 89-ე პლენარული სხდომის 47/80 დადგენილების რეალიზაციის გასაკონტროლებლად, თავის დოკუმენტში საგანგებოდ აღნიშნა, რომ კონკრეტული ერის მიმართ გენოციდისათვის სრულიად არ არის საჭირო მთლიანად ერის განადგურება, „თუკი მკვლელობის ობიექტია ეროვნული ჯგუფის მთლიანად ხელმძღვანელობა, ეს გენოციდის ტოლფასი გახლავთ. იგულისხმება პოლიტიკური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელები, სასულიერო პირები, მეცნიერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამდენად იმისათვის, რომ გენოციდის პრეცედენტი დაფიქსირდეს, სრულიად არა აქვს მნიშვნელობა მოკლულთა რაოდენობას“.

ის, რაც მოხდა აფხაზეთში, კაცობრიობის ისტორიაში შევა ფაშისტური გენოციდის ტოლფას გამოვლინებად. განსაკუთრებით შემზარავი და ტრაგიკული იყო ის გარემოება, რომ სეპარატისტებმა კონტროლი დაკარგეს და მიაჩნდათ, რომ უკვე ჩადენილი საშინელი დანაშაული საკმარისი არ იყო დასახული მიზნისათვის. საქართველოს ხელისუფლებას, საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰქონდა უდავო მონაცემები, რომ სეპარატისტებს სურდათ აფხაზეთის ქართველობის მთლიანი განადგურება. ახლაც კომმარივით მახსენდება მასობრივი დახვრეტების ათასობით დადასტურებული ფაქტი, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ხასიათდებოდა.

1992 წლის ოქტომბერში დაიწყო მასიური ტერორი გაგრის ზონაში. ხორციელდებოდა იგი მკვლელობით, წამებით, ძარცვით, ქართველთა სახლკარისა და ქონების განადგურებით. ტრაგიკული იყო შედეგი — სამი ათასი ფიზიკურად განადგურებული და დაახლოებით 17 ათასი იძულებით გადაადგილებული მხოლოდ გაგრიდან. ტრაგედიას საგანგებო შეფასება მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც ქართველების გენოციდი დაადასტურა ოფიციალურ ანგარიშში.

ისევე როგორც გაგრაში, სეპარატისტები მეთოდურად ანადგურებდნენ ქართველ მოსახლეობას სალხინოში, განთიადში, ბიჭვინთაში, ლიძავაში, ალახაძეში, ბზიფში.

შემზარავია აფხაზეთის ომის სტატისტიკა. თვეების განმავლობაში სოხუმისა და ოჩამჩირის მჭიდროდ დასახლებული რაიონები სისტემატურად იბომბებოდა ჰაერიდან.

დღესაც გუშინდელივით მახსოვს 3 სექტემბრის ხელშეკრულების ხელმოწერის დღე. დღესაც ცხადად ვგრძნობ მაშინდელ დაძაბულობას, მყიფე იმედს, ცივი და საზარელი ეჭვის გრძნობას, რომ რაღაც ისე არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. ძალიან მაფიქრებდა ხელმოსაწერად გამზადებული დოკუმენტის შესრულების გარანტიები. ტექსტში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვინ იყო თავდები, ვის მოეკითხებოდა პასუხისმგებლობა ნავარაუდევის რეალიზაციაზე. ვუთხარი კიდეც პრეზიდენტს ჩემი ეჭვების შესახებ, მაგრამ უკიდურესად დაძაბული სიტუაცია, ცაიტნოტი და საერთო განწყობა, სამწუხაროდ, გამორიცხავდა იმ მომენტში ამ თემაზე საუბარს.

ამდენად, აფხაზთა მიერ 3 სექტემბრის შეთანხმების უხეშად დარღვევა მოულოდნელი არ იყო. ვიმეორებ, დოკუმენტი არ იყო გამაგრებული არანაირი საგარანტიო მექანიზმით. სამწუხაროდ, შექმნილი სიტუაცია მაშინ არ გვაძლევდა საშუალებას, დღის წესრიგში დაგვეყენებინა გარანტიების საკითხი და იძულებული ვიყავით მხოლოდ პოლიტიკური ნების აქცენტირებით დაგვეზღვია თავი. საერთოდ, გარანტიების საკითხი ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ნებისმიერი შეთანხმების აქილევსის ქუსლი იყო. ეს არ ხდებოდა იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ ვაანალიზებდით საერთაშორისო საგარანტიო იურიდიული მექანიზმის დიდ მნიშვნელობას. უბრალოდ, დაძაბულობა და კონფლიქტის ესკალაცია არ გვაძლევდა დამატებითი პრეტენზიების წაყენების ფუფუნებას და ხშირ შემთხვევაში, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, იძულებული ვიყავით მივენდობოდით სეპარატისტთა სიტყვას. თუმცა ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით გალის მოვლენების შემდეგ, იურიდიული გარანტიების პრობლემას საქართველოს ხელისუფლება უკვე კატეგორიულად სვამდა.

3 სექტემბრის მოლაპარაკება მიმდინარეობდა უკიდურესად მწვავედ. საქართველოს დელეგაციისა და აფხაზი სეპარატისტების გარდა, მას რუსეთის გუბერნატორთა უმრავლესობა ესწრებოდა. პრეზიდენტი ელცინი მეტად აქტიურად იყო განწყობილი და არძინბაზე აშკარა ზეწოლას ახდენდა. შემდეგ შევარდნაძეს მიმართა:

„თქვენ მზადა ხართ ხელშეკრულების ხელმოსაწერად?“

„მზად ვარ“, უპასუხა შევარდნაძემ და ამ დროს ფეხზე წამოვარდა არძინბა. „რას შვრებით“, მიმართა ელცინს, „ძალიან გთხოვთ, ნუ ღებულობთ ასეთ გადაწყვეტილებას, რატომ გვჩაგრავთ, ჩვენ პატარა ერი ვართ, ასე არ შეიძლება“. მაგრამ ელცინი რისი ელცინი იყო, ყურადღება არ მიაქცია არძინბას და რუსეთის დელეგაციის ყველა წევრის თანდასწრებით პირველმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას.

ამის შემდეგ დარბაზში შამპანური შემოიტანეს.

ელცინი ჩქარი ნაბიჯით გამოემართა ჩვენსკენ. ჯერ შევარდნაძე იდგა, შემდეგ სიგუა, შემდეგ მე. როდესაც ელცინი მოგვიახლოვდა, უცებ ჩემკენ შემოტრიალდა, ჭიქა თანმხლებს გადააწოდა და ხელები მომხვია — „ალექსანდრ დავიდოვიჩ, ნუთუ თქვენ ხართ?“ ალბათ, გაახსენდა ჩვენი შეხვედრა ჰოლანდიაში.

მოლაპარაკების ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ საგანგებოდ გამოიყო ოთახი საქართველოსა და აფხაზეთის დელეგაციების შეხვედრისათვის. ჩვენი მხრიდან ვიყავით შევარდნაძე, სიგუა, კიტოვანი, ნადარეიშვილი და მე. შემოვიდა არძინბა თანმხლებ პირებთან ერთად. დაახლოებით ათამდე კაცი. ეს იყო უაღრესად დაძაბული საუბარი. შეხვედრის დროს სიგუას და არძინბას შორის კამათი უკიდურესად გამწვავდა, ლამის შეხლა-შემოხლამდე მივიდა საქმე. სხვათა შორის, თენგიზ სიგუა გამოირჩევა შესანიშნავი მახსოვრობით და არძინბას ედავებოდა უმცირეს დეტალებზეც კი — სად, როდის, რომელ საათსა და წუთზე იყო ესა თუ ის პრობლემა აფხაზეთთან მიმართებაში. მოულოდნელად აღგზნებული არძინბა ფეხზე წამოვარდა: „მე თქვენი არ მჯერა, არც ერთის არ მჯერა. აი, კაცი, ვისიც მჯერა და ვისთანაც შეიძლება საუბარი“. ხელი ჩემკენ გამოიშვირა. უხერხული პაუზა ჩამოვარდა. არძინბა საერთოდ პირველად ვნახე და, ცოტა არ იყოს, შევცბი. არ ველოდი მისგან ასეთ შეფასებას. ეტყობა, თვითონაც მიხვდა შექმნილ უხერხულობას და გააგრძელა: „მჯერა ამ კაცის, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცნობ. ასეთი ხალხი რომ იყოს მოლაპარაკებაზე, ბევრს მივაღწევდით“.

მას მერე ხშირად მიფიქრია არძინბას ამ სიტყვებზე. ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია მისი გულწრფელობა. ვფიქრობდი, იქნებ სხვების დაკნინების ხარჯზე ჩემდამი სიმპათიის აქცენტირებით მას საქართველოს დელეგაციაში უსიამოვნო განწყობის შექმნა, ეჭვისა და განხეთქილების ჩამოგდება უნდოდა. ან იქნებ არძინბა საერთოდ ქართულ მხარესთან დიალოგის მოწინააღმდეგე იყო და შეიძლება ჩემი მისამართით ნასროლი რეპლიკით სწორედ საკუთარი განწყობის ხაზგასმა, მოლაპარაკებასთან დაკავშირებით თავისი ნამდვილი პოზიციის შენიღბვა სურდა. ვინ იცის, ყოველ შემთხვევაში სხვა ახსნას მის ამ უცნაურ გამოხტომას დღესაც ვერ ვუძებნი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 297-299, 301-303 — 2004 წ, № 6, 7 — 2005 წ.

◎ წარდგინება

წიგნი-შეჯამება,

ანუ გამოცემა, რომელიც უდავოდ გაამდიდრებს ქართულ სულიერ კულტურას

(პირველი გვერდიდან)

წიგნი მემუარული ხასიათისაა, ავტორი მასზე ხუთი წელი მუშაობდა. ალექსანდრე ჩიქვაიძე მკითხველს თავისი ცხოვრების საინტერესო დეტალებს აცნობს და საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ოცდაათწლიანი მოღვაწეობის შედეგად მიღებულ გამოცდილებასაც უზიარებს. წიგნს ლაიტმოტივად გასდევს აზრი, რომ დიპლომატიურ სარბიელზე პროფესიონალიზმი უპირველესად პატიოსან, ადამიანურ მიდგომებსა და ურთიერთობებს გულისხმობს. ნაშრომში საფუძვლიანადაა გაანალიზებული მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესები: კომუნისტური პერიოდის ქართული სინამდვილე და იმდროინდელ პოლიტიკურ ლიდერებთან ავტორის რთული, არაერთგვაროვანი ურთიერთობა, საბჭოთა კავშირის დაშლასა და ახალ მსოფლიო გადანაწილებაში მაშინდელ პოლიტიკურ ლიდერთა როლის ანალიზი, მოცემულია აფხაზეთის ომის გამომწვევი მიზეზები და საქართველოში არსებული სეპარატიზმის პრობლემის გადაწყვეტის ავტორისეული ხედვა, არძინბასთან საქართველოს პირველი პირების ურთიერთობის აქამდე უცნობი დეტალები. წიგნში გაშუქებულია ქართულ-რუსული ურთიერთობის პერსპექტივები, განსაზღვრულია საქართველოს გეოპოლიტიკური პრიორიტეტები, ნატოსა და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივა, ამასთან, მოცემულია ქართულ დიპლომატიაში არსებული რთული მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზი.

ალექსანდრე ჩიქვაიძე 1992-95 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის რამდენიმეგზის ელჩი გახლდათ კენიასა და ჰოლანდიაში, შემდეგ — საქართველოს ელჩი საბერძნეთში, ამჟამად კი შვეიცარიის კონფედერაციაშია.

წარდგინებაზე **საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ გაიხსენა:** — 1992 წელს საშა ჩიქვაიძე ჰოლანდიაში მოღვაწეობდა, დავურეკე და საქართველოში დაბრუნება შევთავაზე, 10-15 წამით სიჩუმე ჩამოვარდა, ვიფიქრე, ჩვენი წინადადება თავხედურად ჩათვალა და ვუთხარი: ბატონო საშა, ეტყობა, ასე ფიქრობთ და... იქიდან მესმის ხმა — მაცალე, ცრემლებს ვყლაპავ, ვინმეს ვჭირდები ჩემს სამშობლოში?.. იგი დაუფიქრებლად შეელია 4.500-დოლარიან ხელფასს, კომფორტულ ბინას, ეს მაშინ, როცა საქართველოში მისი ხელფასი 19 დოლარი იყო.

ლევან ბერძენიშვილი, პარლამენტარი: — ქართული პოლიტიკური კულტურა წერილობითი ძეგლებით მდიდარი არ არის. ვფიქრობ, ასეთი წიგნი საერთოდ პირველად დაიწერა. ეს არის წიგნი-შეჯამება, რომლის მიხედვით ადამიანმა შეიძლება გაიგოს, როგორ მიემართებოდა ქართული და რუსული პოლიტიკა წლების მანძილზე. ეს ინფორმაცია გაანალიზებულია ძალიან ფაქიზი და განათლებული კაცის მიერ.

დაბოლოს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1992 წელს დაწყებული მასშტაბური გამოკითხვის საფუძველზე, ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა 1995 წელს ალექსანდრე ჩიქვაიძე 500 ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსის სიაში შეიყვანა, ამით, მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ უკვე ყველაფერია ნათქვამი, ჩვენი ქვეყნისთვის კი ცხადია, სამაყოა, რომ ამ დონის საერთაშორისო დიპლომატი გვყავს.

ლელა ხვადაგიანი.

◎ მოთხრობა

მიწის სადღეგრძელო

„ღმერთი ჩემშია, მე მიწა ვარ!“

...ვის?

კაცს გაუმარჯოს...

...თუნუქის ღუმელთან, ჯეჯიმგადაფარებულ ტახტზე, კედლისკენ პირგადაბრუნებით ტანგაუხდელად მძინარე კაცს გაუმარჯოს!

თაგვისა თუ ონავარი დედოფალასაგან ძილდამფრთხალი, ხმაჩახრინწული მამალას ყივილი რომ დაასწრებს გაღვიძებას — ნიდაყვზე წამოწეული, დაორთქლილი ფანჯრიდან გახედავს ჯერ ისევ კუპრივით ჩაჟამისფერებულ ღამეულ ზეცას და ბრაზმორეული ჩაიბურდღუნებს მამალას მისამართით, — „ისევ დამასწრო ამ პატრონაშენებულმაო“, — იმ კაცს გაუმარჯოს! მერე, ბეჭებზე წაფარებულ შალს დაუდევრად გვერდზე გადასწევს, გადმობრუნდება, ტახტზე ჩამოჯდება, ფეხებს „ბაშმაკებში“ წაყოფს, დაკოჟრილ ხელებს პირი-სახეზე ჩამოიტარებს, გაიზმორება, ღრმად დაამთქნარებს, ერთს — დარწყულებული ხარივით დაიფრუტუნებს, გაჩერებულ საათს შეხედავს: „შენც გაჩერდი, შეგიჩვენდა გამკეთებელი?!“ — გულმოსვლით მიაწყევლის. ერთ წამს გაყუჩდება, ჩამქრალი ღუმელის პირს თვალგაშტერებული მიაჩერდება. წამოდგება, წოლისგან დასმურტლულ შარვალ-ხალათზე უდიერად ჩამოისვამს ხელს, ჩაიმუხლავს, ღუმელის ქვეშ შედგმულ ალუმინის ქვაბს გამოაცურებს, ხუფს ახდის, ჩახედავს მშრალად გადაღებულ ხორცს: ერთ ნაჭერზე — რბილობს ამოიღებს, პირში მოიქცევს, ქვაბს ხუფს დაახურავს, ისევ ღუმელის ქვეშ შედგამს. ლუკმის ღეჭვით ღუმელისკენ გადმოჩოჩდება, კარს გამოაღებს, ჩანავლულ ნაკვერჩხალს გულს გამოუქექავს: „ჩამქრალიაო“, — იტყვის უნებლიე მეამიტობით. წვრილ-წვრილ კაჭახებს შეყრის, რცხილის სამ თხელ ნაჭერს მიუკეთებს. ხელმარცხენივ, მაგიდაზე ნაგულებ ასანთს მოხელავს, გაჰკრავს, ცეცხლს მისცემს — ტკბილად ააბუტბუტებს შემოდგომა-ზამთრის ერთგულ, განუყრელ მეგობარს. აუჩქარებლად წამოდგება, სიცივისაგან შეაძაგძაგებს, ნამძინარევ სახეს და თვალებს ისევ მოისრესს — ხელებს თეძოებზე შემოიწყობს: რბილ საწოლში, მისებურად კედლისკენ პირგადაბრუნებით ძილში მშვიდად მფშვინავს, ბეჭებზე საბანგადახდილ ქალს გადახედავს, — „წოლა ვერ გასწავლე, შე კეთილაშენებულოო“, — იტყვის ჩურჩულით. ახლოს მივა: — „არ გავაღვიძოო“, — გადახდილ საბანს ფრთხილად გაუსწორებს. კედელზე დაკიდულ საოჯახო ფოტოსურათების წყებას ნაღვლიანად გააყოლებს თვალს. საწოლის თავთით, კომოდზე ამჟუტებულ შუშის ძველ ლამფას გადასწევს, აიღებს: შავ ჩარჩოებში ჩასმულს, ომში დაკარგული სამხედრო ფორმიანი სამ-სამი ვაჟიშვილის ფოტოებს მიაშუქებს, ნაღველით დამძიმებული, ქუთუთოებში შეშუპებული, სევდაჩამდგარი თვალებით უყურებს დიდ ხანს, ძალიან დიდ ხანს. მერე ერთ-ერთს, თავიანთი ჯეილობისდროინდელს, ხის ოვალურ, გაცრეცილ ჩარჩოში ჩასმულ — სიყვითლეშეპარულ სურათს მიანათებს, დააცქერდება. ახლა სარკისკენ გადაიტანს მზერას, ჩაიხედავს: „ეეხ!“ — ამოიოხრებს უკმაყოფილოდ, გულისტკივილით. ჭაღარა თმაშეთხელებულ თავზე ხელს გადაისვამს, ქოჩრიდან უკულმად გადაიტარებს, ლამფას ისევ კომოდზე დადგამს. მაგიდისკენ შემობრუნდება, ქუდს აიღებს, კეფაზე მოიდებს. სკამის საზურგეზე დაკიდულ ბამბულას მისწვდება, მხრებზე მოიგდებს, — „ანჯამების ჭრიალზე დედაკაცს არ გამოეღვიძოსო“, — კარს ფრთხილად გამოაღებს, ოთახიდან ფეხაკრეფით გავა...

...ეზოში გასულს, ფეხის ხმაზე გამოღვიძებული ბებერი, კოჭლი ნაგაზი „ფხიკო“ შეეგებება, — ფეხებში გაებლანდება, შარვლის ტოტზე გაეგლასუნება, კუდის ქიცინით წინ გაუგორდება. წამით შედგება, წაიხრება, ჩაიმუხლავს, ხელს მუცელზე მიუთათუნებს: „რა თბილი ხარ, ფხიკო, შე შეჩვენებულო, შენა. ადამიანებმა რა ხანია დაკარგეს და, შენ ვინ მოგანიჭა ამდენი სითბოო“, — ეტყვის მოფერებით. წამოდგება, აუზისკენ გაემართება, ონკანს მოუშვებს, ცარიელი მილიდან წყლის მაგივრად გამონადენ ჰაერის ნაკადის გულისგამაწვრილებელ შიშინს შეწუხებული სახით მიუგდებს ყურს...

„ეკონომია... წყლის ეკონომია, დენის ეკონომია, პურის ეკონომია, დროის ეკონომია, ყველაფრის ეკონომია გამიგია?!. კარგით რა... ფუჰ!..“ — ჩაიბურდღუნებს უკმაყოფილოდ.

მამალას ხრინწიან ყივილზე საქათმისკენ შემობრუნდება. რუხი ღრუბლებით დაფარულ ზეცას ახედავს: „კიდევ შემაცდინე, ყვინჩილავ?! ადრე კი მოგივიდა დაყივლება! შენ მაინც რატომ არ გეკარება ძილი, ერთი გამაგებინა?!“ — ჩაილაპარაკებს თავისთვის, დაბალი ხმით.

პატრონის ფეხისა თუ ჩურჩულის გაგონებაზე, გომურის კარის ზემოდან ყურმოჭრილი სახედარი ამოყოფს თავს...

...გომურისკენ წამოვა, ყურნახევარზე მიუთათუნებს ჭკვიანსა და უწყინარ პირუტყვს. უკან გამობრუნდება, — თუთის ძირში, აგურებზე გაწყობილ ფიცრებზე შედგმულ კასრთან მივა, ხუფს გადახდის, ყინულის თხელ აპკს გო-

ჯემალ ხუციშვილის ნახატი.

ჯით ჩაამტვრევს, ორ-სამ პეშვ წყალს სახეზე შეისხამს. „წყალო, წყალო, გააწყალე ჩემი ცუდი სიზმრები!“ — ვედრებით ჩაიბუტბუტებს, მთელი კვირის გაუპარსავ, გაუხეშებულ, წყლით გაჟღენთილ ჭაღარა წვერს ხელებით ჩამოიწურავს. ზეცას ახედავს, პირჯვარს სამჯერ გადაისახავს: „ღმერთო, კაი დღე გაგვითენეო“, — შესთხოვს ზეციერს.

ისევ საქათმისკენ შემობრუნდება, თითს დაუქნევს, — „ოხ, ყვინჩილა, ყვინჩილა!..“ — თითქოს გულისწყრომითაც კი მიმართავს ფხიზელ მამლაყინწას.

ღობისკენ წამოვა, საკარმიდამო ბოსტანს გახედავს, მარჩენალს გულისყურით მოატარებს თვალს. იქვე, ჭერმის კუნძზე ჩამოჯდება, მუხლისთავებს მკლავ-ნიდაყვებით დაენდობა, ნაოჭებდაქცეულ პირი-სახეს ხელისგულებში ჩარგავს. ერთხანს ასე — მდუმარედ დაჰყოფს. ჯიბეში „პრიმის“ კოლოფს მოხელავს, ერთ ღერს სიდინჯით ამოიღებს, აუჩქარებლად მოსრესს თითებში. მეორე ჯიბიდან ასანთის კოლოფს ამოიღებს, — კოლოფიდან ღერს...

გაჰკრავს...

...აღარ უკიდებს.

...თვალი არსაითისკენ უშტერდება.

ფიქრობს...

ფიქრობს — სადღაც, შორს...

...და ამ ფიქრებში წასულს — ასანთის ღერზე მოდებული ცეცხლის ალის სიმხურვალე გამოაფხიზლებს. სიმწვავისაგან სწრაფად მოისვრის თითებში ჩამწვარ ღერს. მეორეს ამოიღებს, გაჰკრავს, ცეცხლს მისცემს სიგარეტს, ზედიზედ ღრმად მოქაჩავს და ისევ ფიქრების მორევში მიექანება...

ფიქრობს, ფიქრობს, ფიქრობს...

ვინ იცის, სად, ვისზე, რაზე...

...თუთის ძირში, ხელსაფქვავის გატეხილი ქვის ნახევარს ჰკიდებს თვალს, დააცქერდება:

„რა გინახია, რას მოსწრებიხარ?.. შენც თუ შეგიძლია ფიქრი, ქვავ, სათქმელი თუ გაქვს?..“ — ჰგონია, ფიქრობს, ხმამაღლად კი მოუვა თქმა.

ქვა არაფერს უპასუხებს!..

ან, როგორც უნდა უპასუხოს ქვამ?!

ის ხომ ქვაა, ჩვეულებრივი ქვა, ყოფილი ხელსაფქვავის გატეხილი, ყოვლად უსარგებლო, ხავსიანი უსულო ქვა და მეტი არაფერი?!.

არადა, იქნება მართლა შეუძლია ფიქრი ქვას?!

...და, თუ შეუძლია, ექნება კი — სათქმელი?

...ან, რას იტყვის?

ვინ იცის?!

ის კი, ფიქრობს...

ფიქრობს...

ფიქრობს...

სადღაც, ძალიან შორს — ტატნობზე, ჩაბინდული ზეცის უსასრულო კიდეს პირი აერღვევა...

...და, ამ ფიქრებში, შემოათენდება კიდეც.

სიგარეტი დაკოჟოჟებულ თითებში ჩაეფერფლება. ნამწვს განზე მოისვრის, ხელსაფქვავის ქვის ნახევართან გადაჩოჩდება. ქვის ძირში მოფუსფუსე უამრავი მუშა ჭიანჭველების ჯგუფს დააცქერდება, — მზერას ბალბის ძირისკენ გადაიტანს:

ბალბის ძირში კი — დედა ჭიანჭველა ზურგზე მოკიდებულ მკვდარ ჭიანჭველას მიათრევს სადღაც.

„შენღა, ჭიანჭველავ?.. მაგ შენი და ჩემი ბედის-ზიარს, საით მიათრევ, ნეტავ?..“ — აღმოხდება წრფელი თანაგრძნობით.

„ოხვრით წამოდგება, აღმოსავლეთით შემტრედისფერებულ ცას გახედავს წამით, გომურისკენ გაემართება. სპილენძის მავთულ-კაუჭით გადარაზულ კარს გააღებს, სახედარს გამოიყვანს, ჭერემის ძირზე მიაბამს. სათივესკენ წავა, იღლია თივას წამოიღებს, ხელებში თმენით მიჩერებულ პანტურას დაუყრის. ცოტა ხანს თვალმოუცილებლად უყურებს, როგორ მშვიდად და აუჩქარებლად იღეჭება ეს თვინიერი არსება.

...ტანთსაცმელს ჩამოიბერტყავს, მარნისკენ გასწევს, კარის ჩარჩოზე მიჭედებულ ლურსმანზე, ზედ შებმული თასმით ჩამოკიდებულ გასაღებს მისწვდება, კლიტეს გახსნის, ნაბიჯს წინ წადგამს, ზღურბლზე შედგება, სიბნელეს თვალს შეაჩვევს, — მარანს მოათვალიერებს, შევა: ფანჯრის რაფაზე ფარანს მოძებნის, აანთებს, მაგიდაზე დადგამს. დედაბოძზე მილურსმული თასმის ყულფებში ჩალაგებულ სხვადასხვა ზომა-ფორმის ძელისტარიანი დანებიდან ერთ-ერთს ამოიღებს, — ხარიხაზე ჩამოკიდებულს, მარილში გამოყვანილ ღორის ბარკალს ხელისგულისოდენა ნაჭერს ჩამოათლის. თაროდან გაზეთს აიღებს, შუაზე გახევს, ერთ ნახევარში გაახვევს ხორცს: ლასტზე დაწყობილ პურებს მისწვდება, გადაამტვრევს, გაზეთის მეორე ნახევარში გადაახვევს „პრავიზონკაში“ ჩააწყობს. კედელში ჩაშენებული თახჩიდან — წალდს, სამყნო დანას, ვაზის სასხლავ მაკრატელს და კანაფის ნახარჯ გორგალს გადმოიღებს, — ამასაც „პრავიზონკაში“ ჩაალაგებს. საკიდლიდან ნაბადს ჩამოხსნის, მხარზე მოიგდებს, ფარანს ჩააქრობს, ისევ ფანჯრის რაფაზე დადებს. მარნის კარს დაკეტავს, გასაღებს თავის ადგილზე დააბრუნებს. „პრავიზონკას“ და ნაბადს ორთვალა საზიდრის ჭალზე ჩამოკიდებს. საზიდრიდან ვედროს აიღებს, ჭურჭელს წყლით გაავსებს, — სახედარს მიუტანს, დაარწყულებს. ჩარდახიდან კეხს გამოიტანს, ზურგზე დაადგამს, გარსაკრებს ამოუჭერს, საზიდრისკენ წამოიმძღვარებს. შესაბმელად ხელნებსშუა მორჩილად ჩამდგარს, წყლიან თვალებში ჩახედავს, მოკლე ფაფარს მზრუნველად მოუჩეჩავს, კისერზე ფრთხილად მოარგებს უღელს. საზიდრის ხელნებს ჯაჭვით მოქანჩავს. შეციებული ხელების სრესვით ჭიშკრისკენ გასწევს, უხმაუროდ გააღებს: უკან წამოვა, — ისევ მოესმის მამლაყინწას ხრინწიანი, მყივანა ხმა...

„დილა მშვიდობისა!“ — ყვინჩილას ღიმილჩამდგარი თბილი თვალთმზერით მიესალმება. დაფიქრებული მიაჩერდება სახლის დახურულ კარებს, რომლის მიღმა თავისი ტკბილ-მწარე ცხოვრების ერთადერთი უღალატო მეგზური და თანამეცხედრე ეგულება. თავდახრილი ჭიშკრისკენ ოხვრით შებრუნდება და თმენით მომლოდინე სახედარს ეზოდან გაუძღვება...

...მთელი დღე მზრუნველად დასტრიალებს ახალშენ ვენახს. თითოეულ ვაზს გულისგულ უვლის, უნებლიე ღიღინღიღინით დაჰგურგურებს, ესიყვარულება.

ნასხლავ წალამს კონებად შეკრავს, ვენახის თავში ეზიდება ცოტ-ცოტაობით, ქოხის გვერდით წყობისად აწყობს.

დასვენება, სამხარი და წყლის წყურვილი შებინდებისას მოაგონდება.

დაღლილ-დაქანცულს სამხრის ხალისიც დაკარგვება.

ქოხის სიახლოვეს, ბებერი გულაბის გადამლილი ტოტების ქვეშ, ლოდზე ჩამომჯდარი, შარშან ამოხეთქილ ცინცხალ წყაროსთვალს დააცქერდება. ქანცით მოშვებულს თვალებზე ლული მოეკიდება, უნებლიე თვლემა წაიღებს...

...თავს მოძალებულ ძილს გაუძალიანდება, არ დანებდება. თივაში თავჩარგულ სახედარს წარბებსქვეშიდან გახედავს. უყურებს მზერამოუცილებლად, თვალგაშტერებით. მძიმედ წამოდგება. აუჩქარებელი ნაბიჯით სახედრისკენ გაემართება, ბეჭებზე დაცურებულ ბამბულას უდიერად წაითრევს თან...

...შინ შეღამებისას, გვიან დაბრუნდება:

ჯერ სახედარს დაარწყულებს, გულგადასაყოლებლად ბაგაში იღლია თივას ჩაუყრის, დააბინავებს...

...მერეღა შევა სახლში.

შესვლისთანავე მოიხდის ქუდს, მაგიდის კუთხის კიდეზე დადებს. ბამბულას გაიხდის, სკამის საზურგეზე გადაკიდებს, მაგიდას შემოუვლის, ტახტზე ჩამოჯდება, — გაიძრობს „ბაშმაკებს“, წინდებს.

ასე ზის ტახტზე, გაუნძრევლად, მდუმარედ და დაფიქრებული.

მალე დედაკაციც გამოჩნდება, იმისი ცოლი, — ქმარს სავახშმო სუფრას გაუშლის: შემოიტანს მწნილს, არაყს, პურს, ნივრის დარჩენილ კბილებს, თიხის ჯამში ლობიოს ასხამს...

უსიტყვოდ გახედავს ქმარი დედაკაცს, — გახედავს ნაღვლიანად:

ასე უყურებს ერთხანს, თითქოს უნდა ჰკითხოსო რამე...

...მაგიდასთან გადაჩოჩდება:

სდუმს:

...სდუმს და, ასე მდუმარედ ჯამს დაჩერებული, უგერგილოდ შეექცევა უკვე ნაგვიანებ ვახშამს.

...არყის გრაფინს გადასწვდება, დაისხამს: „ღმერთო, მშვიდობის დილა გაუთენე ჩემს ქვეყანას, — დაილოცება სავედრი ხმით, — ყველა გაჭირვებულს გაუმარჯვე, მოუმართეო ხელი“.

აქამდე გაჩერებული საათი თავისთავად ამუშავდება, მექანიზმი მონოტონურ წიკწიკს დაიწყებს...

...ისევ გახედავს დედაკაცს, თბილად გაუღიმებს:

„ამ საათის შემხედვარე, მართლა გადავირევი კაცი!..“

ამოლოკილ ჯამს გვერდზე მიაცურებს...

...ფეხებს ტახტზე აიკეცავს, მუთაქას მიენდობა. ფიქრებში წასულს დილით ნანახი დედა ჭიანჭველა გაახსენდება, რომელიც ზურგზე მოკიდებულს — იქნება შვილის, თუ თანამოძმის უსულო სხეულს, ღმერთმა იცის, სად მიათრევდა...

...მოღლილ-მოქანცულს ტანსაცმლის გახდაც დაეზარება...

„ბეჩაო! ტანთსაცმლის გახდა რაღაა, დაფარებაც რომ ვერ გასწავლე ამხელა კაცს?!“ — ძილბურანში ტკბილად ჩაესმის ცოლის ნაცნობი, ნასაყვედურალი ხმა.

დედაკაცისგან მზრუნველობით ბეჭებზე წაფარებულ შალში მჭიდროდ გაეხვევა, — ოფლის სუნიც მალე ჩატკბება...

...ჭიანჭველებზე ფიქრი კი — ისევ გაახსენებს თავს:

„ჭიანჭველები თუ ასაფლავებენ თანამოძმეებს?!“ — ამის გაფიქრებასღა მოასწრებს და, ხვალინდელი დღის იმედით, ღრმა ძილი წაიღებს მის ნაჯაფარ, დაქანცულ სხეულს.

კაცს იასეს ეძახიან!

გაუმარჯოს!

რომან ამირეჯიბი.

განცხადება ორეტაპიანი ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, მმართველობითი და თანმდევი საგანმანათლებლო მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს ერთ ლოტად, „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" (პროექტი № GEO-202-G01-H-00) პროგრამის ფარგლებში შემდეგ მომსახურებაზე შემსრულებლის გამოსავლენად:

უსაფრთხო სისხლი და სისხლის პროდუქტები, რაც ითვალისწინებს:

• დონორთა სრული სტანდარტით (აივ-ინფექცია, B და C ჰეპატიტები, სიფილისი) გამოკვლევას;
• დონორთა შესახებ მონაცემთა ბაზის და საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მართვის უზრუნველყოფას; უსაფრთხო სისხლის სადიაგნოსტიკო ლაბორატორიის გაერთიანებას დონორთა ელექტრონული მონაცემების ქსელში;
• სისხლის ნებაყოფლობითი დონაციის გასაზრდელად მოსახლეობაში, როგორც ცენტრალურ ისე რეგიონულ დონეზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის განხორციელებას;
• სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებში სკრინინგული იმუნოფერმენტული დიაგნოსტიკური მეთოდის დანერგვასა და შესაბამისი სადიაგნოსტიკო აპარატურით, ტესტ სისტემებით უზრუნველყოფას;

2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) წელი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები **ქართულ ენაზე** უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 28 იანვრის 15 სთ-დან□□17 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი № 23, II კორპუსი, მე-5 სართული.

4. საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" თანახმად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა

4.1 იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

• რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
• შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ (პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან);
• ცნობები რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, გაკოტრების, სანაციის საქმეთა არარსებობის შესახებ (შესაბამისად, პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან);
• ცნობა ქონებაზე ყადაღის საქმის არარსებობის შესახებ (საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);
• ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

4.2 ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

• ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებიდან);
• ცნობა, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);
• ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (პირის საცხოვრებელი ადგილის რაიონული სასამართლოდან).

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების სახით დამატებით უნდა წარმოადგინონ:

1. ლიცენზიები შემდეგ სამედიცინო საქმიანობებზე:
ა) აივ-დიაგნოსტიკა ლაბორატორიული;
ბ) სეროლოგიური გამოკვლევები;
გ) იმუნოლოგიური გამოკვლევები;
დ) სანიტარიული განათლება;
საშუალო სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლება;
უწყვეტი სამედიცინო განათლება;
(დ-პუნქტში ჩამოთვლილი ლიცენზიებიდან სავალდებულოა ერთ-ერთის წარმოდგენა)

2. ინფორმაცია უსაფრთხო სისხლის, აივ ინფექცია/შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის პროგრამების განხორციელების არანაკლებ 3 წლის გამოცდილების შესახებ;

3. ინფორმაცია არსებული ლაბორატორიული მოწყობილობების შესახებ (სამედიცინო-ტექნიკური ნაკეთობების მითითებით);

4. ინფორმაცია კადრების კვალიფიკაციის შესახებ (ლაბორატორიული საქმიანობის სერტიფიკატის მქონე და აღნიშნული დიაგნოსტიკური მეთოდების შესრულების გამოცდილების მქონე ექიმი-ლაბორანტები არსებული კვალიფიკაციების მითითებით);

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

7. საკვალიფიკაციო შერჩევა განხორციელდება 2005 წლის 28 იანვრის 18 სთ-ზე წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

8. „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტებად არ დაიშვებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები:

ა) არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან ყალბი აღმოჩნდება;
ბ) არაზუსტი ან არასრული აღმოჩნდება, ან ამ მონაცემებში მექანიკური შეცდომაა დაშვებული და მათი წარმომდგენი პირი უარს აცხადებს დაშვებული შეცდომის (უზუსტობის) გასწორებაზე ან მონაცემების საჭირო ინფორმაციით შევსებაზე ან/და არ შეუძლია მისი გასწორება.

9. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადება *ფინანსური მახასიათებლების გარეშე* დახურულ კონვერტში, ხელმოწერილი ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელის მიერ. საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვის შემდეგ მოხდება დამტკიცებული პრეტენდენტების პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა. პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს:

9.1 მომსახურების აღწერილობასა და მეთოდოლოგიას ლოტის მიხედვით ქვემოთ აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად.

ლოტის მიზანია:

• წელიწადში დამატებით (მინიმუმ) 4000 დონორის სრული სტანდარტით გამოკვლევა;
• უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ხუთ სადიაგნოსტიკო ლაბორატორიაში სკრინინგული იმუნოფერმენტული დიაგნოსტიკური მეთოდის დანერგვა, შესაბამისი სადიაგნოსტიკო აპარატურით, ტესტ სისტემებით, უზრუნველყოფა და პერსონალის მომზადება;
• დონორების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა;
• უსაფრთხო სისხლის 10 სადიაგნოსტიკო ლაბორატორიის გაერთიანება დონორთა ელექტრონული მონაცემების ქსელში და შესაბამისი პერსონალის მომზადება მონაცემთა ბაზის ოპერატიული უზრუნველყოფისათვის;
• ნებაყოფლობითი დონორების საერთო რიცხვის გაზრდა 5%-მდე (ამჟამად არის დონორთა საერთო რაოდენობის 1%) საინფორმაციო საგანმანათლებლო კამპანიის განხორციელების გზით;
• უსაფრთხო სისხლის პროგრამის განხორციელებაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის მომზადება სისხლის უსაფრთხო ტრანსპორტირების საკითხებზე და მათი შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებითა და სამედიცინო ინვენტარით უზრუნველყოფა სისხლის უსაფრთხო ტრანსპორტირებისათვის.

9.2 გასაწევი მომსახურების ვადებს (გეგმა-გრაფიკი).

9.3 შესასყიდი საქონლის ჩამონათვალს (არსებული და საჭირო), რომლის საშუალებითაც განხორციელდება შესაბამისი ლოტის მომსახურება.

9.4 ინფორმაციას სუბკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ და მათთან დადებული ხელშეკრულებების ნოტარიალურად დამოწმებულ ასლებს (არსებობის შემთხვევაში).

9.5 სუბკონტრაქტორების მონაწილეობის შემთხვევაში მათ მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს მე-4 პუნქტში აღნიშნული, ასევე ლოტში მის მიერ გასაწევ საქმიანობაზე შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები.

10. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მათი შესაბამისობა ლოტის მიზნებთან.

11. ღია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის 500 ლარის ოდენობით გადახდის შემდეგ, საქართველოს ბანკის ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშის ნომერი ლარებში: 005606074; მისამართზე ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი № 23, II კორპუსი, მე-5 სართული, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი.

12. ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის და საბოლოო სატენდერო წინადადებების წარმოდგენის შესახებ წერილობით ეცნობებათ პრეტენდენტებს პირველი ეტაპის დასრულებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

14. აღნიშნულ ღია ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბ-ნ დ. აბდუშელიშვილს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრში, მისამართზე:

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი № 23, II კორპუსი, მე-5 სართული,

ტელ: 33 19 34, 33 19 38, 33 19 39.

⊙ ხელბურთი

ორი მოიგეს, ორიც წააგეს

საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა – ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელთა გუნდმა „შევარდენმა" ბაქოში აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებთან ოთხი ამხანაგური შეხვედრა გამართა. პირველი ორთაბრძოლა ქართველმა სტუდენტებმა მოიგეს 32:31, მომდევნო ორ მატჩში დამარცხდნენ – 27:28, 29:32, ბოლო პაექრობაში კი კვლავ „შევარდენმა" იმარჯვა – 31:29.

აზერბაიჯანელები დღეს, 13 იანვარს, პოლონეთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საასპარეზოდ მიემგზავრებიან და ქართველ კოლეგებთან გამართული შეხვედრები, იმედია, სასიკეთოდ წაადგებათ.

⊙ თხილამურები

პირველად – ზამთრის უნივერსიადაზე

ავსტრიის საკურორტო ქალაქი ინსბრუკი 11-დან 22 იანვრამდე სტუდენტთა ზამთრის XXII უნივერსიადას უმასპინძლებს. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური ხელშეწყობით ამ შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებიც იასპარეზებენ. სწრაფდაშვებაში, გიგანტურ და სუპერგიგანტურ სლალომში ძალებს მოსინჯავენ სოფიო ახმეტელი (თსუ), ვახტანგ კოპაძე, ნოდარ ჩხეიძე და გიორგი თედიაშვილი (სამივე – სტუ).

საქართველოს სტუდენტმა სპორტსმენებმა 1995 წლიდან ზაფხულის 5 უნივერსიადაში მიიღეს მონაწილეობა, ზამთრის უნივერსიადაზე კი პირველად გამოვლენ.

⊙ ცხენოსნობა

ბედაურები მარჯვე მხედარს ემორჩილებიან

გიორგი წოწორია ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ დოღებში გამოცდილ მხედრებს უწევს მეტოქეობას.

თბილისის იპოდრომზე მან რამდენიმე შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. შარშან 1800 მეტრზე „არაგვის" ტრადიციული პრიზი მოიგო, კიდევ ორ პაექრობაში პირველი მიიჭრა ფინიშთან, დანარჩენ დოღებში საპრიზო ადგილები ხვდა.

ცხენოსნობამ ბავშვობიდანვე გაიტაცა გიორგი წოწორია. სპორტის ოსტატ ვიქტორ გოგლიძის ახალგაზრდა შეგირდი ამჟამად ყულარის ცხენსაშენში მეჯინიბედაც მუშაობს – წმინდა სისხლის ბედაურებს უვლის და ახალი სტარტებისთვისაც აქედანვე ემზადება.

თამაზ ქიქავა.

სურათზე: გიორგი წოწორია ფინიშთან პირველია.

ავტორის ფოტო.

⊙ ფეხბურთი

შალვა ბერიძის მემორიალზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგახსნილ მოედნებზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ეროვნული კატეგორიის მსაჯის, საბურთალოს რაიონის მოზარდთა და ბავშვთა კომპლექსური სკოლის ყოფილი დირექტორის შალვა ბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეოთხე ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში.

საპატიო პრიზისთვის ასპარეზობდა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების 1993-94 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა 12 გუნდი. ტურნირი ოლიმპიური სისტემით გაიმართა.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ 186-ე საშუალო სკოლისა (დირექტორი თენგიზ დემეტრაშვილი) და მე-60 სკოლის (დირექტორი რუსუდან მინაშვილი) გუნდები. ანგარიშით – 4:1 გაიმარჯვეს 186-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებსაც შალვა ბერიძის ხსოვნის საპატიო თასი გადაეცათ. მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს 102-ე საშუალო სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა.

მემორიალის ორგანიზატორები დიდ მადლობას უხდიან თბილისის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი უდესიანს გაწეული თანადგომისა და მხარდაჭერისათვის. ქებას იმსახურებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობაც, რომელმაც პატარებს უსასყიდლოდ დაუთმო მოედნები.

შიო ბირკაია.

⊙ ბედი მდევარი

სპორტსმენებად ეზრდებიან... რუსეთს!

„...ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი. ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ!".. – ანაზდად უიარაღოს ეს სიტყვები გამახსენდა, როცა სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა რუსეთის ფედერაციის სმოლენსკის ოლქის ქალაქ დოროგობუჟსკის გაზეთ „კრაი დოროგობუჟსკი" ერთ-ერთი ნომერი და მასში წავიკითხე სტატია – „სპორტ სტრასტ სემეინნაია". ვფიქრობ, იგი ყოველ ქართველს დააინტერესებს და ამიტომ გადავწყვიტე ოდნავი შემოკლებით შემომეთავაზებინა თქვენთვის.

„...ამ ოჯახში შემოსული, პირველი, რაზეც გაამახვილებ ყურადღებას, ეს სპორტული მედლების სიმრავლეა. მტევნებივით ჰკიდია ისინი ერთ-ერთი ოთახის კედელზე. მათი მფლობელები გახლავთ ვიტალი და ედუარდ კონჯარიები, ზემოდნეპრის მხარეში და მთელ რუსეთში ცნობილი მწვრთნელის ოლეგ სკოგორევის აღზრდილები.

ვიტალი და ედუარდი სპორტს მამამ, ედიშერ კონჯარიამ აზიარა. სმოლენსკის ოლქში კონჯარიების ოჯახი 1992 წელს ჩამოვიდა ქალაქ გაგრიდან, სადაც უფროსი კონჯარია, არამარტო წარმატებული მძლეოსანი გახლდათ, არამედ საკმაოდ ცნობილი მწვრთნელიც მთელ აფხაზეთში. 1995 წელს მან ორივე შვილი ჩვენი ქალაქის სპორტულ კლუბში მიიყვანა.

ია-ვარდებით როდი იყო მოფენილი ძმების გზა ოლიმპისკენ. შრომისმოყვარეობამ და ნიჭმა ყმაწვილებს პირველი წარმატება მოუტანა. მოგეხსენებათ, სპორტი სუსტებს და მშიშრებს ვერ იტანს. ვიტალი და ედუარდი მართლაც უდრეკი ხასიათით გამოირჩევიან. სწორედ ამ თვისებამ მიიყვანა ისინი გამარჯვებამდე. 2001 წელს ორივე ძმამ, თავიანთ ასაკში, სერიოზული წარმატებები მოიპოვა. ვიტალიმ – ძიუდოში, ედუარდმა სამბოში რუსეთის ფედერაციის თასის გათამაშებაში მესამე ადგილები მოიპოვეს. 2002 წელს უმცროსმა ძმამ რუსეთის პირველობა მოიგო. ვიტალიმ საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიმსახურა.

ფართოა ძმები კონჯარიების სპორტული მიღწევების გეოგრაფია, – პენზა, ვორონეჟი, ვიტებსკი, სანკტ-პეტერბურგი, ლიპეცკი, რჟევი, შჩეკინო, ტულა, სმოლენსკი, მოსკოვი. მათ ტაშს უკრავს მთელი რუსეთი!..

ბიჭები უკვე სპორტის ოსტატობის კანდიდატები არიან. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში სწავლასთან ერთად, ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის მსმენელებიც გახდნენ და სპეციალურ მუნიციპალურ სტიპენდიასაც იღებენ..."

სტატია ბოლომდე არ მქონდა წაკითხული, რომ საქალაქთაშორისო ტელეფონზე სმოლენსკი შევუკვეთე. ედიშერ კონჯარიას ვესაუბრე.

– გამარჯობათ, ბატონო ედიშერ!

– თქვენი ჭირიმე... საქართველოდან რეკავთ?

– თბილისიდან... შობა-ახალ წელს გილოცავთ!..

– გმადლობთ, გმადლობთ... დიდად გამახარეთ!..

– ბიჭებზე წერილი წავიკითხე... შესანიშნავი შვილები გყოლიათ...

– ჯობდა, საქართველოში ყოფილიყვნენ და სამშობლოსთვის მოეტანათ მედლები...

– ჩამოსვლას ხომ არ აპირებთ?..

– საუბედუროდ, აფხაზეთში არაფერი გაგვაჩნია...

დიდხანს ვისაუბრეთ, ყურმილი რომ დავდე, ჩემთვის გავიფიქრე:

– ბედკრულო საქართველოვ, ათენის ოლიმპიადაზე რამდენი ოქრო დავკარგეთ... რა იქნება პეკინში?

ზაურ ფიფია.

შპს სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი „სიცოცხლე" აცხადებს კომერციულ კონკურსს ფართების იჯარით გაცემის მიზნით

კონკურსზე იჯარით გაიცემა:

1. ფართი 11 კვ. მ. იჯარის ვადა ორი წელი.

საიჯარო პირობები:

ა) არაკონკურენტუნარიანი საქმიანობა;
ბ) მოიჯარე ყოველთვიურად გადაიხდის 300 ლარს;
გ) მოიჯარე ასევე იხდის ხარჯებს სარემონტო სამუშაოებისათვის (ექვს თვეში ერთხელ), ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებს მოხმარებული რესურსებისა და დაკავებული ფართის ოდენობით;
დ) საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მფლობელი უფლებამოსილია შეწყვიტოს აღნიშნული ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულება), ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გარეშე.

2. ფართი 5 კვ.მ იჯარის ვადა ორი წელი.

საიჯარო პირობები:

ა) არაკონკურენტუნარიანი საქმიანობა;
ბ) მოიჯარე ყოველთვიურად გადაიხდის 140 ლარს;
გ) მოიჯარე ასევე იხდის ხარჯებს სარემონტო სამუშაოებისათვის (ექვს თვეში ერთხელ), ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებს მოხმარებული რესურსებისა და დაკავებული ფართის ოდენობით;
დ) საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მფლობელი უფლებამოსილია შეწყვიტოს აღნიშნული ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულება), ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გარეშე.

3. ფართი 13 კვ.მ იჯარის ვადა ორი წელი.

საიჯარო პირობები:

ა) არაკონკურენტუნარიანი საქმიანობა;
ბ) მოიჯარე ყოველთვიურად გადაიხდის 280 ლარს;
გ) მოიჯარე ასევე იხდის ხარჯებს სარემონტო სამუშაოებისათვის (ექვს თვეში ერთხელ), ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებს მოხმარებული რესურსებისა და დაკავებული ფართის ოდენობით;
დ) საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მფლობელი უფლებამოსილია შეწყვიტოს აღნიშნული ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულება), ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გარეშე.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა:

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს და გადაიხდის მაქსიმალურ საიჯარო ქირას.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესახებ;
– კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
– იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

საკონკურსო კომისიის მისამართია: **ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი № 10, შპს სპც „სიცოცხლე".**

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 56-37-11.

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 15 საათამდე. კონკურსი ჩატარდება განაცხადების მიღების დამთავრების მომდევნო დღეს 15 საათზე.

შპს სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი „სიცოცხლე".

განცხადება

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ), საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სემეკის 2004 წლის ხარჯებისა და საბუღალტრო ანგარიშების ფინანსური აუდიტის ჩატარების მიზნით, აცხადებს **კონკურსს** აუდიტორიული კომპანიის შესარჩევად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომპანიამ საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

• განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე;
• კომპანიის ლიცენზიის ასლი ზოგად აუდიტში;
• კომპანიის მთავარი (წამყვანი) სპეციალისტების ანკეტა-ავტობიოგრაფია **(curriculum vitae)**;
• კომპანიის მოსაზრება (ხედვა) შესასრულებელი სამუშაოების თაობაზე;
• ინფორმაცია ენერგეტიკის სექტორში ანალოგიური (ან მსგავსი) სამუშაო გამოცდილების შესახებ.

განაცხადი და საკონკურსო პირობების შესაბამისი დოკუმენტები საკონკურსო კომისიაში მიიღება მიმდინარე წლის 31 იანვრამდე ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა, 11-დან 18 საათამდე, **მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 45, V სართული, სემეკის საერთო განყოფილება.**

განცხადება

2005 წლის 2 თებერვალს 16 საათზე შედგება სს „თბილგაზის" აქციონერთა რიგგარეშე კრება.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობა „ახალი მენეჯმენტის" ანგარიში 2003 წლის 1 ოქტომბრიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ;
2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

სს „თბილგაზის" დირექცია.

მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18.

⊙ ჭრელაჭრულა

ერიქსონს ელოდებიან

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი შვედი სვენ-გორან ერიქსონი ფიფას ან უეფას ნაკრებს უხელმძღვანელებს საქველმოქმედო მატჩში, რომელიც, სავარაუდოდ, 16 თებერვალს ბრიტანეთის ერთ-ერთ სტადიონზე გაიმართება, მთელი შემოსავალი კი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ცუნამისგან დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხება.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნებიდან სტიქიამ ყველაზე მეტად სწორედ შვედეთი დააზარალა. ოფიციალური მონაცემებით, ცუნამის შედეგად 52 შვედი დაიღუპა, 637 უგზოუკვლოდ დაიკარგა, 1201 შვედ მოქალაქეზე კი დღემდე არავითარი ინფორმაცია არა აქვთ.

მასპინძლობა სურთ

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები განაცხადს ამზადებენ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე. ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო ამ დღეებში შეხვდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის და მასთან ერთად განიხილავს ამ წინადადების დეტალებს.

საგულისხმოა, რომ მსგავსი შეჯიბრება იტალიაში ორჯერ უკვე გაიმართა – 1968 და 1980 წელს და მასპინძლები ერთხელ კონტინენტის ჩემპიონებიც გახდნენ.

„რეალს" ბექჰემი არ სჭირდება

მადრიდის „რეალის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ინგლისის ნაკრების კაპიტანს დევიდ ბექჰემს განუცხადა, რომ „სამეფო კლუბს" მისი დახმარება უკვე აღარ სჭირდება. ესპანელთა დამრიგებელს მის შემცვლელად ბრაზილიელი რობინიუ მიაჩნია.

ბექჰემის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა „ჩელსის" ხელმძღვანელობამ. ინგლისის ნაკრების კაპიტანს „რეალთან" ხელშეკრულება 2007 წლის ზაფხულში უმთავრდება. დევიდს ინგლისის კლუბებში დაბრუნება არ სურს. ამის თაობაზე მან ახლახან მადრიდში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

თარიღი დაადგინეს

ცნობილი გახდა უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური ორთაბრძოლების პირველი შეხვედრების თარიღი. 16 თებერვალს ითამაშებენ: „პარტიზანი" – „დნეპრი", „შახტიორი" – „შალკე", „აიაქსი" – „ოსერი", „პანათინაიკოსი" – „სევილია", „პარმა" – „შტუტგარტი", „აუსტრია" – „ატლეტიკო", „სპორტინგი" – „ფეიენოორდი", „ვალენსია" – „სტიაუა".

17 თებერვალს ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა – „ბენფიკა", „ოლიმპიაკოსი" – „სოშო", „დინამო" (კ) – „ვილიარეალი", „ფენერბახჩე" – „სარაგოსა", „ბაზელი" – „ლილი", „ჰერენვენი" – „ნიუკასლი". დანარჩენი პაექრობები 24 თებერვალს გაიმართება.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

მარცხნიდან საკავშირო ალკკ ცკ-ის პირველი მდივანი ვიქტორ მიშინი შვილით, ქეთევან ორჯონიკიძე (სოსო ორჯონიკიძის მეუღლე), ანდრო ბოდელავა, ბორის წიფურია, სოსო ორჯონიკიძე, სერგეი ბაღაფში, თამაზ გოგავა, ილო ხუციშვილი.
ზუგდიდი. 1988 წელი.

მოგვაწოდა ალეკო კაკულიამ.

მხატვრის გულისთქმა

„ეჭვი არ მეპარება, რომ ცხინვალელ კოლეგებსაც მოენატრათ ჩვენთან შეხვედრა“

იყო დრო (ნეტა იმ დროს), როდესაც თბილისის, სოხუმის და ცხინვალის ინტელიგენცია — ქართველები, აფხაზები და ოსები ურთმანეთოდ „პურს არ ტეხდნენ“, თანაზიარი ჰქონდათ შემოქმედებითი მარცხი თუ წარმატება...

სამწუხაროდ, აგერ, თხუთმეტი წელიწადია პოლიტიკოსებმა „გაირბინეს“ მათ შორის, ჩამოეშვა „რკინის ფარდა“, გაცივდა ურთიერთობები.

— ცხინვალელი მხატვრების უმრავლესობა ჩვენი აკადემიადამთავრებულია, — მეუბნება საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი **გივი მიზანდარი,** — ნეტა იცოდეთ, რა ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ, რა მეგობრობა გვქონდა... აკადემიის ფონდებში მათი სტუდენტობისდროინდელი ბევრი ნამუშევარია დაცული და, რა კარგი იქნებოდა, რომ შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ბატონი მიხეილ ქარელის დახმარებით ცხინვალში გამართულიყო ამ ნამუშევრების გამოფენა. ჩავიდოდით ჩვენც, მოვიგონებდით გარდასულ დღეებს, პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს მათი სწავლა-აღზრდის საქმეს. ჩვენ ხშირად ერთად ვმონაწილეობდით გამოფენა-კონკურსებში, სპორტულ შეჯიბრებებში, ყოველ ზამთარს ბაკურიანში ვატარებდით და იქ ძალიან თბილად გვიღებდნენ ოსი ეროვნების მცხოვრებლები. იმედო გასიევის, ლავრენტი კასოევის, გიორგი ბერუაშვილის, რაისა ტასიევასა და სხვათა ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები თვალს იტაცებენ ფერთა სიხასხასით, ლაკონურობით, ორიგინალური ხედვით... ეს ნამუშევრები, გულახდილად რომ გითხრათ, ძალიან ამშვენებს სამხატვრო აკადემიის ფონდებს, ამ სურათებით იამაყებდა ნებისმიერი დიდი სახელმწიფოს აკადემია თუ სახელმწიფო მუზეუმი.

ჩვენდა სამწუხაროდ, რატომღაც ეს ყველაფერი თითქმის „დამალული“ გვაქვს და ბევრმა ხელოვნებათმცოდნემაც კი არ იცის ამ სიმდიდრის არსებობის შესახებ. აკი მოგახსენეთ, მათი გამოფენა და სამზეოზე გამოტანა საშური საქმეა. ეს ფაქტი სასიკეთოდ წაადგება ბოლო წლებში ორ ერს შორის არსებულ გაცივებულ ურთიერთობებს. აქ, დარწმუნებული ვარ, თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის ჩვენი აკადემიის საქმიანი რექტორი გია ბუღაძე, რომელმაც უკვე მოახერხა ცხინვალთან გარკვეული ურთიერთობების დამყარება.

ეჭვი არ მეპარება, რომ ცხინვალელ კოლეგებსაც მოენატრათ ჩვენთან შეხვედრა, ისინი ხომ თბილისში არიან აღზრდილები, ალბათ არც ჩვენი გულის სითბო დავიწყნიათ და ამ მინავლულ სითბოს გაღვივება სჭირდება. ეს აუცილებელია!

ესაუბრა
ვილენ მარდალეიშვილი.

სურათებზე: „ოსი მოხუცი“, (მხატვარი გიორგი ბერუაშვილი); „ოსეთში ქორწილისთვის მზადებაა“ (მხატვარი ლავრენტი კასოევი); „ხალხის მტერი“ (მხატვარი რაისა ტასიევა).



გიხაროდენ!

ღმერთმა შვილი აჩუქა

— „მე მოვედი!..“ ვინ იცის, უკვე მერამდენედ გახმიანდა ჩვილის ტირილით შეტყობინება სამშობიარო სახლ „ორიონში“, რამდენჯერ გაიხსნა შამპანური, გაიჩხაკუნა ფოტოაპარატმა და ახალმოვლენილ მოქალაქეზე პირველი ფოტოდოკუმენტიც შეიქმნა. ეს ამ სამშობიარო სახლის ტრადიციაა. ასე იყო 27 დეკემბერსაც, როცა 18 წლის ლოდინის შემდეგ ხათუნა ქოქოსაძეს და ჯამბულ ბროძელს გოგონა შეეძინათ. მათ არასოდეს დაუკარგავთ

იმედი, რომ ღმერთი ნატვრას აუსრულებდა და შვილს აჩუქებდა, აკი გაჩნდა კიდეც მშობლების იმედი — პატარა ნინო!

მამიდა ციური ბროძელი,
თბილისი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

— ახლა მოგიყვებით, როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი, — ეუბნება მოსწავლეებს მღვდელი საღვთო სჯულის გაკვეთილზე.

— მამაო, მე უფრო სიამოვნებით მოვისმენდი მესამე ადამიანის გაჩენის ისტორიას, — ამბობს მიხო.

* * *

ბინაში ზარი ირეკება. ცოლი კარს აღებს. ზღურბლთან გალეწილი ივან ივანიჩი დგას.

— რა ჰქენი, ხელფასი მოიტანე?

ივან ივანიჩი მოწყვეტით ეცემა იატაკზე. ზურგზე ცარცით აწერია: არა.

* * *

რა ხალხია ეს რუსები! მაგათ ხელში ვერც კომუნიზმსააშენებ და ვერც კაპიტალიზმს ააღორძინებ!

* * *

რუსული ოცნება — გახვიდე პენსიაზე და განაგრძო დიდხანს, დიდხანს მუშაობა!

* * *

ზოგიერთი ვიდეოკლიპი უბრალოდ პირდაპირ რადიოეთერისთვის არის შექმნილი.

* * *

თუ ძაღლი არა გყავთ, მას მეზობელი ვერ მოგიწამლავთ...

* * *

ორშაბათი მძიმე დღეა. ყველა დანარჩენ სამუშაო დღეს მხოლოდ წინა დღის ანეკდოტები უნდა იკითხო, ორშაბათს კი — ყველა დასვენების დღისა...

ერიჰაა!

ბოდიში, მე არ დამირეკავს...

ჩემი მობილური რეკავს.

— გისმენთ, ბატონო, — ვეხმიანები.

— თქვენ ჩემთან რეკავდით, რა გნებავდათ?

— როდის, ბატონო?

— აი ახლა, ამ წუთებში. ორჯერ დაირეკა, მაგრამ მალევე გაითიშა და პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი.

მობილურის სარკეზე დაწერილ ნომერს შევხედე. ელდა მეცა — ეს ხომ ჩემი სამსახურის უფროსის ტელეფონია! ხმაზეც ვიცანი, ნამდვილად ის არის.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო კოტე, რომ შეგაწუხეთ (მინდა, სიტუაცია განვმუხტო), მაგრამ მე ნამდვილად არ დამირეკავს.

— რას ქვია, არ დაგირეკავთ, — მაწვება უფროსი, — აგერ წერია თქვენი ტელეფონის ნომერი.

— მჯერა, ბატონო კოტე, განა არ მჯერა, მაგრამ რომ არ დამირეკავს? ან რაზე უნდა დამერეკა, მე ხომ თქვენთან საქმე არაფერი მქონდა...

— მით უარესი, თუ საქმე არ გქონდათ და სალაყბოდ რეკავდით. მე თქვენ უსაქმური ხომ არ გგონივართ? — გამიწყრა უფროსი და ტელეფონი გამითიშა.

ერიჰაა, ცუდად არის საქმე, — გავიფიქრე, — გამოდის, რომ უფროსს განგებ ვაცდენ ან სკლეროტიკი ვარ და ვისთან რას ვრეკავ, აღარაფერი მახსოვს. ორივე შემთხვევაში სამსახურიდან გაგდება არ ამცდება.

მეორე დღეს მხრებაწურულმა შევაღე უფროსის კაბინეტის კარი.

— კიდევ ერთხელ მინდა მოგიხადოთ ბოდიში, ბატონო კოტე. მართალია, არ დამირეკავს, მაგრამ მაინც...

— თქვე მამაცხონებულო, აბა რაზე იხდით ბოდიშს, თუ არ დაგირეკავთ? — წამოენთო უფროსი, — მაინც და მაინც დოკუმენტი გინდათ გაჩვენოთ? ა, ბატონო, დახედეთ ჩემს ტელეფონს, არის თუ არა ეს თქვენი ნომერი?

დავხედე და გაკვირვებისგან თმა ყალყზე დამიდგა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე კაიხნის მელოტი ვარ.

ბატონ კოტეს კიდევ ერთხელ მოვუხადე ბოდიში და სამუშაო ოთახში დავბრუნდი. ფიქრმა წამიღო: ღმერთო ჩემო, რა მასშტაბებს მიაღწია სატელეფონო ინდუსტრიამ. უკვე შეუძლიათ პირადად აღარ შეგაწუხონ და შენს დაუკითხავად მეორე აბონენტთან დაგვაკავშირონ. მალე ალბათ იმასაც მიაღწევენ, რომ შენს მაგივრად ელაპარაკონ და საჭირბოროტო პრობლემები გადაგიწყვიტონ.

ამასაც მალე მოვესწრებით!

— ოთარ, რას ბუტბუტებ? — მეკითხება თანამშრომელი.

— არაფერს, ჩემმა მობილურმა თავისით დარეკა ბატონ კოტესთან და განცვიფრებული ვარ.

— იი, ეგ რა გასაკვირია, ქვეყნიერებაზე მაგაზე უარესებიც ხდება. არ გაგიგია, შვეიცარიასა და ინგლისში (სხვაგანაც) მილიონერებს მათ დაუკითხავად საბანკო ანგარიშებს რომ აფუქნებიან?

— ეგ უკვე აფიორაა!

— რასაც შენ ამბობ, ეს რა, აფიორა არ არის?

— არა მგონია, კომპანია „მიტო“, როგორც თვითონ აცხადებს, გამჭვირვალედ მუშაობს. ის დაუკითხავად ჩემი ტელეფონიდან არ დარეკავდა.

— თვითონ კი მუშაობს გამჭვირვალედ, მაგრამ ხომ შეიძლება ქსელში ვიღაც თაღლითი შეეპარა?

— ისე დაბეჯითებით ლაპარაკობ, ეტყობა, შენი მობილურიც რეკავს შენს დაუკითხავად.

— ჩემიც რეკავს და სხვებიც რეკავენ ჩემთან ინკოგნიტოდ. დახედავ ტელეფონს, ვიღაცას დაურეკია. გაინტერესებს, ნეტა რა უნდოდა? აკრეფავ ნომერს და პირში ჩალაგამოვლებული დარჩები:

— არა, ბატონო, საიდან მოიგონე, მე არ დამირეკავს!

— შენ ფიქრობ, რომ ერთობიან?

— ერთობიან კი არა, შენ ხარჯზე ფულს აკეთებენ, აბა, წარმოიდგინე მარტო „მიტოს“ (სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) რამდენი აბონენტი ჰყავს. თითოეულმა რომ ყოველდღიურად ასეთი შეტყუებით ნახევარი წუთი ილაპარაკოს, ეს უკვე ათეულ ათასობით დამატებით მიღებული ლარია.

დავიჯერო?!

თუ „მიტო“ თავის სიმართლეში ვერ დაგვარწმუნებს, მეტი რა გზა მექნება, უნდა დავიჯერო.

ოთარ ხუციშვილი.

ხსოვნა

დომენტი მჟავია

100 წლის გარდაიცვალა **დომენტი ესტატეს ძე მჟავია** — ღვაწლმოსილი პიროვნება, რომელმაც ქართული სოფლის აღორძინების საქმეს მთელი შეგნებული სიცოცხლე მოახმარა.

დომენტი მჟავია დაიბადა ქ. ოზურგეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში, 1904 წლის 7 დეკემბერს. 1924 წელს დაამთავრა ოზურგეთის საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. 1926 წელს დააპატიმრეს რამდენიმე სტუდენტთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის დღის — 26 მაისის აღსანიშნავ დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო. ერთ წელზე მეტი გაატარა ციხეში. ციხიდან განთავისუფლების შემდგომ აღდგენილი იქნა უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1930 წელს. იყო ლანჩხუთის და მახარაძის რაიონების მ. ტ. ს. მთავარი აგრონომი. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. 1943 წლის დასაწყისში მძიმე ჭრილობების გამო, როგორც ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი დემობილიზებული იქნა სამსახურიდან და 1944 წლიდან ინიშნება მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ აგრონომად, სადაც მუშაობდა პენსიაში გასვლამდე.

ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში, განსაკუთრებით ჩაის კულტურის განვითარებაში. 1948 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. აქტიური სამეურნეო მუშაობის გამო მას მინიჭებული აქვს 29 ჯილდო, მათ შორის სამი ლენინის ორდენი, „შრომის წითელი დროშის“ და საპატიო ნიშნის ორდენები, სამამულო ომის I ხარისხის ორდენი და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ჯილდოები. 1954 წლიდან მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის წოდება, 1954 წლიდან ის საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია.

დომენტი მჟავია მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება იყო. ის ხშირად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც გამოდიოდა მოხსენებებით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა ახალგაზრდა სპეციალისტთა დახელოვნება, იყო ყველასთვის უანგარო, დაუზარელი მშრომელი და კეთილი ადამიანი...

დომენტი ბაბუას დეკემბერში 100 წლის იუბილე გადაუხადეს, ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა, ახლობლებმა...

დღეს ისინი გულწრფელი ცრემლით მიაცილებენ მარადიულ ქვეყანაში ღვაწლმოსილ პიროვნებას.

ახლობლები, მეგობრები.

დღის კალენდარი 13 იანვრისთვის

ამოდის 07.26
ჩადის 16.51
(ამოდის 09.48, ჩადის 20.33

წლის მე-13 დღე, ახალ წლამდე დარჩა 352 დღე.

საეკლესიო კალენდარი

წარგზავნა ქრისტეს შობის დღესასწაულისა. ხსენება ღირსი მელანია რომაელისა (429); ღირსი საბიანასი, სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრისა.

დაიბადნენ:

1622 — ჟან ბატისტ მოლიერი, დიდი ფრანგი დრამატურგი და მსახიობი.

1862 — ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), ისტორიკოსი, პუბლიცისტი, გარდაიცვალა 1918 წელს.

1864 — ვილჰელმ ვინი, გერმანელი ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1928 წელს.

1872 — ნინო ნაკაშიძე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1963 წელს.

1899 — ლევ კულეშოვი, რუსული კინოხელოვნების თეორეტიკოსი და ნოვატორი. გარდაიცვალა 1970 წელს.

1909 — სიმონ ვირსალაძე, თეატრის მხატვარი.

1917 — ილია ლიფშიცი, რუსი ფიზიკოსი, მყარი სხეულების ფიზიკის სამეცნიერო სკოლის დამაარსებელი. გარდაიცვალა 1982 წელს.

1929 — ვილი სიორენსენი, დანიელი მწერალი, ფილოსოფოსი.

გარდაიცვალნენ:

86 წელი ჩვ.წ-მდე — გაიუს მარიუსი, რომის კონსული და მხედართმთავარი.

1599 — ედმონდ სპენსერი, ინგლისელი პოეტი.

1906 — ალექსანდრ პოპოვი, რუსი ფიზიკოსი და ელექტროტექნიკოსი.

1909 — ივან ზაბელინი, რუსი ისტორიკოსი და არქეოლოგი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დამაარსებელი.

1941 — ჯეიმს ჯოისი, ირლანდიელი მწერალი.

1978 — ჰუბერტ ჰამფრი, ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე.

1987 — იგორ ილინსკი, ცნობილი რუსი მსახიობი.

1987 — ანატოლი ეფროსი, რუსეთის თეატრალური რეჟისორი.

მოვლენები:

1610 წელი — გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის მეოთხე თანამგზავრი, რომელსაც კალისტო უწოდა.

1703 წელი — მოსკოვში რეგულარულად დაიწყო გამოსვლა პირველმა რუსულმა ბეჭდვითმა გაზეთმა „ვედომოსტიმ“.

1721 წელი — რუსეთში პეტრე I-ის ბრძანებულებით გაიხსნა საზღვაო აკადემიის სტამბა.

1830 წელი — პეტერბურგში დელვიგის რედაქტორობით გამოდის „ლიტერატურნაია გაზეტას“ პირველი ნომერი.

1910 წელი — ოპერა პირველად გადაიცა რადიოთი — ნიუ იორკის ოპერის თეატრის სცენაზე მღეროდა ენრიკო კარუზო.

1940 წელი — დამთავრდა არქტიკის ყინულებში ყინულმჭრელი გემის „გეორგი სედოვის“ 812-დღიანი დრეიფი. ეკიპაჟის 15 წევრი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

1958 წელი — ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ლაინუს პოლინგმა გაეროს გადასცა მსოფლიოს 43 ქვეყნის 9.000 მეცნიერის მიერ ხელმოწერილი პეტიცია ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ.

1991 წელი — ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ტელეცენტრი, დაიღუპა 14 ადამიანი.

1993 წელი — პარიზში 130 ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონვენციას ქიმიური იარაღის დამუშავების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ.

ღირსსახსოვარი დღეები:

რუსეთი — პრესის დღე.

ლიტვა — თავისუფლების დამცველთა დღე.

მედია-ნიუსი.

საახალწლო

ახალი წელი „დაჩიმაც“ მოგვილოცა

საბავშვო ჟურნალი „დაჩი“ ყოველ სამშაბათს პატარებთან ერთად დიდებსაც ახარებს. მისი თითოეული ნომერი კარგად არის ილუსტრირებული და პატარებისთვის ადვილად წასაკითხია.

ჟურნალის საახალწლო ნომრის ფურცლები ბევრ საინტერესო მასალას მოიცავს, მათ შორისაა მწერალ ოტია იოსელიანის ზღაპრები, მათემატიკური ციფრსკანვორდები, ვიქტორინები, თამაშობები, სახალისო მათემატიკური გამოცანები — „მოიფიქრე და გამოიცანი“. პატარები წაიკითხავენ ნოდარ დუმბაძის ლექსს „პირველ ზამთარს“, შიო მღვიმელის „ზამთარს“ და ა. შ. ჟურნალს ასევე ყურადღებიდან არ რჩება რელიგიის საკითხები — „საღვთო სჯულის სწავლებაზე“.

ჟურნალი „დაჩი“ აგრეთვე ატარებს მეტად საინტერესო აქციას, რომელიც ნებისმიერი სკოლის დაწყებითი კლასების სწავლაში წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოებას ითვალისწინებს. საახალწლოდ გამზადებულმა ჟურნალის იანვრის ნომერმა ამჯერად არჩევანი თბილისის 31-ე საშუალო სკოლაზე შეაჩერა, დაბეჭდა გამარჯვებულთა სურათები.

ასე რომ, საბავშვო გამომცემლობა „დაჩი“ თავის მკითხველს ულოცავს რა შობა-ახალ წელს, ამასთან ერთად მკითხველს სასიამოვნო სიურპრიზებსაც უმზადებს. ჟურნალის ყოველ ნომერში მკითხველი საგანგებოდ მისთვის გამზადებულ ჩანართებსაც იხილავს, რომელიც საშუალებას მისცემს უამრავი საინტერესო პრიზი მიიღოს.

ელოდეთ „დაჩის“ ყოველ სამშაბათს. გამომცემლობის აღმასრულებელი დირექტორია **კახა ჭაბაშვილი.** მთავარი რედაქტორი **დიმიტრი ტიკარაძე,** მხატვრული რედაქტორია **ზაალ სულაკაური.**

რიტა ჩაკვეტაძე.

საქციო საზოგადოება „საქჰიდროენერგომშენის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი — მთავარი ბუღალტერი
ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ლავრენჩენკო
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ტატიანა, შვილები ტატა, ირინა, სიძე იგორ ლობოდა, შვილიშვილები ანასტასია, ანდრეი ლობოდა, დისწული ალექსანდრე შტრაუბერგი მეუღლით — ეკა ირემაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ლავრენჩენკო.
პანაშვიდი 14, 15 I, 16 საათზე. დაკრძალვა კვირას 16 I, 14 საათზე, ალ. ყაზბეგის გამზ. 36, III სადარბაზო.

თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა კორპუსი და აპარატი თანაგრძნობას უცხადებს მოსამართლე ნაზი დოთიაშვილს
დედის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის თანამშრომელს თემურ დოლიძეს დედის
ციალა ყიფიანის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ გიორგი გომიაშვილს დეიდის
ციალა ყიფიანის
გარდაცვალების გამო.

ალეკო კაკულია, თენგიზ სხირტლაძე, ჟულიენ ბუბაშვილი, კობა ქადაგიძე, ამირან როგავა, ზურაბ კახნიაშვილი, რაულ ოდიშარია, ოთარ შენგელია, გურამ ჭაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი პიროვნება და უახლოესი მეგობარი
კობა (პუსკა) კვანტალიანი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika